

აბიტურიენტის
ბიბლიოთეკა

შესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

ლევია გეგუჩაძე

ქართული ენა

ნაწილი მესამე

თბილისი
2001

უმადლეს სასწავლებლებში შემსვლელები, ვისაც მისაღები გამოცდების პროგრამების მიხედვით ქართული ენის ჩაბარება უწევთ, სირთულეს აწყდებიან: პროგრამაში შეტანილი საკითხები სხვადასხვა სასკოლო სახელმძღვანელოშია გაბნეული და მოძიება ჭირს; ზოგი საკითხიც ახლებურ მიდგომას საჭიროებს. ისიც უნდა ითქვას, რომ არც სახელმძღვანელოების შოვნაა იოლი.

ბ. ჯორჯენაძის საზოგადოების თხოვნით დოცენტმა ლ. ბაბუნიძემ პროგრამის შესაბამისად შეადგინა აბიტურიენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1997 წელს, მეორე ნაწილი - 1999 წელს, ამჟამად დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ წიგნის მესამე ნაწილს, რომელიც მთლიანად ქართულ ზმნას ეძღვნება.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი გამოადგებათ არა მხოლოდ აბიტურიენტებს, არამედ პედაგოგებს, სტუდენტებს და, ზოგადად, ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ყველა საქმიან შენიშვნას ავტორი და გამომცემლები მადლობით მიიღებენ.

ბ. ჯორჯენაძის საზოგადოების
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო

რედაქტორი გიორგი გომოლაშვილი

ზმნა. აირი და რიყხვი. აირთა რაოღნოზა ზმნის ერთ შორჰაში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში არსებული სიტყვების მთელ მარაგს ჯგუფებად ყოფენ, რომელთაც მეტყველების ნაწილებს ეძახიან. თუ მათ განვიხილავთ მორფოლოგიური თვალსაზრისით, უნდა გამოვყოთ სიტყვათა ორი ჯგუფი: **ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები** და **ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები**. ფორმაცვალებად სიტყვათაგან შესწავლილი გვაქვს არსებითი სახელი, რომელიც საგნის აღმნიშვნელ სიტყვას წარმოადგენს (ადამიანი, ცა, სიწმინდე...), **ზედართავი სახელი**, რომელიც საგნის ნიშანს ან თვისებას მიუთითებს (კარგი ადამიანი, უღრუბლო ცა, უდიდესი სიწმინდე...), **რიცხვითი სახელი**, რომელიც გვინივრებს საგანთა რაოდენობას, როგორც ან ნაწილს მოელთან შედარებით (მილიონი ადამიანი, მეშვიდე ცა, მესხელი სიწმინდე...) და **ნაცვალსახელი**, რომელიც სხვა სახელთა ნაცვლად შეიძლება ვიხმართ გარკვეულ შემთხვევაში (რამდენიმე ადამიანი, ეს ცა, იმგვარი სიწმინდე...). ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილებს განეკუთვნება **ზმნაც**, რომელიც საგნის მოქმედებას გამოხატავს (ადამიანი აშენებს, ცა იღრუბლება, სიკეთე გაიმარჯვებს...). უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა **მოქმედება** გრამატიკაში აღნიშნავს ყოველგვარ პროცესს: ზრდის, იზრდება, მაღავს, იმალება, ემალება... ასევე - მდგომარეობას: ზის, წევს, სძინავს, აგდია... და სხვის მიერ მიყენებულ „ენებასაც“: იჭრება, იხევა, ითხრება... (ა.შანიძე).

მაშასადამე, **ზმნა** არის **ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი**, რომელიც აღნიშნავს საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას. როგორც

დღი იღია იტყობა, ის „სული და გულია მეტყველებისა... მეტყველების ღონე და ძლიერება.“

ყურადღება მივაქციოთ ტერმინს „ზმნა.“ ა. შანიძის აზრით, იგი არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით შემოსული ჩანს - წარმოადგენს თარგმანს არაბული სიტყვისას („ფიქლ“), რომელიც „ქმნას“, „კეთებას“ აღნიშნავს. მართლაც, ქართული „ზმნა“ და „ქმნა“ სინონიმებია, რომლებიც ერომანეთს ენაცვლებიან: შდრ. წარსული დროის ფორმა „(რა) ჭნა“ და მომავალი დროისა „(რას) იზამს.“ ვიზამ, იზამ, იზამს, ვუზამ, უზამ, უზამს... ფორმებში სწორედ ის „ზამ“/„ზმ“ გვაქვს, რომელიც „ზმნა“ სიტყვაშია წარმოდგენილი.

თუ შევეუდარებთ ერთმანეთს ზმნებს, როგორცაა, მაგალითად, დაწერა, აქებს, იღებდა, ჭკნება..., ერთი მხრივ, და: დაოჯახდა, ღრმავდება, გაწითლდა, ბნელდება, შეერთდა..., მეორე მხრივ, ადვილად შევნიშნავთ, რომ ზმნა შეიძლება იყოს პირველადი (დაწერა, აქებს, იღებდა, ჭკნება) ან ნასახელარი (დაოჯახდა←ოჯახი, ღრმავდება←ღრმა, გაწითლდა←წითელი, ბნელდება←ბნელი, შეერთდა←ერთი).

ზმნას, მისი შინაარსის გათვალისწინებით, აზრობრივად, შეიძლება შევეუწყოთ პირის ნაცვალსახელები (გვახსოვდეს, რომ პირის ნაცვალსახელები უთანდებულოდ უნდა იყოს):

მზე ამოდის - ამოდის ის.

ქარი არხევს იასამანს - არხევს ის მას.

დედამ ვაჟაკი გაუსარდა ქვეყანას - გაუსარდა მან მას ის.

ზმნასთან შეწყობილ პირს გრამატიკულ პირს ვეძახით. „პირი იმდენად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნისა, რომ ზოგჯერ ზმნას ამ კატეგორიის მიხედვით განსაზღვრავენ („ზმნა არის პირიანი სიტყვაო“), მაგრამ ზმნა საზოგადოდ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პირიანი სიტყვა: ის შეიცავს უპირო ფორმებსაც, როგორცაა ქართულში სახელზმნები“ (ა.შანიძე). ამიტომაცაა, რომ შენება, ჭება, ზტომა, გაღრმავება და ა.შ. ფორმებს უპირო ზმნებსაც უწოდებენ.

გრამატიკული პირი ორი სახისა გვაქვს: მოქმედი ანუ სუბიექტური და სამოქმედო ანუ ობიექტური. ეს პირი (თუ პირები) შეიძლება იყოს როგორც მხოლოდით, ისე - მრავლობით რიცხვში.

ზმნა აუჯავდა მხოლოდ ერთ პირს შეიწყობს (ერთპირიანია): აუჯავდა ის. ეს პირი სუბიექტურია, მესამე პირის ნაცვალსახელის მხო-

ლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი; ზმნა **გადმოგყვნენ** ისინი **შენ** ორ პირს გულისხმობს (ორპირიანია): სუბიექტურს ისინი (მესამე პირის მრავლობითი რიცხვი) და ობიექტურს **შენ** (მეორე პირის მხოლოდობითი რიცხვი); ზმნაში **აგვიშენე შენ ჩვენ** ის (სამპირიანია) სუბიექტური პირია **შენ** (მეორე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა), ხოლო ობიექტური პირებია **ჩვენ** (პირველი პირის მრავლობითი რიცხვი) და **ის** (მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვი).

ამრიგად, შეწყობილ პირის ნაცვალსახელთა რაოდენობის გათვალისწინებით ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი (ეს ერთი პირი, ჩვეულებრივ, სუბიექტია), ორპირიანი (ერთი პირი სუბიექტია, მეორე - ობიექტი) და სამპირიანი (ერთი სუბიექტია, ორი - ობიექტი).

შენიშვნა: იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ქართულში ისეთი ზმნები, რომლებიც ოთხი პირის გაგებას შეიცავენ: გავიხსენოთ ერთი წინადადება ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“. „ჩემ პატარა გიორგის უპატრონე... არავის **დამიჩაგვრინო...**“ **დამიჩაგვრინო** ზმნას ოთხი პირი ეწყობა: შენ მე მას ის. ასეთივეა: მისვით (თქვენ მე მათ ის), მიჭმიე (შენ მე მას ის) და სხვა. ამ ზმნებში ერთი პირი (დამიჩაგვრინო **შენ**, მისვით **თქვენ**, მიჭმიე **შენ**) სუბიექტურია, დანარჩენი - ყველა - ობიექტური.

ობიექტური პირი ორი სახისა გვაქვს: **პირდაპირი** და **ირიბი**. **პირდაპირი** ობიექტი მაშინ, თუ იგი **ბრუნვაცვალებადია**: ხან მიცემით ბრუნვაში დგას, ხანაც - **სახელობითში**: ბიჭი ხატავს **სურათს**, ბიჭმა დახატა **სურათი**. **ირიბია** ობიექტი მაშინ, თუ იგი **ბრუნვაცვლებელია**: ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას: ბიჭი შეხედავს **სურათს**, ბიჭმა შეხედა **სურათს**. მაშასადამე, პირდაპირ ობიექტს ორი ბრუნვა აქვია: სახელობითი და მიცემითი, ხოლო ირიბს - ერთი: მიცემითი. აქედან გამომდინარე, თუ ობიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ის აუცილებლად პირდაპირი იქნება; მაგრამ როგორ მივხვდეთ, მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი?

ამის გასარკვევად ასე უნდა მოვიქცეთ: ზმნას დავუსვათ კითხვა **რა გქენი? რა ქენი? ან რა ქნა?** და დავუკვირდეთ ობიექტის ბრუნვებს: ის ობიექტი, რომელიც მიცემით ბრუნვიდან სახელობითში გადავა, **პირდაპირი** იქნება, ხოლო თუ ობიექტი კვლავ მიცემით ბრუნვაში დარჩა - **ირიბი**.

ვნახოთ მაგალითები:

მე ვაშენებდი სახლს. რა ვქენი? - მე ავაშენე სახლი. ე.ი. სახლს, სახლი პირდაპირი ობიექტია.

მე ვესტუმრები მეგობარს. რა ვქენი? - მე ვესტუმრე მეგობარს. ე.ი. მეგობარს ირიბი ობიექტია.

მე დავეკრეფე გოგონას ყვავილებს. რა ვქენი? - მე დავეკრეფე გოგონას ყვავილები. ე.ი. გოგონას, რომელიც მიცემითში იყო და მიცემითშივე დარჩა, ირიბი ობიექტი ყოფილა, ხოლო ყვავილებს, ყვავილები კი - პირდაპირი, რადგან მიცემით ბრუნვაში იდგა და სახელობითში გადავიდა.

აღბათ ბუნებრივად დაიბადება კითხვა: რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ე.წ. ომხიირიან ზმნებში? პასუხი ასეთია: ამ ზმნებში ერთი პირი სუბიექტია, ერთი - პირდაპირი ობიექტი, ორი კი - ირიბი. კერძოდ, დამირაგვრინო (შენ მე მას ის) ზმნაში სუბიექტური პირია შენ, პირდაპირობიექტურია ის (გიორგი), ხოლო მე და მას (არავის) - ორივე ირიბი.

სხვათა შორის, ორი ობიექტური პირიდან ორივე ირიბი შეიძლება იყოს რამდენიმე სამპირიან ზმნაშიც:

ეკოთხება ის (მასწავლებელი) მას (მოსწავლეს) მას (გაკვეთილს).

რა ქნა?

შეეკოთხა ის (მასწავლებელი) მას (მოსწავლეს) მას (გაკვეთილს).

(და არა: შეეკოთხა მან მას ის).

ევედრება ის (კაცი) მას (დმერთს) მას (შემწვობას).

რა ქნა?

შეევედრა ის (კაცი) მას (დმერთს) მას (შემწვობას).

(და არა: შეევედრა მან მას ის)

პპირდება ის (მამა) მას (შვილს) მას (სათამაშოს).

რა ქნა?

შეპპირდა ის (მამა) მას (შვილს) მას (სათამაშოს).

(და არა: შეპპირდა მან მას ის)

უყვება ის (დედა) მას (გოგონას) მას (ზღაპარს).

რა ქნა?

მოუყვა ის (დედა) მას (გოგონას) მას (ზღაპარს).

(და არა: მოუყვა მან მას ის)...

თუმცა, ჩვეულებრივ, სამპირიან ზმნაში ობიექტურ პირთაგან ერთი პირდაპირი ობიექტია, მეორე კი - ირიბი:

გაუგზავნა მან(სუბიექტი) მას (ირიბი ობიექტი) ის (პირდაპირი ობიექტი).

მოსთხოვა მან (სუბიექტი) მას (ირიბი ობიექტი) ის (პირდაპირი ობიექტი) და ა.შ.

ორპირიან ზმნაში სუბიექტთან ერთად ხან პირდაპირი ობიექტია (აშენებს კაცი სახლს, ააშენა კაცმა სახლი), ხანაც - ირიბი (ეფარება მსოფლიოს, მოეფარა მზე ღრუბელს).

ერთპირიან ზმნაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ მხოლოდ სუბიექტია (დგას ხე, გღია ქვა...). გამონაკლის შემთხვევებზე შემდგომ გვექნება საუბარი.

აქვე შევნიშნაოთ, რომ, თუ ზმნას პირდაპირი ობიექტი ეწყობა, მას გარდამავალს უწოდებენ, მაგრამ, თუ ზმნასთან მხოლოდ სუბიექტია შეწყობილი, ან სუბიექტი და ირიბი ობიექტი, ის გარდაუვალი იქნება. ნათქვამიდან გამომდინარე, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, სამპირიანი - ჩვეულებრივ გარდამავალი, ორპირიანი კი გარდამავალიც შეიძლება იყოს და გარდაუვალიც (უფრო დაწვრილებით გარდამავლობასე შემდგომ ვისაუბრებთ).

ახლა ერთ საკითხზე მინდა შევასიროთ თქვენი ყურადღება:

ზმნასთან შეწყობილ პირის ნაცვალსახელთაგან მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელია ბრუნებადი: ის/იგი სახელობითია, (ი)მან - მოთხრობითი, (ი)მას - მიცემითი... ამიტომ იმის გასარკვევად, ობიექტი პირდაპირია (ანუ ბრუნევადადობა: ხან არის მას, ხანაც - ის) თუ ირიბი (ანუ ბრუნევადაცვლეულია: ყოველთვის არის მას), არავითარი პრობლემა არ არსებობს; მაგრამ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ხომ უბრუნევადადობა: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, როგორც ცნობილია, სახელობითიც შეიძლება იყოს, მოთხრობითიცა და მიცემითიც, რაც, ცხადია, ოდნავ ართულებს საქმეს; მაგრამ საკმარისია ამ ნაცვალსახელებს შევუნაცვლოთ არსებითი სახელი და მველაფერი თვალსაჩინო გახდება, გაირკვევა, უბრუნეველ ფორმაში რომელი ბრუნევა იგულისხმება და, აქედან გამომდინარე, როგორია ობიექტი - პირდაპირი თუ ირიბი.


ნათქვამის ნათელსაყოფად შევეუდაროთ ერთმანეთს ორი ზმნა: გათ-

ბოხს ის შენ და გეფერება ის შენ.

ორივე სმნა ორპირიანია, ორივეს ობიექტად აქვს შენ, მეორე პირის უბრუნველი ნაცვალსახელი. არსებითი სახელით შენაცვლების შემთხვევაში გვექნება:

გაობოხს ის შენ (ადამიან-ს), რა ქნა? - გაგათბო მან შენ (ადამიან-ი). მაგრამ: გეფერება ის შენ (ადამიან-ს), რა ქნა? - მოგიფერა ის შენ (ადამიან-ს). მაშასადამე, პირველ სმნაში (გათბობს) შენ, რამელიც ერთ შემთხვევაში მიცემით ბრუნვას გადმოსცემდა, მეორეში კი - სახელობითს, არის პირდაპირი ობიექტი, მეორე სმნაში კი (გეფერება) შენ ირიბი ობიექტია, რადგან ორივე შემთხვევაში იგი მიცემით ბრუნვაში იგულისხმება.

აღბათ გასმენიათ ასეთი გამოჩათქვაში: ქართული სმნა პოლიპერსონალურიაო („პოლი“ - მრავალი, „პერსონა“ - პირი), ე.ი. მრავალპირიანი. იგი ხომ იმდენპირიანია, რაძედნ ნაცვალსახელსაც შეიგუებს აპრობირივად: ერთს, ორს, სამს, იშვიათად ოთხსაც კი; მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული სმნის მრავალპირიანობის განმსაზღვრელი მხოლოდ ეს არ არის, რადგანაც პირის ნაცვალსახელთა შეწყობა სმნასთან აპრობირივად ნებისმიერ ენაში შეიძლება. უდრ.: დაუხატე მე ის, нарисовал я его, I painted him... გაუუგზაუნე მე მას ის, послал я ему то, I sent it to him და ა.შ. მთავარი, გადაშვევები ისაა, რომ ამ შეწყობილ პირს, სუბიექტსა და ობიექტს (თუ ობიექტებს) თავისი ნიშანი უნდა აქირდეს სმნის ფორმაში. როდესაც, მაგალითად, რუსულად მოსაუბრე ამბობს სმნას нарисовал, აუცილებლად აზუსტებს მას შესაბამისი ნაცვალსახელებით, რადგან იცის, რომ იგი უამრავ შესაძლო მნიშვნელობას იტევს:



ე.ი. ერთ нарисовал ფორმას მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება აქონდეს, ქართულში კი თითოეული ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად განსხვავებულ ფორმას ვიყენებთ: დაუხატე (я нарисовал тебя), დაგუხატე (я нарисовал его), დაშუხატე (ты нарисовал меня), დახატე (ты нарисовал его), დაშუხატა (он нарисовал меня), დაგუხატა (он нарисовал тебя), დახატა (он нарисовал его) და ა.შ.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქართულ ენაში ზმნასთან შეწყობილ პირებს, სუბიექტსაც და ობიექტსაც, „თავისი წარმომადგენელი ჰყავთ“, თავისი ნიშანი აქვთ ზმნაში.

შევუდაროთ ერთმანეთს ორი ზმნა: **შევაქე მე** ის და **შემაქო მან** მე. ორივე ზმნასთან გვაქვს პირის ნაცვალსახელი მე, ოღონდ პირველი ზმნისთვის (შე-ვა-ქე) მე სუბიექტია და ზმნაშიც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ჩანს - ვ, მეორე ზმნაში კი (შე-მა-ქო) მე ობიექტია და ზმნაში იგი შესაბამისად პირველი ობიექტური პირის მნიშნით არის წარმოდგენილი. სწორედ ამის წყალობითაა, რომ ქართული ზმნის ფორმებთან შესაბამისი ნაცვალსახელების დართვის აუცილებლობა არც არის, თუ, რა თქმა უნდა, საგანგებოდ, ხაზგასმით არ გვინდა მათზე ყურადღების გამახვილება. რუსულში ეს აუცილებელია, რადგანაც ზმნა **похвалил** მხოლოდ ნაცვალსახელების შეწყობის შედეგად აზუსტებს თავის მნიშვნელობას: **похвалил я его** (შე-ვა-ქე), **похвалил он меня** (შე-მა-ქო).

ამგვარად, ქართულში თითოეულ პირს, სუბიექტსაც და ობიექტსაც (პირველს, მეორეს, მესამეს, მხოლოდით რიცხვშიცა და მრავლობითშიც) თავისი ნიშანი აქვს ზმნაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ ზმნაში შეიძლება აისახოს სუბიექტური პირიც, პირდაპირობიექტურიცა და ირიბობიექტურიც. სწორედ ამიტომ ითვლება იგი მრავალპირიანად. აქვე შევნიშნავთ, რომ რეალურად ქართული ზმნის ფორმაში შეიძლება ჩანდეს: ა) მხოლოდ სუბიექტი, ბ) მხოლოდ ობიექტი, გ) სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, დ) სუბიექტი და ირიბი ობიექტი. მეორე ირიბი ობიექტი, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეეწყოს ქართულ ზმნას, პირის ნიშნით არასოდეს არ არის წარმოდგენილი (სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ქართული ზმნის ოთხპირიანობა საყოველთაოდ გაზიარებული არ იქნა).

კიდევ ერთხელ გადავხედოთ სხვა ენებს პირის გამოხატვის უნარის თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარსული დროის ფორმებში რუსული ენა ვერ ახერხებს პირზე მითითებას, მაგრამ ახლანდელი და მომავალი დროის ფორმებში მას შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ერთი პირი - სუბიექტური (ეს ხერხდება საგანგებო დაბოლოებით):

я рисую	(მომავ. нарикую)
ты рисуешь	(нарикуюшь)
он/она рисует	(нарикуюет)
мы рисуем	(нарикуюем)
вы рисуете	(нарикуюете)
они рисуют	(нарикуюют)

ამიტომ ითვლება რუსული ზმნა ერთპირიანად.

რაც შეეხება ინგლისურ ზმნას, იგი მხოლოდ აწმყო განუსაზღვრელი დროის (The Present Indefinite Tense) მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში გვაძლევს განსხვავებულ ფორმას:

I paint

You paint

He/She paints

ამდენად, ცხადია, ვერც ის ჩათვლება მრავალპირიანად, თუმცა; როგორც აღვნიშნეთ, რუსულ ზმნასაც და ინგლისურ ზმნასაც ისევე შეიძლება შეეწიოს აზრობრივად პირის ნაცვალსახელები, როგორც ამას ქართული ზმნა ახერხებს.

ის, რომ ქართულ ზმნას შეუძლია ასახოს სუბიექტური პირებიცა და ობიექტურიც, სირთულესთან ერთად, მის უდიდეს სიმდიდრესა და არაჩვეულებრივ გამომსახველობაზე მიუთითებს. ისევე დიდ ილიას მოეუხმინოთ: „... განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნეობა და ნამეტნადად მისი მართლად გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარი ფორმების წყალობით, მარტო ერთი ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად, გამოითქმის... ბევრი გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა...“

ახლა კი უფრო დაწვრილებით შევეხოთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნებს. სიმარტივისათვის ზოგჯერ მათ ლათინური ასოებით აღვნიშნავთ: სუბიექტი S (შესაბამისად: S₁, S₂, S₃), პირდაპირი ობიექტი - პ.О, ირიბი ობიექტი - ირ.О (შესაბამისად: O₁, O₂, O₃).

სუბიექტური პირის ნიშნები
მხოლოებითა და გრავლობით რიხნებში
(მათლწარის საბითხმბითრთ)

პირველი სუბიექტური პირის (S₁) ნიშანი არის თავსართი ანუ პრეფიქსი **გ**: **გ-არ**, **გ-აშენებ**, **გ-უქებდი**, **გ-ოცნებობ**, **გ-მალაედე**, **გ-თბები...** ზმნისწინის არსებობის შემთხვევაში **გ** მოსდევს მას: **ა-გ-აშენებ**, **შე-გ-უქებდი**, **და-გ-მალაედე**, **გა-გ-თბები...**

მრავლობით რიცხვში პირველი სუბიექტური პირის ნიშნად რჩება **გ**, ოღონდ მრავლობითობის გამოსახატავად მას -**თ** ბოლოსართი ანუ სუფიქსი ემატება: **გ-არ-თ**, **გ-აშენებ-თ**, **გ-უქებდი-თ**, **გ-ოცნებობ-თ**, **გ-მალაედე-თ**, **გ-თბები-თ...**

თუ ზმნა **გ** ბერით იწყება, პირველი სუბიექტური პირის ფორმაში აუცილებლად ორი **გ** არის საჭირო (რომელთაგანაც პირველი არის პირის ნიშანი, მეორე - ზმნის ფუძისეული თანხმოვანი): **გ-გარჯიშობ(თ)**, **გ-გარცხნი(თ)**, **გ-გარაუდობ(თ)**, **გ-გარდები...ე.წ.** მეშველზმნიან ფორმებში, როგორცაა, მაგალითად, **გ-ზი-გ-არ**, **და-გ-ბადებულ-გ-არ(თ)**, **გა-გ-ზრდილ-გ-არ(თ)**, **გა-გ-მთბარ-გ-არ(თ)** და ა.შ. პირველი სუბიექტური პირი ორმაგადაა წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **გ** ზმნაში ყოველთვის გვაქვს (გამონაკლისია ორი შემთხვევა, რომელთაც მოგვიანებით შევხებით), ზოგჯერ ის გაორმაგებულიც კია.

რა არის ამის მიზეზი?

1. რთული ზმნის პირველი ნაწილი ძველ ქართულშიც პირიანი ფორმა იყო, მაგრამ ახალ ქართულში მას სხვა ზმნის მიშველება დასჭირდა... რადგან პირის ნიშანი პირველ ზმნას დღემდე შემორჩა, მეშველ ზმნას კი თავისი ნიშანი ჰქონდა, ამიტომ ერთ ფორმაში ორი ნიშანი მივიღეთ (ა.შანიძე). მაგალითად, ძველ ქართულში „გზივარ“ ზმნის ნაცვლად ამბობდნენ **გ-ზი**. პირველ სუბიექტურ პირში **გ-არ** მეშველი ზმნის დართვამ გამოიწვია პირის ნიშნის გაორმაგება: **გ-ზი-გ-არ**.

2. რთული ზმნის პირველი ნაწილი ძველად უპირო ზმნა იყო, პირსაც და რიცხვსაც მეშველი ზმნა აღნიშნავდა: **ყოფილ გ-არ**, **ყოფილ გ-არ-თ**. შემდეგ ეს ორი ნაწილი გაერთიანდა და პირის ნიშან-

ნი ზმნამ თავშიც დაირთო (ა.შანიძე): გ-ყოფილ-გ-არ, გ-ყოფილ-გ-არ-თ.

მეორე სუბიექტური პირის (S₂) ნიშნად ძველ ქართულში, Y-YII საუკუნეებში, ე.წ. „ხანმეტობის ხანაში“, ხ- თავსართი გვექონდა (ამ საკითხზე ჩვენ ადრე ვისაუბრეთ (იხ.ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი პირველი, 1997, გვ. 11-12). ხ- პრეფიქსიან ფორმათაგან დღეს მხოლოდ ორი ზმნა შემოგვრჩა: ხ-არ (შდრ.: გ-არ) და მო-ხ-ვალ (მო-ხ-ვედი, წა-ხ-ვალ, წამო-ხ-ვედი... **სვლა** ზმნის აღმნიშვნელი ფორმები სხვადასხვა ზმნისწინდართული შეიძლება შეგვეხედეს). მო-ხ-ვალ ზმნა მეორე სუბიექტური პირის ფორმაა, პირველ სუბიექტურ პირში წესით მო-გ-ვალ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, გ-ზე დაწყებული ზმნური ფუძეებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ორი გ გვაქვს (გ-ვარდები, გ-ვარჯიშობ...), ამ ზმნაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი: მო-ვალ, წა-ვედი... ეს ზმნა ერთ-ერთია იმ ორი გამონაკლისიდან, როდესაც ზმნის ფორმაში არ არის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი.

ის, რომ ვალ//ვედ ზმნაში (მო-ვალ, წა-ვედი...) პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არ იწერება, არავითარ გაურკვეველობას არ ქმნის, რამდენადაც პირველი და მეორე პირის ფორმები მაინც განსხვავებულია ერთმანეთისაგან: (მე) მო-ვალ, (შენ) მო-ხ-ვალ; (მე) წა-ვედი, (შენ) წა-ხ-ვედი... გ-თი დაწყებულ სხვა ზმნებში კი ორი გ აუცილებელია, სხვაგვარად პირველი და მეორე პირის ფორმებს ვერ განვასხვავებდით ერთმანეთისაგან: (მე) ვარჯიშობ, (შენ) ვარჯიშობ; (მე) ვარდები, (შენ) ვარდები... ამიტომაცაა, რომ პირველი სუბიექტური პირისათვის ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულია გ-ვარჯიშობ, გ-ვარცხნი, გ-ვაჭრობ, გ-ვარდები და ა.შ.

YIII საუკუნიდან, ე.წ. „პაემეტობის ხანაში“, მეორე სუბიექტური პირის (S₂) ნიშნად ჰ- თავსართი გვხვდება (ფეიქრობ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ **ხანმეტ ლექციონარში**, რომელიც მე-7 საუკუნის II ნახევრის ძეგლია, ა.შანიძემ 165 „ხანმეტ“ ფორმასთან ერთად 7 „პაემეტი“ ფორმაც დაადასტურა).

ჰ ქართულში საზოგადოდ სუსტი ბგერაა (ა.შანიძე) და იგი შეიძლება ადვილად დაიკარგოს. ასე დაემართა მას უპირველესად ხმოვნების წინ (შე-ჰ-ეწიე → შე-ეწიე, ჰ-იხილე → იხილე...), შემდეგ - ისე

თი თანხმონების წინ, როგორცაა: ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ. „მართლაც, ჯგუფები: ჰხ, ჰღ, ჰს, ჰზ, ჰშ, ჰჟ ძნელი გამოსათქმელია და ამიტომ ჰ-ს დაკარგვა ასეთ ბგერებთან ხშირია“ (ა.შანიძე). ჰ- პროფიქსი ქართულმა ენამ დღემდე შემოინახა გ, ქ, ძ, ბ, ფ, პ, ყ ბგერების წინ: პ-გალობ, პ-კივი, პ-პოვე და ა.შ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ჰ- თავსართი არ უნდა ვიხმართ (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 193).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჰ სუსტი ბგერაა ქართულში. იგი ან იკარგება, ან „ადვილად ეგუება მომდევნო ბგერის გამოთქმას“ (ა.შანიძე). ეს შეგუება იმაშიც გამოიხატა, რომ ჰ ბგერა ცხრა თანხმონის - დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ - წინ შეიცვალა ს-თი. ასე რომ, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად მომდევნო საუკუნეებში ს-თავსართიც გვხვდება. აღნიშნული ბგერების წინ ს- დღესაც შეიძლება შეგვხვდეს: ს-ტირი, ს-თელემ, ს-ტამ, ს-ჩივი, ს-ცხოვრობ და ა.შ. მაგრამ, ჰ-ს მსგავსად, ნორმების მიხედვით, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ს-თავსართის ხმარება არ არის საჭირო (ნორმები, გვ. 193).

ამრიგად, თანამედროვე ქართულში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი აქვს მხოლოდ ორ ზმნას, ეს არის ს-თავსართი ს-არ და მოსვალ ზმნებში. დანარჩენ ზმნებთან მეორე სუბიექტური პირის ნიშნად 0 (ნული) გვაქვს (უნიშნობაც ხომ ნიშანია): -აშენებ, -უქებდი, -ოცნებობ, -მალავდე, -თები (შენ) და ა.შ.

მრავლობით რიცხვში მეორე სუბიექტური პირის ფორმას ემატება -თ ბოლოსართი (პირველი სუბიექტური პირის მსგავსად): ს-არ-თ, მოსვალ-თ, მოსვედი-თ, წა-სვალ-თ, აშენებ-თ, უქებდი-თ, ოცნებობ-თ, მალავდე-თ, თები-თ და ა.შ.

მესამე სუბიექტური პირის (S₃) ნიშნად ქართულ ზმნას ბოლოსართები ანუ სუფიქსები აქვს. ესენია:

-ს: წერ-ს, ხატავ-ს, ააშენებ-ს, შეუქო-ს, ეოცნებო-ს, მალავდე-ს და ა.შ.

-ა: წერდ-ა, დახატ-ა, ააშენებდ-ა, შეუქებდ-ა, ეოცნებ-ა, დამალ-ა და ა.შ.

-თ: იყ-თ, მოიგ-თ, შეუქ-თ, დად-თ, წააგ-თ და ა.შ.

ამ საბი ნიშნიდან როდის რიშეულია საჭირო, იმაზე დამოკიდებული, თუ რომელი დროის, რომელი კილოს, რომელი გეარის და ა.შ. ფორმაა მოცემული ზმნა, როგორია სტრუქტურა, აგებულება ზმნური ფუძისა. შდრ., მაგალითად, მალაე-ს, დამალაე-ს, მალაედე-ს (S₃-ს), მაგრამ: მალაედე-ბ, დამალაედე-ბ, დამალ-ბ (S₃=ბ), ან კიდევ: იგებ-ს (S₃=ს), იგებდე-ბ (S₃=ბ), მოიგ-ო (S₃=ო).

მესამე პირის ს, ა, თ სუფიქსთა განაწილებას თავისი წესები აქვს. მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვშიც ბოლოსართები იგაქვს:

-ენ: წერ-ენ, ხატავენ, ააშენებენ, შეუქებენ, ოცნებობენ, დამალავენ...

-ნენ: წერდნენ, ხატავდნენ, ააშენებდნენ, შეუქებდნენ, ოცნებობდნენ, დამალავდნენ...

-ან: არი-ან, დგან-ან, მოდი-ან, წვან-ან...

-ნ: მოიგონ, დააწყო-ნ, წააგონ, თქვა-ნ, გახადონ...

-ეს: დაწერეს, დახატეს, ააშენეს, შეუქებეს, იოცნებეს, მოიტანეს...

ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: თუ პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში პირისა და რიცხვის ნიშნები გარჩეული იყო (პირს თავსართი გამოხატავდა, ხოლო რიცხვს - ბოლოსართი), მესამე სუბიექტური პირის ფორმაში სხვაგვარი ვითარება გვაქვს: ჩამოთვლილი ბოლოსართები (-ენ, -ნენ, -ან, -ნ, -ეს) ერთსა და იმავე დროს ორ ფუნქციას ითავსებენ - გამოხატავენ მესამე პირსაც და მრავლობით რიცხვსაც, ე.ი. ერთდროულად მესამე სუბიექტური პირის ნიშნებიც არიან და მრავლობითი რიცხვისაც.

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნებს ცხრილის სახით წარმოვადგენთ. თვალსაჩინოებისათვის მათ თითო მაგალითსაც დაეურთავთ.

მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
S ₁ გ:	გ-არ	S ₁ გ - თ:	გ-არ-თ
S ₂ ხ:	ხ-არ	S ₂ ხ - თ:	ხ-არ-თ
(პ-)	(პ)-კივი	(პ) - თ:	(პ)კივი-თ
(ს-)	(ს)-წყრები	(ს) - თ:	(ს)წყრები-თ
0	აქებ	0 - თ:	აქებ-თ

მხოლოდობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
S3 -ს:	არი-ს	S3 -ან:	არი-ან
-ბ:	გაუწყებ	-ენ:	წერ-ენ
-ო:	შეაქო	-ნენ:	გაუწყებ-ნენ
		-ნ:	შეაქო-ნ
		-ეს:	ააშენ-ეს.

ოპიქტური პირის ნიშნები მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში

(მათლადის საბითხამითათ)

ობიქტურ პირებს, პირდაპირსაც და ირიბსაც, პირის ნიშნებად თავსართები აქვთ (გაეიხსენოთ: სუბიქტურ პირს პირველსა და მეორე პირში თავსართები აქონდა, ხოლო მესამე სუბიქტური პირი ბოლოსართით იყო წარმოდგენილი). გარდა ამისა, პირდაპირი ობიქტიცა და ირიბი ობიქტიც ზმნაში ერთნაირი ნიშნებითაა წარმოდგენილი.

პირველი ობიქტური პირის (O₁) ნიშანია მ- პრეფიქსი. ზმნაში მ-ათობ-ს ის(S₃) მე(O₁) მ- თავსართით პირველი პირის პირდაპირი ობიქტია გამოსატული (მათობს ის მე (კაც-ს), რა ქნა? - გამათობ მან მე (კაცი)), ხოლო ზმნაში მ-ითობ-ს ის(S₃) მე(O₁) მას(O₂) მ-პრეფიქსით პირველი ირიბობიქტური პირია წარმოდგენილი (მითობს ის მე (კაც-ს) მას (სახლ-ს), რა ქნა? - გამითობ მან მე (კაც-ს) ის (სახლ-ი)).

თუ ზმნა მ თანხმონით იწყება, ცხადია, ზმნაში ორი მ მოიყრის თავს: მ-მალავს, მ-მართავს, მ-მართებს, შე-მ-მატა, მო-მ-მართა, გა-მ-მაგრებია და ა.შ.

მრავლობით რიცხვში პირველი ობიქტური პირის ნიშნად გვ-თავსართი გვაქვს (პირდაპირისთვისაც და ირიბისთვისაც). გვ-პრეფიქსს ორი ფუნქცია აქვს (მსგავსად მესამე სუბიქტური პირის მრავლობითობის გამომხატველი -ან, -ენ, -ნენ, -ნ, -ეს ბოლოსართები-

სა): გამოხატავს პირველ ობიექტურ პირსაც და მრავლობით რიცხვსაც ერთდროულად. ზმნაში გვათბობს ის(S₃) ჩვენ(O₁) გვათავსართი პირველი პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობას გვიჩვენებს, გვათბობს ის(S₃) ჩვენ(O₁) მას(O₃) ფორმაში კი ამ გვიპრეფიქსით პირველი ირიბობიექტური პირის მრავლობითობაა გადმოცემული.

თუ ზმნა გვ ბერათკომპლექსით იწყება, პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ორი გვ გვექნება: მო-გვ-გვარა, გვ-გვიმა, და-გვ-გვიანებია და ა.შ.

აღრე, ნაცვალსახელებზე მსჯელობისას, ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჩვენ ნაცვალსახელს ორგვარი გაგება შეიძლება ჰქონდეს (იხ. ლ. გეგუჩიაძე, ქართული ენა, ნაწილი მეორე, გვ. 60):

1. ჩვენ გულისხმობს პირველ პირსა და იმ პირს (ან პირებს), რომელსაც (რომელთაც) ესაუბრება, ანუ ჩვენ გულისხმობს პირველი და მეორე პირის ერთობლიობას. ამას ინკლუსიურ ჩვენ-ს უწოდებენ; და 2. ჩვენ სიტყვით ნაგულისხმებია პირველი პირი და სხვა (ან სხვები), თანამოსაუბრის გამოკლებით, ანუ ჩვენ ნაცვალსახელში პირველი და მესამე პირის ერთობლიობაა წარმოდგენილი, მეორე პირის გამოკლებით. ამას უწოდებენ ექსკლუსიურ ჩვენ-ს.

ჩვენ ნაცვალსახელის ზმნასთან შეწყობისათვის ქართულში არა აქვს მნიშვნელობა იმას, ინკლუსიურია ის თუ ექსკლუსიური, მაგრამ სივანური - ერთ-ერთი ქართველური ენა - მკაცრად განარჩევს მას: ქართული გვ-ამზადებ-ს ის(S₃) ჩვენ(O₁) ზმნის შესატყვისად სვანი ან -გვი-ამზარე“ ფორმას იხმარს, თუ ჩვენ სიტყვაში „მე და შენ“, „მე და თქვენ“ იგულისხმება (ანუ ინკლუსიურია), ან კიდევ - „ნ-ამზარე“ ფორმას, თუ ჩვენ ნაცვალსახელი „მე და მას“, „მე და მათ“ სიტყვათა ერთობლიობას გულისხმობს (ანუ ექსკლუსიურია).

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამგვარი გარჩევა უძველეს ქართულშიც უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა პირველ ობიექტურ პირში პარალელური ფორმების არსებობა: ძველმა ქართულმა გვ-პრეფიქსთან ერთად პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად მ-პრეფიქსიც შემოგვინახა; ე.ი. მათავსართით პირველი ობიექტური პირის მხოლოდითი რიცხვიც იყო გამოხატული და მრავლობითიც. გაეიხსენოთ „მამაო ჩვენოს“ ტექსტი-

დან: „... პური ჩუენი არსობისად **მო-მეც ჩუენ** დღეს და **მო-მიტევენ ჩუენ** თანანადებნი ჩუენნი...“ ამ ფორმებში **მ**- პრეფიქსით **გვ**-ს მნიშვნელობაა გადმოცემული: მომეც ჩუენ = მოგვეცი ჩუენ; მომიტევენ ჩუენ = მოგბრუნე ჩუენ... პირველი ობიექტური პირის მრავლობისთვის გადმოხატვამად ძველ ქართულში ორი ნიშნის არსებობა ავარაუდებინებს მკვლევარს, რომ ერთი მათგანი ინკლუზიური **ჩვენ**-ის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, მეორე კი - ექსკლუზიურისა; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი ქართულის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები გამოიხატული აღარ არის. ორი ნიშნის არსებობა ბევრად უფრო ძველი ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს.

მეორე ობიექტური პირის (O_2) ნიშანია **გ**- თავსარით. ზმნაში **გ-ათბობს** ის(S_3) **შენ**(O_2) **გ**- მეორე პირდაპირობიექტურ პირს გამოხატავს (გათბობს ის **შენ** (კაც-ს), რა **ქნა?** - გაგათბო მან **შენ** (კაცი-ი)), **გითბობს** ის(S_3) **შენ**(O_2) მას(O_3) ზმნაში კი **გ** მეორე ირიბობიექტური პირის ნიშანია (გითბობს ის **შენ** (კაც-ს) მას (სახლ-ს), რა **ქნა?** - გაგითბო მან **შენ** (კაც-ს) ის (სახლ-ი)).

თუ ზმნა **გ** თანხმონით იწყება, მეორე ობიექტური პირის ფორმაში ორი **გ** არის საჭირო: **გ-გავს**, **გ-გონი-ა**, **მო-გ-გვარე**, **გა-გ-გლეჯს**, **გა-გ-გზავნი** და ა.შ.

მრავლობით რიცხვში მეორე ობიექტური პირის ნიშნად რჩება **გ**- თავსართი, მრავლობითობის გამოსახატავად კი **-თ** ბოლოსართი გამოიყენება. **გ-ათბობს-თ** ის(S_3) **თქვენ**(O_2) ზმნაში **გ** - **თ** თავსართ-ბოლოსართი (ანუ კონფიქსი) მეორე პირდაპირობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გადმომცემია (რიგორუზ ვნახეთ **-თ** ბოლოსართის დართვამ შესამე სუბიექტური პირის **-ს** ნიშნის დაკარგვა გამოიწვიო), **გ-ითბობს-თ** ის(S_3) **თქვენ**(O_2) მას(O_3) ფორმაში კი **გ** - **თ** კონფიქსი მეორე ირიბობიექტურ პირს გამოხატავს მრავლობით რიცხვში.

მეორე ობიექტური პირის მრავლობითობის გადმომცემი **-თ** ბოლოსართი შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორმაში. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1. **მო-გ-იტანს** ის(S_3) **შენ**(O_2) მას(O_3) ზმნაში შესამე სუბიექტური პირიც მხოლოდით რიცხვშია (**-ს**) და მეორე ობიექტური პირიც, **შენ**,

რომელიც ზმნაში გ- პრეფიქსითაა გადმოცემული. მეორე ობიექტური პირის მრავლობითობის შექმნაში ზმნას -თ (ობიექტის მრავლობითობის გამოძახატველი) სუფიქსი დაემატება და ზმნა ასეთ სახეს მიიღებს: მო-გ-იტან-~~ს~~-თ ის(S₃) თქვენ(O₂) მას(O₃); მაგრამ, თუ მესამე სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვში აღმოჩნდება, ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში აღუნიშნავი დარჩება. შდრ.: მო-გ-იტან-~~ენ~~ ისინი (S₃) შენ(O₂) მას(O₃) და: მო-გ-იტან-~~ენ~~ ისინი(S₃) თქვენ(O₂) მას(O₃). ასევე იქნება სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც: და-გ-ჭრი-~~ან~~ ისინი(S₃) შენ/თქვენ(O₂), გი-გ-წერო-~~ნ~~ მათ(S₃) შენ/თქვენ(O₂) ის(O₃), გამო-გ-ივ-~~სა~~-ენ-ის მათ(S₃) შენ/თქვენ(O₂) ის(O₃) და ა.შ.

2. როგორც ცნობილია, -თ ბოლოსართი, გარდა მეორე ობიექტური პირის მრავლობითობისა, მეორე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემდაც გამოიყენება. როდესაც ვამბობთ ზმნას გ-აქბ-~~თ~~ და ვგულისხმობთ „მე(S₁) თქვენ(O₂)“ ან „ის(S₃) თქვენ(O₂)“ ნაცვალსახელთა მნიშვნელობას, ე.ი. გ-აქბ-~~თ~~ მე(S₁) თქვენ (O₂), ან გ-აქბ-~~ს~~-თ ის(S₃) თქვენ(O₂), ზმნაში -თ ბოლოსართით მეორე ობიექტური პირის მრავლობითობაა გამოხატული, მაგრამ, თუ გ-აქბ-~~თ~~ ფორმაში პირველი სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვს ვიგულისხმობთ, ე.ი. გ-აქბ-~~თ~~ ჩვენ(S₁) შენ(O₂) ან გ-აქბ-~~თ~~ ჩვენ(S₁) თქვენ(O₂), -თ ბოლოსართი პირველი სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოძახატველად ჩაითვლება და მეორე ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ზმნაში -თ ნიშნით წარმოდგენილი აღარ იქნება.

ვიდრე მესამე ობიექტური პირის ნიშნების შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, კიდევ ერთ საკითხს უნდა შევხებით:

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველი სუბიექტური პირის აღმნიშვნელი გ- პრეფიქსი ზმნაში ყოველთვისაა წარმოდგენილი (ზოგჯერ გაორმაგებულადაც კი). გარდა ორი შემთხვევისა (იხ. გვ. 11). ერთის შესახებ უკვე ითქვა: ესაა ვალ/ვედ ზმნის ფორმა - მო-ვალ, მო-ვედი, წა-ვალ, შემო-ვალ..., რომელშიც ვ ფუძისეული ბგერაა და არა პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (ამას მეორე სუბიექტური პირის ფორმასთან შედარებაც თვალსაჩინოს ხდის: მო-ვალ, მო-ხ-ვალ; მო-ვედი, მო-ხ-ვედი...). მეორე კი შემდეგი გახლავთ: თუ ზმნას ერთდროულად შეეწყო პირველი სუბიექტური პირი და მეორე ობიექ-

ტური პირი (გინდა მხოლოდითი რიცხვის ფორმა იყოს და გინდა მრავლობითისა), პირველი სუბიექტური პირის ნიშანი φ ზმნაში არასოდეს წარმოდგენილი არ იქნება. მაგალითად: გ-ხატავ მე(S_1) შენ(O_2); გ-ხატავ-თ მე(S_1) თქვენ(O_2); გ-ხატავ-თ ჩვენ(S_1) შენ(O_2); გ-ხატავ-თ ჩვენ(S_1) თქვენ(O_2). როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში ზმნას სუბიექტად პირველი პირის ფორმა აქვს შეწყობილი (მხოლოდითში - მე, მრავლობითში - ჩვენ), მაგრამ φ პრეფიქსი ზმნაში არ ჩანს. ანალოგიური მაგალითებია: გ-წერ(თ), გ-თხოვ(თ), გ-იგზავნი(თ), გა-ალამაზებ(თ); მო-გ-იტანე(თ), და-გ-ხატე(თ), შე-გ-მოსე(თ) და ა.შ.

მესამე ობიექტური პირის (O_3) ნიშანი, უფრო სწორად, ნიშნები, ირიბს ისეთივე აქვს, როგორც მეორე სუბიექტურ პირს კჰონდა ისტორიულად. ა.შანიძე წერს: „სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა და ობიექტური ნიშანი მესამე ირიბობიექტური პირისა ერთნაირი ბევრად, მაგრამ ისინი უთუოდ განსხვავებული ფორმებისგან მომდინარეობენ. განსხვავებას მათ შორის მწერლობის შექმნის წინა ხანაში უნდა კჰონდა ადგილი: მოღწეული წერილობითი ძეგლების ენაში ეს განსხვავება არსად დადასტურებული არ არის.“ მაშასადამე, მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნებიც თავსართებია. ესაა: ხ- („ხანმეტობის“ ხანაში), ჰ- („ჰაემეტობისა“ და შემდგომაც), ხ- (ძირითადად; ..9 საუკუნიდან)... ამ ნიშანთაგან ხ- პრეფიქსი მესამე ირიბი ობიექტის აღმნიშვნელად ზმნას აღარ შემორჩა (გაეიხსენოთ ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვრის წარწერებში შემორჩენილი „შე-ხ-უაბ-თ“, „შე-ხ-ეწიე“ ფორმები). განსხვავებით მეორე სუბიექტური პირისაგან, რომელმაც ეს ნიშანი ხ-არ, მო-ხ-ვალ... ფორმებში შემოგვინახა; სამაგიეროდ, ჰ- და ხ- თავსართები, რომელთაც მეორე სუბიექტური პირის აღმნიშვნელად აღარ ვხმარობთ, ირიბი ობიექტის გამოსახატავად აუცილებელია დღესაც. მოგაგონებთ, რომ ჰ- იხმარება ჰ უ ჰ გ ქ კ ყ თანხმოვნების წინ, ხოლო ხ- კი - დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ თანხმოვნების წინ. ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ მესამე ირიბობიექტურ პირს ნიშანი არა აქვს (ნიშანი (0) ნულია).

ენახოთ მაგალითები ყველა შემთხვევისათვის:

ჰ: მი-ჰ-ბაბ-ა მან(S_3) მას(O_3), შე-ჰ-ბედ-ა მან(S_3) მას(O_3)ის(O_3), მო-ჰ-ბან-ა მან(S_3) მას(O_3) ის(O_3).

შე-პ-ფოკია მან(S₃) მას(O₃) ის(O₃), მო-პ-ფარეობა ის(S₃) მას(O₃),
და-პ-ფასიბოლე-ს ის(S₃) მას(O₃).

შე-პ-პირდა ის(S₃) მას(O₃) მას(O₃), მო-პ-პარა მან(S₃) მას (O₃)
ის(O₃), შე-პ-პარეობა ის(S₃) მას(O₃).

პ-გაგ-ის ის(S₃) მას(O₃), მო-პ-გონებობა ის(S₃) მას(O₃), მი-პ-გყარა
მან(S₃) მას(O₃) ის(O₃).

პ-ქ-ჩადა ის(S₃) მას(O₃), და-პ-ქინდა ის(S₃) მას(O₃), შე-პ-ქმნა
ის(S₃) მას(O₃).

მო-პ-ქყო-ა მან(S₃) მას(O₃) ის(O₃), შე-პ-ქვლიში-ა ის(S₃) მას(O₃),
და-პ-ქანკალეზდა ის(S₃) მას(O₃).

მა-პ-ყიდა მან(S₃), მას(O₃) ის(O₃), წა-პ-ყოლოდა ის(S₃) მას(O₃),
პ-ყოფნი-ის ის(S₃) მას(O₃).

ს-: შე-ს-დციშია ის(S₃) მას(O₃), და-ს-დებოდა ის(S₃) მას (O₃), მი-
ს-დევ-ის ის(S₃) მას(O₃).

მო-ს-თხოვა მან(S₃) მას(O₃) ის(O₃), ამო-ს-თხარა მან(S₃) მას(O₃)
ის(O₃), და-ს-თამაშებ-ის ის(S₃) მას(O₃).

შე-ს-ტირა მან(S₃) მას(O₃), შე-ს-ტრყოდა ის(S₃) მას(O₃), მო-ს-
ტყუბ-ს ის(S₃) მას(O₃) მას(O₃).

შე-ს-ტულდა ის(S₃) მას(O₃), მო-ს-ტრობობა ის(S₃) მას(O₃), და-ს-ტა-
ხის ის(S₃) მას(O₃) მას(O₃).

შე-ს-ტოლებობა ის(S₃) მას(O₃), და-ს-ტქეროდა ის(S₃) მას (O₃), მო-
ს-ტილდა ის(S₃) მას(O₃).

მი-ს-წერა მან(S₃) მას(O₃) ის(O₃), შე-ს-წელიმოლე-ის ის(S₃)
მას(O₃), შე-ს-წეხებობა ის(S₃), მას(O₃).

ს-ჯობ-ის ის(S₃) მას(O₃), და-ს-ჯერლება ის(S₃) მას(O₃), შე-ს-ჯავ-
რებოდე-ის ის(S₃) მას(O₃).

მი-ს-ჩერებოდა ის(S₃) მას(O₃), შე-ს-ჩრიან ისინი(S₃) მას(O₃)
მას(O₃), გა-ს-ჩუებობა ის(S₃) მას(O₃).

მო-ს-ჭრა მან(S₃) მას(O₃) ის(O₃), და-ს-ჭირლება ის(S₃) მას(O₃), და-
ს-ჭიმეობა ის(S₃) მას(O₃).

ისეთ ზმნებში კი, როგორცაა: შე-ეწი-ა ის(S₃) მას(O₃)←ძვ. შე-ხ-ეწი-ა, შე-პ-ეწი-ა, და-უწერ-ა მან ((S₃) მას (O₃) ის (O₃)←ძვ. და-ხ-უწერ-ა, და-პ-უწერ-ა, მო-ვარდნი-ა ის მას(O₃), და-მაღვოდ-ა ის (S₃) მას (O₃) და ა.შ. მესამე ირიბობიექტურ პირს თანამედროვე ქართულში ნიშანი არა აქვს.

მრავლობით რიცხვში მესამე ირიბობიექტური პირი ხან წარმოდგენილია -თ სუფიქსით (და-ეც-ა-თ ის(S₃) მათ(O₃), პ-ქონდ-ა-თ ის(S₃) მათ (O₃), პ-ყავდ-ა-თ ის(S₃) მათ(O₃), გა-უთეთრდ-ა-თ ის(S₃) მათ(O₃), მო-პ-კედომი-ა-თ ის(S₃) მათ(O₃) და ა.შ.), ხანაც მესამე ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არ არის (მო-ს-წერ-ა მან(S₃) მას/მათ(O₃) ის(O₃), აუშენ-ა მან(S₃) მას/მათ(O₃) ის (O₃), მო-ს-თხოვ-ეს მათ(S₃) მას/მათ(O₃) ის(O₃), შე-პ-პირდ-ა ის(S₃) მას/მათ (O₃) მას(O₃), მოუკლ-ა მან(S₃) მას/მათ(O₃) ის(O₃), გაუმაგრ-ა მან(S₃) მას/მათ(O₃) ის(O₃), დააწყებინო-ს მან(S₃) მას/მათ(O₃) ის(O₃) და ა.შ.

სხვა ვითარებაა პირის ნიშნების ხმარების თვალსაზრისით მაშინ, თუ ზმნასთან შეწყობილი მესამე ობიექტური პირი პირდაპირია. თანამედროვე ქართულში მესამე პირდაპირობიექტურ პირთან ზოგჯერ შეიძლება იგივე პირის ნიშნები (პ-, ს-) შეგვხედეს, რაც მესამე ირიბობიექტურ პირთან გვაქვს: მო-პ-კლ-ა მან(S₃) ის(O₃), და-ს-ცაღ-ა მან(S₃) ის(O₃), ჩა-ს-თვალო-ს მან(S₃) ის(O₃), გა-პ-ყო მან(S₃) ის(O₃), გა-ს-ტეხ-ა მან(S₃) ის(O₃) და ა.შ., მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, მესამე პირდაპირობიექტურ პირს ნიშანი არა აქვს არც მხოლოდობით რიცხვში და არც მრავლობითში (იხ. ნორმები, გვ. 195), ამიტომ ზემოაღნიშნული ფორმები: მოპკლა, დასცაღა, ჩასთვალა, გაპყო, გასტეხა და ა.შ. შეცდომად უნდა ჩაითვალოს. სწორია: მოკლა, დაცაღა, ჩათვალა, გაყო, გატეხა და ა.შ. ცხადია, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ზმნათა ის ერთპირიანი ფორმებიც, რომელთაც საერთოდ არ ეწყობათ (არც არასოდეს პქონიათ) ობიექტური პირი, ზმნაში კი სუბიექტურთან ერთად ობიექტის ნიშანიცაა წარმოდგენილი. ვგულისხმობთ პ-ქრი-ს ის(S₃), ს-დგა-ს ის(S₃), ს-ჩან-ს ის(S₃), ს-დუღდ-ა ის(S₃),

პ-ქვაოდეს ის(S₃) და ა.შ. ფორმებს. სწორია: ქრი-ს, ლგა-ს ჩან-ს, ლუჯღ-ა, ქვაოდეს და ა.შ.

იმის დასადასტურებლად, რომ ზმნაში არ აისახება არც მესამე პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა, წარმოვადგენთ სხვა მაგალითებსაც: იხმობ-ს ის(S₃) მასშათ(O₃), ნახო-ს მან(S₃) ის/ისინი(O₃), დახატ-ა მან(S₃) ის/ისინი(O₃), შეუგზავნო-ს მან (S₃) მას(O₃) ის/ისინი(O₃) და ა.შ.

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, იუ ეს მრავლობითობა გამოხატული იყო სახელობით ბრუნვაში მდგარი ნარიანი ფორმით, ყოველთვის აღინიშნებოდა ზმნაში -ენ, ნ სუფიქსებით: -ენ იყო პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმაში, -ნ - მესამე პირისაში. მაგალითად: მე(S₁) და-ვ-ხატე სურათ-ი(O₃), მაგრამ: მე სურათ-ნი და-ვ-ხატ-ენ. შენ(S₂) დახატე სურათ-ი, მაგრამ: შენ სურათ-ნი დახატ-ენ. მან(S₃) დახატ-ა სურათ-ი, მაგრამ: მან სურათ-ნი დახატ-ნ-ა.

გავიხსენოთ ცნობილი ციტატა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებოიან“: „მამამან შენმან აკლმართნა სამარტკლე-ნი და ეკლესია-ნი ადაშწნ-ნა, ხოლო შენ მამისა შერისა საქმენ-ი განპრკუენ-ენ და სხუად გარდააქცი-ენ კეთილ-ნი მის-ნი; მამამან შენმან წმიდა-ნი შემოიხუენ-ა სახით თვსა, ხოლო შენ დევ-ნი შემოიხუენ-...“ ან კიდევ სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“: „მივეც ერთი დიდებული, თანა სპა-ნი წავატან-ენ“, „ღურაჯ-ნი მიესც-ენ...“, „მან, გლახ, იგი-ნი დახად-ნა მტერთაცა საწყალობელად, ჰკრ-ნა ერთმანერთსა, დახოც-ნა თავ-სა ხელაუპყრობელად“ და ა.შ.

ობიექტური პირის ნიშნებთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: შემოთ უკვე ითქვა (იხ. გვ. 7), რომ ერთპირიან ზმნებში, ჩვეულებრივ, სუბიექტური პირი არისო წარმოდგენილი, და იქვე იქნა მითითებული გამონაკლისების არსებობაც. აი, ეს გამონაკლისებიც: მ-ძინაე-ს, გ-ძინაე-ს, ს-ძინაე-ს, მ-ღვიძაე-ს, გ-ღვიძაე-ს; მ-ეძინებ-ა, გ-ეძინებ-ა; მ-აურეოლებ-ს, გ-აურეოლებ-ს; მ-აკანკალებ-ს, გ-აკანკალებ-ს და სხვა. ეს ზმნები დღეს ერთპირიანებია, მაგრამ მათ ორი ნიშანი აქვთ პირისა: მესამე სუბიექტურისა (ბოლოსართი -ს ან -ა) და ობიექტურისა (O₁ მ-, O₂ გ-, O₃ ს-). საინ-

ტერესოა ისიც, რომ ამ ზმნებში, რომელთაც ერთი პირი (S) დაკარგული აქვთ, რეალურ სუბიექტად იმ პირს აღვიქვამთ, რომელიც ზმნაში ობიექტური პირის ნიშნებითაა წარმოდგენილი: მე - მ-(მ-ძინავ-ს), შენ გ- (გ-ძინავ-ს), მას - ს-(ს-ძინავ-ს)... ასეთივე ვითარებაა მრავლობით რიცხვშიც: ჩვენ - გვ-(გვ-ძინავ-ს), თქვენ - გ - თ (გ-ძინავ-თ), მათ - ს - თ (ს-ძინავ-თ); ჩვენ გვ-ღვიძავ-ს, ჩვენ გვ-ეძინებ-ა, თქვენ გ-ეძინებ-ათ, ჩვენ გვ-აურყოლებ-ს, ჩვენ გვ-აკანკალებ-ს და ა.შ.

შეგნიშნავთ, რომ სოციალური ამ ზმნათაგან შეიძლება ორპირიანი გაგებითაც შეგვხვდეს:

მ-აურყოლებ-ს	}	ის (S ₃ =იმის შეხედვა)	}	მე(O ₁)
გვ-აურყოლებ-ს				ჩვენ(O ₁)

მ-აკანკალებ-ს	}	ის (S ₃ =სიცივე, შიში...)	}	მე(O ₁)
გვ-აკანკალებ-ს				ჩვენ(O ₁)

და ა.შ.

ამ შემთხვევაში ყველაფერი რიგშია: სუბიექტს თავისი ნიშანი აქვს (-ს), ობიექტს - თავისი (მ-, გ-).

რამდენიმე ზმნას თანამედროვე ქართულში ისეთი აგებულება აქვს, რომ, დადგენილი წესის გათვალისწინებით, მათ ს- თავსართი არ უნდა აქონდეთ. ეს ზმნებია: გასტანს (გასტანდა, გასტანდეს, გასტანა, გასტანოს), გასწევს (გასწევდა, გასწევდეს, გასწია, გასწიოს), ასწევს (ასწევდა, ასწევდეს, ასწია, ასწიოს), გამოსცემს (გამოსცემდა, გამოსცემდეს, გამოსცა, გამოსცეს), გასცემს (გასცემდა, გასცემდეს, გასცა, გასცეს). რის საფუძველზე ვამბობთ ამას? იმის საფუძველზე, რომ ეს ზმნები ან ერთპირიანებია (გასტანს, გასტანდა...), რაც გაუმართლებელს ხდის მათში ობიექტური პირის ნიშნის არსებობას, ან - ორპირიანები, მაგრამ ობიექტად მათ პირდაპირი აქვთ და არა ირიბი (გასწია მან ის, გამოსცა მან ის...), რაც ასევე გამორიცხავს პირის ნიშნის საჭიროებას; მაგრამ დავიმახსოვროთ: ამ ზმნებში ს- თავსართი უნდა დარჩეს, რამდენადაც იგი შესაბამე პირში ფუძესთან შესორცეხულად ითვლება (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 202).

ობიექტურ პირთა ნიშნებს ცხრილის სახით წარმოვადგენთ
(თვალსაზიარებებისათვის - ქველა შემთხვევის გათვალისწინებით - მაგალითებითურთ)

პირდაპირობიექტური პირი	ორიბიექტური პირი
<p>მხოლოებითი რიცხვი</p> <p>O₁ მ: მ-ათობ-ს ის მე</p> <p>O₂ გ: გ-ათობ-ს ის შენ</p> <p>O₃ მ: ათობ-ს ის მას</p>	<p>მხოლოებითი რიცხვი</p> <p>O₁ მ: მ-ყავ-ს ის მე მ-გავ-ს ის მე მ-ძულ-ს ის მე მ-წერ-ს ის მე მას მ-იხარ-ა ის მე მ-ითობ-ს ის მე მას</p> <p>O₂ გ: გ-ყავ-ს ის შენ გ-გავ-ს ის შენ გ-ძულ-ს ის შენ გ-წერ-ს ის შენ მას გ-იხარ-ა ის შენ გ-ითობ-ს ის შენ მას</p> <p>O₃ მ: მ-ყავ-ს ის მას მ-გავ-ს ის მას ს-: ს-ძულ-ს ის მას ს-წერ-ს იმ მას მას მ: უხარ-ა ის მას უთობ-ს ის მას მას</p>
<p>მრავლობითი რიცხვი</p> <p>O₁ გვ: გვ-ათობ-ს ის ჩვენ</p> <p>O₂ გ - (თ): გ-ათობ-თ ის თქვენ მაგრამ: გ-ათობ-ენ ისინი თქვენ</p>	<p>მრავლობითი რიცხვი</p> <p>O₁ გვ: გვ-ყავ-ს ის ჩვენ გვ-გავ-ს ის ჩვენ გვ-ძულ-ს ის ჩვენ გვ-წერ-ს ის ჩვენ მას გვ-იხარ-ა ის ჩვენ გვ-ითობ-ს ის ჩვენ მას</p> <p>O₂ გ - (თ): გ-ყავ-თ ის თქვენ გ-გავ-თ ის თქვენ გ-ძულ-თ ის თქვენ</p>

პირდაპირობიექტური პირი	ორბობიექტური პირი
<p>$O_3 0$: აუბობ-ს ის მათ</p>	<p>გ-წერ-თ ის თქვენ მას გ-იხარია-თ ის თქვენ გ-ითბობ-თ ის თქვენ მას მაგრამ: გ-ითბობ-ენ ისინი თქვენ მას $O_3 3$ - (თ): ჰ-ყავ-თ ის მათ მაგრამ: ჰ-გაე-ს ის მათ ს - (თ): ს-ტულ-თ ის მათ მაგრამ: ს-წერ-ს ის მათ მას 0 - (თ): უხარი-ა-თ ის მათ მაგრამ: უთბობ-ს ის მათ მას</p>

სუბიექტური წყობა და ობიექტური წყობა

რიგობრივ არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართულ ზმნაში საგანგებო ნიშნითაა წარმოდგენილი სუბიექტიცა და ობიექტიც, თუმცა შეიძლება ზმნაში ხან მხოლოდ სუბიექტური პირი ჩანდეს (გ-ხატავ), ხან - მხოლოდ ობიექტური (გ-ხატავ), ხანაც - სუბიექტურიცა და ობიექტურიც (მ-ხატავ-ს), ან არც ერთი (ხატავ). როდესაც ზმნას ვაუღლებთ (ანუ ვკვლით მას პირისა და რიცხვის მიხედვით), შეიძლება:

ა) ვცვალოთ მხოლოდ სუბიექტური პირი და უცვლელი დავტოვოთ ობიექტური:

მე(S_1)	ვ-ხატავ	} მას(O_3)
შენ(S_2)	ხატავ	
ის(S_3)	ხატავ-ს	
ჩვენ(S_1)	ვ-ხატავ-თ	
თქვენ(S_2)	ხატავ-თ	
ისინი(S_3)	ხატავ-ენ	

ან კიდევ: ბ) ვცვალოთ ობიექტური პირი და სუბიექტური კი უცვლელი დავტოვოთ:

ის(S ₃)	}	მ-ხატავ-ს	მე(O ₁)
		გ-ხატავ-ს	შენ(O ₂)
		ხატავ-ს	მას(O ₃)
		გე-ხატავ-ს	ჩვენ(O ₁)
		გ- ხატავ- ს ო	თქვენ(O ₂)
		ხატავ-ს	მათ(O ₃)

იმგვარ წყობას, როდესაც იცვლება სუბიექტის პირები (რიცხვის მიხედვითაც), ობიექტისა კი - არა (ა), **სუბიექტური წყობა** ეწოდება (გ-ხატავ, ხატავ...), ხოლო თუ სუბიექტური პირი უცვლელია, ობიექტისა კი - ცვალებადი (ბ), ეს არის **ობიექტური წყობა** (მ-ხატავ-ს, გ-ხატავ-ს...).

სუბიექტურ წყობას სხვაგვარად ვინის რიგსაც უწოდებენ, პირველი სუბიექტური პირის აღმნიშვნელი **გ** თავსართის მიხედვით, ობიექტურ წყობას კი - მანის რიგს, პირველი ობიექტური პირის გამომხატველი **მ** თავსართის გამო.

ქართული ორ და სამპირიანი ზმნების უმრავლესობას ორივე წყობა აქვს (გ-აქებ... მ-აქებ-ს..., გ-ათბობ... მ-ათბობ-ს...გ-აწითლებ... მ-აწითლებ-ს და ა.შ.). ერთპირიანებს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი წყობა შეიძლება ჰქონდეთ, ისიც სუბიექტური (გ-ცხოვრობ, ცხოვრობ, ცხოვრობ-ს, გ-ცხოვრობთ..., გ-ცოცხლობდი, ცოცხლობდი, ცოცხლობდა, გ-ცოცხლობდი-თ...), რადგანაც ეს ზმნები საერთოდ ვერ იგუებენ ობიექტურ პირს (ამდენად, მ-ცხოვრობ-ს, გ-ცხოვრობ-ს... მ-ცოცხლობდ-ა, გ-ცოცხლობდ-ა... ფორმები არც შეიძლება არსებობდეს); მაგრამ გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომელთაც

ა) ან მხოლოდ სუბიექტური წყობა აქვთ (უცვლელ ობიექტად ამ შემთხვევაში მესამე ობიექტური პირია):

მე(S ₁)	ვიცი	}	ის(O ₃)
შენ(S ₂)	იცი		
მან(S ₃)	იცი-ს		
ჩვენ(S ₁)	ვიცი-თ		
თქვენ(S ₂)	იცი-თ		
მათ(S ₃)	იცი-ან		

(შეგნიშნავთ, რომ შოთა რესთაველი „ვეფხისტყაოსანში“ უადრესად საინტერესო „გ-იცი“ ფორმასაც ხმარობს: „შენ გიცი კარგი მოყვარე...“ გ-იცი მე(S₁) შენ(O₂) ზმნაში პირველ სუბიექტურ პირთან ერთად, რომელიც ზმნაში ასახული არ არის (იხ. გვ. 18-19), მეორე ძარდაპირობიექტური პირია გ- თავსართით წარმოდგენილი).

ბ) ან - მხოლოდ ობიექტური (უცვლელი პირი, ამჯერად სუბიექტი, კვლავ მესამეა, თუმცა იგი დაკარგულად ითვლება):

მე(O ₁)	მ-ძინავ-ს	}	[ის(S ₃)]
შენ(O ₂)	გ-ძინავ-ს		
მას(O ₃)	ს-ძინავ-ს		
ჩვენ(O ₁)	გვ-ძინავ-ს		
თქვენ(O ₂)	გ-ძინავ-თ		
მათ(O ₃)	ს-ძინავ-თ		

ინვერსია

თითქოს აღარცაა საჭირო იმის აღნიშვნა, რომ სუბიექტურ პირს სუბიექტური პირის ნიშანი აქვს ზმნაში, ობიექტურს კი ობიექტური პირისა, მაგრამ თურმე ეს ყოველთვის ასე არ არის. ამის ნათელსაყოფად გავაანალიზოთ ზმნა „ღამისხამს“, რომელიც, კონტექსტის გათვალისწინებით, ორი სხვადასხვა მნიშვნელობისა შეიძლება იყოს (კონტექსტი ეწოდება ტექსტის შინაარსობრივად დასრულებულ ნაწყვეტს, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, გაირკვეს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა):


ა) „გიორგი აუცილებლად ღამისხამს მე ღვინოს.“ აქ ზმნა და-მ-ისხამ-ს ის(S₃) მე(O₁) მას(O₃) სამპირიანია და მე ნაცვალსახელით პირველი ირიბობიექტური პირია გადმოცემული, რომელსაც ზმნაში, წესისამებრ, მ- თავსართი აქვს.

ბ) „მე არაერთხელ ღამისხამს მისთვის ღვინო.“ ამ შემთხვევაში ზმნა და-მ-ისხამ-ს მე(S₁) ის(O₃) ორპირიანია და მე ნაცვალსახელი პირველ სუბიექტურ პირს გამოხატავს. მე რომ ნამდვილად სუბიექტურია, ამას ზმნის სხვა ფორმათა ანალიზი დაგვიდასტურებს:

მე	ფ-უსხამ	}	მას(O ₃) მას(O ₃)
მე	ფ-უსხამდი		
მე	ფ-უსხამდე		
მე	და-ფ-უსხამ		
მე	და-ფ-უსხამდი		
მე	და-ფ-უსხამდე	}	მას(O ₃) ის(O ₃)
მე	და-ფ-უსხი		
მე	და-ფ-უსხა		

სადაც მე პირველი პირის სუბიექტია და ზმნაშიც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ფ ჩანს; მაგრამ ამჯერად, „მე და-მ-ისხამ-ს (მისთვის) ის (დღინო), რეალურად პირველ სუბიექტურ პირს (მე) ზმნაში მ-, ანუ გრამატიკულად ობიექტური პირის ნიშანი აღმოაჩნდა. ამასთან ერთად, თუ პირველ (ა) შემთხვევაში -ს ბოლოსართი მესამე სუბიექტურ პირს გამოხატავდა (ანუ ყველაფერი ჩვეულებრივ, წესისამებრ იყო), მეორე (ბ) შემთხვევაში იგი უკვე რეალურად ობიექტური პირის ნიშნად გვევლინება.

ნათქვამი სქემის სახით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



მაშასადამე, ქართულ ზმნაში შეიძლება მოხდეს პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნება, შეცვლა. ამ მოვლენას ინვერსია ეწოდება (ინვერსია ლათინური სიტყვაა და „გადასმას“ ნიშნავს). ინვერსიის დროს სუბიექტურ პირთა ნიშნებს ორიბობიექტური პირის ნიშნები ენაცვლება და პირიქით: ობიექტურ პირთა აღმნიშვნელად სუბიექტური ნიშნები გვხვდება. როგორც ა.შანიძე წერს, „ფინის რიგის ნიშნები, რომლებიც ოდესღაც (ვიდრე ქართული ენა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდოდა) მხოლოდ სუბიექტურები იყვნენ, დღევანდელ ენაში ხან სუბიექტურებია, ხანაც ობიექტურები; მანის რიგისანი კი, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ ობიექტური პირის აღნიშვნის ფუნქციით იყვნენ

აღჭურვილნი, დღეს ხან ობიექტურ პირსა და ხანაც სუბიექტურ პირს აღნიშნავენ.“

ამგვარად, „პირის ნიშნის დანიშნულების შებრუნებას ინვერსიაჰქვია, თვით ფორმას - ინვერსიული (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

როდის ხდება ინვერსია და რომელი ზმნებია ინვერსიული? ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით შემდგომ განვიხილავთ (გვ.64-65)

ზმნისწინი. მარტივი და რთული ზმნისწინები. ზმნისწინის ძირითადი ფუნქციები

ზმნისწინი ეწოდება ზმნის წინა ნაწილს, ერთ ან ორმარცვლიან ელემენტს, რომელიც ზმნას თავში დაერთვის. ზმნისწინებია: **მი-** (მირბის), **ა-** (ა-ანთო), **და-** (და-ვარდა), **ჩა-** (ჩა-იტანა), **შე-** (შე-აღაგა), **გა-** (გა-გილო), **გადა-** (გადა-ცვალა), **წა-** (წა-მიმღერა), **მო-** (მო-ითმინა), **ამო-** (ამო-ბრწყინდა), **ჩამო-** (ჩამო-ბნელდა), **შემო-** (შემო-სწყრა), **გამო-** (გამო-ანათა), **გადმო-** (გადმო-იღვარა), **წამო-** (წამო-ვიძახე). ზმნისწინი წინ უსწრებს სუბიექტური თუ ობიექტური პირის აღმნიშვნელ თავსართებსაც: **გა-გ-ილო**, **წა-მ-იმღერა**, **შემო-ს-წყრა**, **წამო-გ-იძახე**...

თანამედროვე ქართულში თხუთმეტი ზმნისწინი გვაქვს. ამათგან რვა ერთმარცვლიანია: **მი-**, **ა-**, **და-**, **ჩა-**, **შე-**, **გა-**, **წა-**, **მო-**; დანარჩენი - **შეიდი** - **კი** - ორმარცვლიანი: **გადა-**, **ამო-**, **ჩამო-**, **შემო-**, **გამო-**, **წამო-**.

ერთმარცვლიანი ზმნისწინები (ყველა) **მარტივი ზმნისწინებია**. მარტივ ზმნისწინადაა მიჩნეული **გადა-**ც, თუმცა იგი ორმარცვლიანია, ორი (გა-და) ელემენტისაგან შედგება. მარტივ ზმნისწინზე **მო-** ზმნისწინის დართვით მიღებულ ზმნისწინებს **კი რთულ ზმნისწინებს** უწოდებენ. მაშასადამე, **მარტივი ზმნისწინებია**: **მი-**, **ა-**, **და-**, **ჩა-**, **შე-**, **გა-**, **გადა-**, **წა-**, **მო-**; **რთული ზმნისწინებია**: **ამო-**, **ჩამო-**, **შემო-**, **გამო-**, **გადმო-**, **წამო-**.

ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აქვს.

1. ზმნისწინის უბეღლესი და უმთავრესი ფუნქცია **მიმართულების**

ჩვენებაა. აღნიშნავენ ორ ძირითად მიმართულებას: **საიქეთოს**, ანუ ისეთს, რომელიც მოსაუბროსგან, პირველი პირისაგან, იქიო, შესამე პირისკენ არის მიმართული, და **სააქეთოს**, ანუ ისეთს, რომლის დროსაც ზმნისწინით გადმოცემული მოძრაობა პირველი პირისაკენ არის მიმართული. შევეუდაროთ ერთმანეთს **მი-რბის**, **მი-აქეს**, ერთი მხრივ, და: **მო-რბის**, **მო-აქეს**, მეორე მხრივ. აშკარაა, რომ **მი-** ზმნისწინი ისეთ მიმართულებას გვიჩვენებს, რომელიც არ არის მიმართული პირველი პირისაკენ, ე.ი. საიქეთოა, ხოლო **მო-** ზმნისწინით გადმოცემული მოძრაობის მიმართულება კი პირველი პირისკენაა, ე.ი. სააქეთოა.

ასეთივე იქნება დაპირისპირება **ა-სა** და **ამო-ს** შორის: **ა-ვიდა** (იქ, სადაც მე არ ვყოფილვარ) და: **ამო-ვიდა** (სადაც მეც ვიყავი); **შე-სა** და **შემო-ს** შორის: **შე-იტანა** (სადაც მე არ ვყოფილვარ) და **შემო-იტანა** (სადაც მეც ვიყავი) და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, საიქეთო თუ სააქეთო მიმართულების განსაზღვრისას ორიენტირის ფუნქციას ძირითადად პირველი პირი ასრულებს, მაგრამ შევიჩინათ, რომ ამ ფუნქციის შესრულება, პირველთან ერთად, მეორე პირსაც შეუძლია: **მო-რბის**, **მო-აქეს**, **ამო-ვიდა**, **შემო-იტანა** და ა.შ. ფორმებს მარტო იმ შემთხვევაში კი არ ვიყენებთ, როდესაც მოძრაობის მიმართულებას პირველი პირისკენ, საკუთარი თავისაკენ ვგულისხმობთ, არამედ მაშინაც, როდესაც მეორე პირი გვყავს მხედველობაში: **მორბის** (ჩემკენ, შენკენ), **მოაქეს** (ჩემთან, შენთან), **ამოვიდა** (ჩემთან, შენთან), **შემოიტანა** (ჩემთან, შენთან) და ა.შ.

რატომ ხდება ეს?

როგორც ა.შანიძე შენიშნავს, მეორე პირი ის პირია, რომელიც ჩვეულებრივ იქვე არის, სადაც მოუბარია. ამიტომ ის პირველი პირის მყოფობის არეში იგულისხმება და იმავე ზმნისწინს ხმარობს, რასაც პირველი პირი, ე.ი. **მო-ს**.”

შესამე პირისაკენ მიმართული მოძრაობის შემთხვევაში **მო-** ზმნისწინის (ან მისი შემცვლელი სხვა ზმნისწინის) გამოყენება, ჩვეულებრივ, არ ხდება: მისკენ **მი-რბის**, მასთან **მი-აქეს**, მასთან **ა-ვიდა**, **ა-იტანა** და ა.შ.

შესამე პირთან **მო-** ზმნისწინიანი ფორმები მხოლოდ იმ შემთხვე-

კანშია შესაძლებელი, თუ რეგულირება, რომ შესაძლებელია პირიც ახლოს არის პირველ პირთან, იქნება სადღაც და, მაშასადამე, აქ მინც ნაწვევებია მოქმედების ორიენტაცია პირველი პირისაკენ“, - წერს ა. შანიძე და ამის ნიშნად იღობა ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანიდან“ ამოღებულ წინადადებას იმოწმებს: „ნათლიმამამ (ლუარსაბის) ნახევარი ლიტრა კაღმახი მართავდა.“

ამრიგად, საიტოთ მიმართულებას გამოხატავს ყველა მარტივი სმნისწინი, გარდა მთ-სი. ე.ი. საიტოთა: მი-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, გადა-, წა-. საიტოთ მიმართულების გამოხატველია მარტივი მთ- და მთ- სმნისწინდართული ყველა რთული სმნისწინი. ე.ი. საიტოთა: მო-, ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, გადმო-, წამო-.

გარდა ამ ორი ძირითადი - საიტოთ და საიტოთ - მიმართულებისა, სმნისწინის სხვა, დამატებითი მიმართულების ჩვენებაც შეუძლია. ეს მიმართულებებია: ქვემოდან ზემოთ (ა-ვარდა), ზემოდაც ქვემოთ, ზედაპირსე (და-ვარდა), ზემოდაც ქვემოთ, სიღრმეში (ჩა-ვარდა), გარედან შიგნით (შე-ვარდა, შემო-ვარდა), შიგნიდან გარეთ (გა-ვარდა, გამო-ვარდა) და ა.შ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ სმნისწინი მიმართულებას კარგად გამოხატავს მოძრაობის აღმნიშვნელ სმნებში, მაგრა¹ უამრავია ქართულში ისეთი სმნაც, რომელშიც სმნისწინის არა აკცს მიმართულების ჩვენების ფუნქცია. ასეთია, მაგალითად, გა-აკეთა, მო-იგონა, და-შავდა, წა-იმღერა და სხვა.

2. სმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია ახლანდელი დროის ფორმისაგან მომავალი დროის ფორმის მიღებაა. ზოგიერთი უსმნისწინო ფორმა, რომელიც ახლანდელი დროის მნიშვნელობისაა, სმნისწინის დართვის შემდეგ მომავალი დროის მნიშვნელობისა ხდება. ავილოთ, მაგალითად, ახლანდელი დროის გადმომცემი უსმნისწინო ხატავს სმნა და დაეუროთ მას სმნისწინები. ყველა სმნისწინიანი ფორმა - და-ხატავს, ჩა-ხატავს, გადა-ხატავს, გადმო-ხატავს... - მომავალი დროისა გახდა. ასევე: წერს (ახლანდელი) - და-წერს, ჩა-წერს, გადა-წერს, გადმო-წერს, ამო-წერს... (მომავალი); აშენებს (ახლანდელი) - ა-აშენებს, მი-აშენებს, გა-აშენებს, გადა-აშენებს, ამო-აშენებს... (მომავალი).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახლანდელი დროის ფორმაზე სმნისწინ-

ნის დაროვით აუცილებლად მივიღებთ მომავალ დროს. შეიძლება ზმნისწინის დაროვამ დრო არც შეცვალოს (გორავს, მი-გორავს, და-გორავს... ;ველა ახლანდელია), ან საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდეს ზმნისწინის დაროვა - ბევრი ზმნა ვერ იგუებს ზმნისწინს (მაგალითად: არის, ცოცხლობს, სწავურია, სძულს, უყვარს, კითხულობს, დღუს, დგას...), მაგრამ, რადგანაც გარკვეული ტიპის ზმნებში ახლანდელი დროის ფორმაზე ზმნისწინის დაროვა მომავალი დროის ფორმას გვაძლევს, ეს ზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს.

3. ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია იხიცაა, რომ მას შეუძლია ზმნით აღნიშნულ მოქმედებას დასრულებული სახე მისცეს. გავიხსენოთ რამდენიმე გამოცანა: -ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე“ (ენა). ან კიდევ: *ვაივაი ვაივაი ვერ დაგვივი“ (გზა). ერთი მხრივ, გვაქვს **ვაშრე ვაშრე** მეორე მხრივ კი - **გავაშრე, დაგვივი**.

რა ფორმალური განსხვავებაა ამ წყვილ ფორმებს შორის? ერთი უზმნისწინია (ვაშრე, ვაშრე), მეორე - ზმნისწინიანი (ვა-ვაშრე, და-გვივი). რა შინაარსობრივი სხვაობაა ამ ორ ფორმას შორის? ამ შემთხვევაში ხომ ვერ ვიტყვი იმას, რომ ზმნისწინის დართვით დრო შეიცვალაო, რადგანაც ორივე ზმნა წარსული დროისაა! სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ უზმნისწინო ფორმაში ზმნით გადმოცემულ მოქმედებას ბოლო არ უჩანს, პროცესი დასრულებული არაა (ვაშრე, ვაშრე), ზმნისწინიან ფორმაში კი პროცესი დასრულებულია (გავაშრე, დაგვივი). ზმნის ამ კატეგორიას **ასპექტი** ეწოდება. ჩვენ მას შემდგომ უფრო დაწვრილებით შევხებით, ამჯერად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ახალ ქართულში **სრულ ასპექტს** (ვა-ვაშრე, და-გვივი) სწორედ ზმნისწინის საშუალებით ვაწარმოებთ.

4. ზმნისწინის ასეთი ფუნქციაც აქვს: ზოგჯერ მას შეუძლია მოლიანად შეუცვალოს ზმნას ლექსიკური მნიშვნელობა. ამის ნათელსაკოფად ავიღოთ ერთი ფუძე ზმნისა და მას სხვადასხვა ზმნისწინი დაეუროთ:

ა-აგო (=ააშენა), მი-აგო (=მისცა, მიანიჭა, მიუზღა), და-აგო (=დააფინა. გაშალა ხალიჩა, ლოგინი), ჩა-აგო (=ჩადო ხმალი ქარქაშში, ჩააფინა რამესი), გადა-აგო (=მთლიანად მოახმარა, ზედ შეაღია ქონება, სიცოცხლე), წამო-აგო (=წამოაცვა რამესი: ხანჯალსე, დანასე...).

როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე ზმნურ ფუძეზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვამ სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა მისცა მას. ამრიგად, ზმნისწინს აქვს ოთხი ძირითადი ფუნქცია:

1. უჩვენებს მიმართულებას (მი-გორავს, მო-გორავს);
2. ახლანდელი დროის ზმნას აძლევს მომავალი დროის მნიშვნელობას (ხატავს, და-ხატავს).
3. აწარმოებს სრულ ასპექტს (ვაშრე, გა-ვაშრე);
4. ზმნას უცვლის მნიშვნელობას (ა-ვაგე, წა-ვაგე, და-ვაგე...).

არ არის აუცილებელი, რომ ყველა ზმნაში, რომელსაც ზმნისწინი აქვს, ამ ზმნისწინის ყველა ფუნქცია იყოს წარმოადგენილი. ჩვენ უკვე ვნახეთ ის ფორმები, რომლებშიც ზმნისწინი არ უჩვენებდა მიმართულებას (გა-ტეხა, მო-კვდა, და-იბადა, წა-იკითხა...). ან ვერ აწარმოებდა ახლანდელისაგან მომავალ დროს (ქრის, მი-ქრის; ხოხავს, და-ხოხავს...). სოგიერთ ზმნაში ზმნისწინს მხოლოდ ერთი ან ორი ფუნქცია უჩანს, სოგში - მეტი. სხვადასხვა ზმნა სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით.

ზმნისწინები ქველი სახით ახალ ქართულში (მართლწერის საბითხავითურთ)

ჩვენთვის უკვე ნაცნობი ზმნისწინებიდან ზოგიერთი დღესაც ისეთივეა, როგორც ის ძველ ქართულში იყო. ასეთებია: მი-, მო-, შე-, და-. დანარჩენები ძველად სხვაგვარად გამოიყურებოდნენ. დროთა განმავლობაში ზმნისწინებმა ცვლილება განიცადეს. დღეს მათ სხვა, უფრო გამარტივებული სახე აქვთ, მაგრამ ბევრ ზმნასა თუ ნაზმნარ სახელში ისინი ძველი სახით არიან შემორჩენილნი. ჩვენ მათ დღესაც ვიყენებთ. ამიტომ გავეცნოთ ამ ზმნისწინებს.

ა-ად. ძველად გვქონდა: აღ-ვიდა, აღ-ანთო, აღ-აშენა... ამჟამად დღ დაკარგულია და გვაქვს **ა-**: ა-ვიდა, ა-ანთო, ა-აშენა. მაგრამ ბევრ ფორმაში **აღ-** ზმნისწინი ძველი სახით შემოგვრჩა: აღ-ზრდის, აღ-წერს, აღ-ნიშნა, აღ-ნუსხავს, აღ-აფრთოვანა, აღ-იჭურვა და ა.შ.

სიგაჯერ შეიძლება ძველი და ახალი ფორმა პარალელურად არსებობდეს; მაგალითად, აღ-ნიშნა - ა-ნიშნა. ასეთ შემთხვევაში მათ ხშირად განსხვავებული შნიშვნელობა აქვთ ხოლმე შეტანილი: აღ-ნიშნა=თქვა (მოიხსენებულმა აღნიშნა, რომ...), ა-ნიშნა=ნიშანი მისცა (თვალთ ანიშნა. განიკმლიო...).

აღ- ზმნისწინან ფორმასთან დაკავშირებით მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხსაც უნდა შევეჩხით: რადგან ზმნისწინი აღ- ერთიანია, მისი გახლეჩა პირის ნიშნით ან სხვა რომელიმე მაწარმოებლით არ შეიძლება. დავუკვირდეთ:

მან აღ-წერა, ე.ი მე აღ-ვ-წერე (და არა: ავღწერე), მან აღ-მ-ი-წერა (და არა: ამიღწერა), მან აღ-უწერა (და არა: აუღწერა), აღ-გ-იწერო (და არა აგოღწერო) და ა.შ.

მან აღ-ნიშნა, ე.ი. მე აღ-ე-ნიშნე (და არა: აელნიშნე), მან აღ-მ-ინიშნა (და არა: ამიღნიშნა), მან აღ-უნიშნა (და არა: აუღნიშნა), აღ-გ-ინიშნეთ (და არა: აგიღნიშნეთ) და ა.შ.

გამონაკლისს წარმოადგენს ზმნა აღიარებს, რომელშიც აღ- ზმნისწინი უკვე შესრულია ფუძესთან და ამიტომ პირის ნიშანი მის წინ არის დასძული: ვ-აღიარებ, მ-აღიარებ, გვ-აღიარებენ და ა.შ. ნაცვლად ფორმებისა: აღ-ვ-იარებ, აღ-მ-იარებ, აღ-გვ-იარებენ და ა.შ. სხვათა შორის, აკაკი წერეთელს თავის ცნობილ ლექსში „ჩანგური“ სწორედ აღიარებ ფორმა აქვს ნახმარი: „და მაინც არ აღიარებ შავს თურად და თურსა - შავად“. წარმოების თვალსაზრისით ეს საესეხით სწორი ფორმა დღეუდანდელი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით ვაღიარებ ფორმითაა შეცვლილი (საინტერესოა, რომ ვაღიარებ ფორმის დაკანონებას იაკობ გოგებაშვილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ითხოვდა. იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 169-170).

ჩა- — შთა-. ძველად იყო შთა-ვიდა, შთა-ვარდა, შთა-ყო, შთა-ავ-ლო... ახლა გვაქვს: ჩა-ვიდა, ჩა-ვარდა, ჩა-ყო, ჩა-ავლო...

შთა- ზმნისწინი ძველი სახით დარჩა ისეთ სიტყვებში, როგორცაა: შთა-ავონა, შთა-ნოქა, შთა-უნერგა... აგრეთვე: შთა-ბეჭდილება, შთა-გონება და სხვა.

ძველი და ახალი ფორმები პარალელურად ამ შემთხვევაშიც გვაქვს: შთა-ავონა - ჩა-ავონა; შთა-უნერგა - ჩა-უნერგა და სხვა.

გა- — გან. ძველად გვექონდა: გან-ვიდა, გან-ანათლა, გან-ათავისუფ-
ლა, გან-აგლო... ამჟამად არის: გა-ვიდა, გა-ანათლა, გა-ათავისუფლა
(და არა გაანათავისუფლა), გა-აგლო...

გან- სმნისწინი ძალიან ბევრ სმნასა თუ ნაიშნარ სახელში
შემოგვრისა ძველი სახით: გან-იცდის, გან-მარტავს, გან-იხილეს, გან-
გმირა, გან-ამტკიცა, გან-საზღვრავს, გან-ახორციელეს; გან-სრახეა,
გან-ღვერა, გან-კარგულება, გან-შეორება, გან-ცხრომა, გან-ცხადება და
ა.შ. პარადღულურ ფორმათა არსებობა ამ შემთხვევაშიც მოსალოდნე-
ლია. მაგალითად: გან-შეორება - გა-შეორება; გან-აცხადა - გა-აცხა-
და. თუ პირველ შემთხვევაში სმნის ლექსიკური მნიშვნელობა არ
შეცვლილა (განშეორება და გაშეორება ერთსა და იმავეს აღნიშნავს),
შეორე შემთხვევაში სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ: გან-აც-
ხადა=თქვა; გა-აცხადა=ცხადი გახადა.

გან- სმნისწინიან ფორმებში ხშირია მართლწერის ნორმათა
დარღვევის შემთხვევები. უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

ა) თუ გან- სმნისწინიან სიტყვას უსმნისწინოდ ვიხმართ, სმნის-
წინი მოლიანიად უნდა იქნეს ნამოშორებული. არ შეიძლება სმნისწი-
ნის ნაწილის (ნ-ს) დატოვება სმნაში. მაგალითად:

გან-ავითარებს - ავითარებს (და არა: ანვითარებს)

გან-ათავისუფლებს - ათავისუფლებს (და არა: ანათავისუფლებს)

გან-ახორციელებს - ახორციელებს (და არა: ანახორციელებს).

ბ) თუ სიტყვას სმნისწინით ვიხმართ, ნ ან გა-სთან ერთად უნდა
იყოს (როგორც იყო ძველად: გან), ან საერთოდ არაა ნ საჭირო.
სმნისწინი გამარტივებული სახით იქნება: გა(ნ) - ათავისუფლა (და
არა: გა-ანათავისუფლა), გა-მათავისუფლო (და არა: გა-მანათავისუფ-
ლო), გა-უთავისუფლებიათ (და არა: გა-უნათავისუფლებიათ) და ა.შ.

გადა- — გარდა. ძველად იყო: გარდა-ვიდა, გარდა-ტეხა, გარდა-
ხადა, გარდა-წერა... ამჟამად გვაქვს: გადა-ვიდა, გადა-ტეხა, გადა-ხა-
და, გადა-წერა... ახალ ქართულში სმნისწინი გამარტივებულია - რ
არის დაკარგული; მაგრამ უამრავ ფორმაში გარდა- სმნისწინი
თავდაპირველი სახით გვაქვს: გარდა-იქმნა, გარდა-ქმნა, გარდა-იცვა-
ლა, გარდა-ცვალება, გარდა-ისახა, გარდა-სახეა, გარდა-ტეხა, გარდა-
მაეალი. გარდა-უვალი და სხვა.

ძველი და ახალი ფორმის პარადღულური არსებობის შემთხვევაში

ლექსიკური მნიშვნელობის სხვაობაა მოსალოდნელი. მაგალითად: გარდა-იცვალა და გადა-იცვალა. პირველი სმნა არსებობის ერთი ფორმის (სააქაოს) მეორით (საიქითი) შეცვლას გულისხმობს, რიბეულსაც „სიკვდილს“, „კვდომას“, „აღსრულებას“ ვეძახით, ხოლო მეორე სმნა უბრალოდ შეცვლას აღნიშნავს, ვთქვათ, ერთი ბინისას - მეორით, ერთი ნიუთისას - მეორით და ა.შ.

წა- წარ-. ძველად გვქონდა: წარ-სვლა, წარ-თრევა, წარ-გდება, წარ-ვიდა... ახლა გვაქვს: წა-სვლა, წა-თრევა, წა-გდება, წა-ვიდა... როგორც ვხედავთ, რ ჩამოშორდა სმნისწინს, მაგრამ წარ- ძველი სახით ახალ ქართულში ხშირად გვაქვს: წარ-მართეს, წარ-ადგინა, წარ-უცვა, წარ-მაგალი, წარ-სული, წარ-მართი, წარ-უგალი (=მარადიული), წარ-მატება, წარ-თქმითი...

იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველი და ახალი სახის სმნისწინთა პარალელური ხმარებისას სიტყვები სოგჯერ განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ, შეიძლება მოვიყვანოთ ორი მაგალითი. შდრ.: წარ-სული და: წა-სული; წარ-მატება და: წა-მატება.

სხვაობა, ვფიქრობ, თვალსაჩინოა.

ჩვენ ვისაუბრეთ მარტივ სმნისწინებზე: ა- - აღ-, ჩა- - შთა-, გა- - გან-, ვადა- - ვარდა-, წა- - წარ-, რომლებიც ძველი სახითაც გვხვდება ახალ ქართულში. ასევე გვხვდება თანამედროვე ქართულში მარტივ სმნისწინზე მლ-ს დართოვით მიღებული რთული სმნისწინებიც.

აღმ- წაღმ-. ძველად იყო: აღმო-ავსო, აღმო-თქვა, აღმო-კვეთა, აღმო-ულო... ახლა გვაქვს: აღმ-ავსო, აღმ-თქვა, აღმ-კვეთა, აღმ-ულო...

სოგიერთ სიტყვაში ეს სმნისწინი ძველი სახითაა შემონახული: აღმო-ცენდა, აღმო-იფხვრა, აღმო-აჩინა, აღმო-საველეთი და ა.შ.

ჩამო- წამო-. ძველად გვქონდა: შთამო-ითრია, შთამო-ირღუა, შთამო-ვედ, შთამო-ექანის, შთამო-ხსნა... ახლა ვამბობთ: ჩამო-ითრია, ჩამო-ირღვა, ჩამო-ვედი, ჩამო-ექანა, ჩამო-ხსნა... ძველი სახით ეს სმნისწინი გვაქვს სიტყვებში: შთამო-მაგალი, შთამო-მავლობა.

წამო- წარმო-. ძველად იყო: წარმო-ავდო, წარმო-იკიდა, წარმო-იღო, წარმო-ვიდა... ახლა გვაქვს: წამო-ავდო, წამო-იკიდა, წამო-იღო, წამო-ვიდა... მაგრამ ძველი სახით ეს სმნისწინი ახლაც იხმარება: წარმო-თქვა, წარმო-შევა, წარმო-ადგინა, წარმო-დგენა, წარმო-თქმა, წარმო-შობა, წარმო-მადგენელი და სხვა.

რა არის გრამატიკული დრო?

გრამატიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან“ (ა.შანიძე). ამის გათვალისწინებით სამგვარი შესაძლებლობა არსებობს:

ა) ზმნით გამოხატული მოქმედება თანხვედრა უბნობის მომენტს, ანუ მოქმედება ხდება ახლა, თქმის დროს: აშენებს, ვსაუბრობ, ხატავ, ვწერთ... ამ შემთხვევაში დრო **ახლანდელია** (ა.შანიძე „ახლანდელს“ ხმარობს).

ბ) ზმნით გამოხატული მოქმედება უსწრებს უბნობის მომენტს, ანუ მოქმედება ხდებოდა ადრე, თქმამდე: აშენებდა, ააშენა, ვსაუბრობდი, ხატავდი, დახატე, ვწერდით, დავწერეთ... ამ შემთხვევაში დრო **წარსულია**.

გ) ზმნით გამოხატული მოქმედება უნდა მოხდეს უბნობის მომენტის შემდეგ, ანუ მოქმედება მოხდება (უნდა მოხდეს) თქმის შემდეგ: ააშენებს, ვისაუბრებ, დახატავ, დავწერთ... ამ შემთხვევაში დრო **მომავალია**.

ამგვარად, დრო სამია: ახლანდელი, წარსული და მომავალი. ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებაში შეიძლება სხვა ტერმინებიც შეგვხვდეს: **აწმყო** - ახლანდელის მნიშვნელობით (აწ-მყოფი) ანუ ახლა მყოფი. **აწ=ახლა**), **ნამყო** - წარსულის მნიშვნელობით (ნა-მყოფი) და **მყოფადი** - მომავლის მნიშვნელობით (მყოფადი, მყოფადი, იგივეა, რაც ყოფადი, ე.ი. რაც იქნება, რაც უნდა იყოს); როგორც ა. შანიძე შენიშნავს, ეს ტერმინები ხელოვნურია (ისინი ანტონ პირველისაგან მომდინარეობენ) და რამდენადმე უხერხულიც: აწი დასავლურ კოლოებში აღნიშნავს არა „ახლას“, არამედ „ამიერიდან“, „ამას იქით“.

მაშასადამე, დროის მნიშვნელობით ვიყენებთ ტერმინებს: ახლანდელი, წარსული, მომავალი („აწმყო“, „ნამყო“, „მყოფადი“ შემდგომ მწკრივებთან დაკავშირებით იქნება გამოყენებული).

დრო ზმნის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. პირიან ფორმას, ჩვეულებრივ, დროის მნიშვნელობაც აქვს ხოლმე, მაგრამ ისიც შეიძ-

ლება მოხდეს, რომ ზმნას არ აკონდეს რომელიმე გარკვეული დროის მნიშვნელობა. „თუ ზმნის ფორმით არ არის გათვალისწინებული მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან, მაშინ არც გვაქვს დროის გამოხატვა, ანუ - რაც იგივეა - ზმნაში არ არის მოკრძული არც ერთი დრო: არც ეხლანდელი, არც წარსული და არც მომავალი“ (ა. შანიძე).

შევუდაროთ ერთმანეთს ორი წინადადება: „შეხედე, ეს ოქროს თევზი აკვაროქში რა ლამაზად ცურავს!“ და: „თევზი წყალში ცურავს.“ პირველ წინადადებაში „ცურავს“ ახლანდელ დროს გადმოსცემს: მე ვხედავ ახლა, ამ წუთას, რომ თევზი ცურავს, ანუ მოქმედება და თქმა თანხვედრა ერთმანეთს, მაგრამ მეორე წინადადებაში („თევზი წყალში ცურავს“) „ცურავს“ გამოხატავს მუდმივს, ჩვეულებრივ მოქმედებას და, ამდენად, არც აქვს რომელიმე ერთი დროის გაგება, არსებითად უდროოა.

მაშასადამე, ერთსა და იმავე ფორმას ერთ შემთხვევაში შეიძლება აკონდეს კონკრეტული დროის მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში კი უდროო იყოს. ასეთი სოგადი, დროის სასწორებით შემოუფარგლავი მნიშვნელობისაა ზმნები შემდეგ კონტექსტებში: „დედამიწა ბრუნავს“, „ჩიტი ღაფრინავს“, „ენგური შავ სღვას ერთვის“, „მოსწავლე სკოლაში დადის“ და ა.შ.

ერთ გარეშობასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: ზმნის ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა წინადადებაში სრულიად განსხვავებული დროის გამოხატველი შეიძლება აღმოჩნდეს. ამის მაგალითად ა.შანიძე „ვჭამ“ ზმნას ასახელებს:

ა. ხომ ხედავ, რომ ვჭამ?! - დრო ახლანდელია.

ბ. მომიტანე საჭმელი და ვჭამ. - დრო მომავალია.

გ. როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ. - დროული გაგება არა აქვს.

ამ საკითხზე უფრო ვრცლად მწკრივებთან დაკავშირებით ვისაუბრობთ.

ამრიგად, დრო (ანუ მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან) სამგვარი შეიძლება იყოს: ახლანდელი (მოქმედების მომენტი თანხვედრა უბნობის მომენტს), წარსული (მოქმედების მომენტი უსწრებს უბნობის მომენტს) და მომავალი (მოქმედების მომენტი მოსდევს უბნობის მომენტს). ზმნის ფორმას, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ

დროის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი შეიძლება დაცლილი იყოს დროული მნიშვნელობისაგან, ან, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძინოს სხვადასხვა დროის გამოხატვის შესაძლებლობა.

ასაქვანი: რაობა, სრული და უსრული ასაქვანი. სრული ასაქვანის გამოხატვის საშუალებანი

ზმნისწინის ფუნქციებზე საუბრის დროს ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცანით ასპექტს (იხ. გვ. 32). „ასპექტი ანუ სახე არის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს. პირველ შემთხვევაში გვაქვს დაუსრულებელი მოქმედება, მეორეში - დასრულებული“ (ა.შანიძე). ამ განსაზღვრაზე დაფუძნებული ასპექტის განმარტება, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოშია მოცემული: „ასპექტი ჰქვია ზმნის ფორმას, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგიდგენს“ (ა.შანიძე, ლ.კვაჭაძე).

განმარტებიდან გამომდინარე, ასპექტი ორგვარია: **უსრული და სრული**. დაეუკვირდეთ ასპექტის თვალსაზრისით დაპირისპირებულ ფორმებს: ვაშრე - გავაშრე, ვაქცე - დავაქცე, ვწერე - დავწერე, ითმინა - მოითმინა, აშენა - ააშენა, ქსოვა - მოქსოვა, რეცხა - გარეცხა და ა.შ. დაპირისპირებულ ზმნათა პირველი ფორმები - ვაშრე, ვაქცე, ვწერე, ითმინა, აშენა, ქსოვა, რეცხა და ა.შ. - იმგვარ მოქმედებას გადმოსცემენ, რომელსაც ბოლო არ უჩანს, დაუსრულებელია, ბოლომდე არ არის მიყვანილი და, მაშასადამე, უსრული ასპექტისაა; ხოლო წყვილთა მეორე ცალკებით - გავაშრე, დავაქცე, დავწერე, მოითმინა, ააშენა, მოქსოვა, გარეცხა - იმგვარი მოქმედებაა გადმოცემული, რომელსაც ბოლო უჩანს, დასრულებულია, ბოლომდეა მიყვანილი, ე.ი. სრული ასპექტისაა.

მივაქციოთ ყურადღება: **უსრული ასპექტისა** (ვაშრე, ვაქცე, ვწერე, ითმინა, აშენა, ქსოვა, რეცხა...) და **სრული ასპექტის** (გავაშრე, დავაქცე, დავწერე, მოითმინა, ააშენა, მოქსოვა, გარეცხა...) ზმნები ერთმანეთისაგან ფორმალურად მხოლოდ ზმნისწინის ქონა-არქონით განსხვავდებიან: უზმნისწინო ფორმა უსრულია, ზმნისწინიანი კი -

სრული. მართლაც, თანამედროვე ქართულს ასპექტის საწარმოებლად მარტო ერთი საშუალება მოეპოვება: ეს არის ზმნისწინის დართვა. თუ ზმნა ასპექტიანია (ეწრადლება მიაქციეთ ტერმინს „ასპექტიანი ზმნა“. რადგანაც, როგორც შემდგომ დაინახავთ, ზმნა შეიძლება უასპექტოც იყოს), უზმნისწინოდ ის უსრული სახისაა, ხოლო თუ ზმნისწინი დაერთო - სრული სახისა იქნება (ა. შანიძე). ნათქვამიდან გამომდინარე, უსრული ასპექტის ფორმაა, მაგალითად, არა მხოლოდ ვწერე, არამედ: ვწერ, ვწერდი, ვწერდე, ვწერო და ა.შ. უზმნისწინო ფორმებიც. ასევე, სრული ასპექტისაა არა მარტო და-ვ-წერე (ჩა-ვწერე, გადა-ვწერე, გადმო-ვწერე... რომელ ზმნისწინს დაირთავს, ამას არა აქვს მნიშვნელობა), არამედ: და-ვწერ, და-ვწერდი, და-ვწერდე, და-ვწერო, და-მიწერო და ა.შ. ზმნისწინიანი ფორმებიც, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მოქმედება ან უკვე დასრულებულია წარსულში (დავწერე, დამიწერო...), ან დასრულებდა მომავალში, მოქმედებას ბოლო უჩანს (დაწერს, დაწეროს...). ამ ფაქტზე იმისათვის ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ასპექტი და დრო გავმოიჯნოთ ერთმანეთისაგან.

რა მიმართებაა ასპექტსა და დროს შორის?

უსრული ასპექტის ფორმამ შეიძლება გამოხატოს სამივე დრო: ახლანდელიც (ვწერ), წარსულიცა (ვწერდი, ვწერე) და მომავალიც (უნდა ვწერო), სრული ასპექტის ფორმით კი მხოლოდ ორი დროის გადმოცემა შესაძლებელი: წარსულისა (დავწერე) და მომავლისა (დავწერ).

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში სრული ასპექტის ფორმას უსრულისაგან ზმნისწინი აწარმოებს, მაგრამ ძველ ქართულში სხვაგვარი ვითარება გვქონდა: უსრული ასპექტისადა ითვლებოდა I სერიის მწკრივები, ზმნისწინიანებიც და უზმნისწინოებიც, ხოლო II სერიის მწკრივები, ასევე - ზმნისწინიანებიცა და უზმნისწინოებიც, სრული ასპექტისა იყო. მაშასადამე, ვწერ, ვწერდი, დავწერ... უსრულ ასპექტს გადმოსცემდნენ, რადგან პირველ სერიაში იქნენ გაერთიანებულნი, ხოლო ვწერე ზმნასაცა და დავწერე-საც, როგორც მეორე სერიის ფორმებს, სრული ასპექტის მნიშვნელობა ჰქონდა.

სხვათა შორის, ძველი სისტემის გადმონაშთად ითვლება რამდე-

ნიმე ზმნა, რომლებიც თანამედროვე ქართულში უძმისწინოდაც სრული ასპექტისაა: თქვა, ნახა, ბრძანა, უბრძანა, იკითხა. ჰკითხა, იყიდა, სთხოვა, უპასუხა, ქმნა, ჰკრა... ეს ზმნები მეორე სერიის ფორმებია. ისინი ძველადაც სრულ ასპექტს გადმოსცემდნენ და ახალშიც მათ სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ. ახალი სისტემის გაელენით. სრული ასპექტისად ითვლება ამ ზმნათა მყოფადის წრის ფორმებიც: იტყვის, ნახავს, ბრძანებს, უბრძანებს, იკითხავს, ჰკითხავს, იყიდის, სთხოვს, უპასუხებს და ა.შ.

უასპექტო ზმნები

უასპექტოა ზმნა, რომელსაც ასპექტის გაგება არ ახლავს. იგი ზმნისწინიანიც შეიძლება იყოს და უძმისწინოც.

უასპექტო ზმნები ძირითადად ორი სახისა გვაქვს:

1. ზმნები, რომლებიც საერთოდ არ ირთავენ, ვერ იგუებენ ზმნისწინს: არის, უყვარს, ცდილობს, ზის, იცინის, სძინავს, ღვიძავს, ხუმრობს, სწყურია, აფენია, ყრია და ა.შ.

2. ზმნები, რომლებიც კი დაირთავენ ზმნისწინს, მაგრამ - მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად: გორავს - მი-გორავს, მო-გორავს, და-გორავს; ქრის - მი-ქრის, მო-ქრის, და-ქრის; ჩანს - მო-ჩანს და ა.შ. ამ ტიპის ზმნებში ახლანდელი დროის ფორმაზე ზმნისწინის დართვა მომავალი დროის გაგებას არ გვაძლევს: გორავს და მო-გორავს, ან ქრის და და-ქრის, ე.ი. ზმნისწინიანიცა და უძმისწინოც, ორივე აწმყოა. საზოგადო წესის თანახმად კი, ახლანდელი დროის ფორმაზე ზმნისწინის დართვა მომავალი დროის გაგებას გვაძლევს ხოლმე (იხ. ზმნისწინის ფუნქციები, გვ. 31): ხატავს - და-ხატავს; წერს - გადა-წერს, აშენებს - მი-აშენებს და ა.შ. უასპექტო ზმნებში კი ზმნისწინს ეს უნარი არ გააჩნია.

მაშასადამე, იმის გასარკვევად, ზმნა ასპექტიანია თუ უასპექტო, საანალიზო ფორმა უნდა აუიღოთ ახლანდელ დროში და დაეუროთოთ მას ზმნისწინი; თუ ვერ იგუა (ვარ, ზის, ყრია...), უასპექტო ყოფილა; თუ შეიწყო ზმნისწინი, მაგრამ ახლანდელი დროის ფორმამ მომავალი დროის მნიშვნელობა ვერ შეიძინა (ხოხავს, და-ხოხავს...), მაშინ

ნაც უახვეტო იქნება; მაგრამ, თუ ახლანდელი დროის ფორმაზე ზმნისწინის დართვით მომავალი დროის ფორმას ვიღებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საანალიზო ზმნა ასპექტიანია და, შესაბამისად, უზმნისწინო უსრული ასპექტისაა. ზმნისწინდართული კი - სრული ასპექტისა.

კილო

კილო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიწვევებს, თუ როგორ უნდა იქნეს ვაგებული ზმნით გადმოცემული მოქმედება: ა) როგორც ფაქტი, ბ) როგორც სასურველი, შესაძლო ან სავარაუდო, თუ გ) როგორც აუცილებლად შესასრულებელი. ამის მიხედვით გვაქვს სამი კილო: **თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.**

თხრობითა კილო, თუ ზმნით გამოხატული მოქმედება წარმოდგენილია, როგორც ფაქტი. ნამდვილი ამბავი, რომელიც ხდება ამა თუ იმ დროში: აშენებს, აშენებდა, ააშენებს, ააშენა, აუშენებია... თხრობითი კილოს ფორმით შეიძლება მართლაც ნამდვილი ფაქტი იყოს გადმოცემული, მაგალითად, არწივი დაფრინავს, ხვლიკი დახოხავს. მაგრამ, ამბავი ფანტასტიკურიც რომ იყოს, არარეალური, მაგალითად, ხვლიკი დაფრინავს, არწივი დახოხავს, ზმნა მინც თხრობითი კილოსი იქნება, რადგანაც ზმნის ფორმით ფაქტის აღნიშვნა ხდება.

თხრობითი კილოს ფორმით სამივე დროის გადმოცემა შესაძლებელია: ახლანდელისაც (აშენებს), წარსულისაც (აშენებდა, ააშენა, აუშენებია) და მომავლისაც (ააშენებს).

კავშირებითა კილო, თუ ზმნით აღნიშნული მოქმედება ისეა წარმოდგენილი, როგორც შესაძლებელი, სასურველი ან სავარაუდო. მაგალითად: (ნეტავ) აშენებდეს, (რომ) ააშენებდეს, (იქნებ) ააშენოს და ა.შ.

კავშირებითი კილოს ფორმასაც შეუძლია სამივე დროის გადმოცემა, მაგრამ უპირატესად მას მომავლის მნიშვნელობა აქვს ხოლმე.

ბრძანებითა კილო, თუ ზმნით გადმოცემული მოქმედება (მოუბრის სურვილი) აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული მეორე ან მესამე პირის მიერ, რიცხვი მხოლოდითიც შეიძლება იყოს და

მრავლობითიც: ააშენე! ააშენეთ! ააშენოს! ააშენონ!

შეიძლება ებრძანოს პირველ პირსაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოუბართან ერთად სხვებიც არიან, ანუ თუ ფორმა მრავლობითი რიცხვისაა: ავაშენოთ!

ბრძანებითი კილოს ფორმით შეიძლება გადმოიცეს არა მხოლოდ ბრძანება, არამედ თხოვნაც, ხვეწნა-მუღარაც, ღარიგებაც, წაქეზებაც, დალოცვაც და ა.შ. „გრამატიკაში ეველას ბრძანებითი პეკია, რადგან ფორმობრივი განსხვავება მათ შორის არ არის“ (ა.შანიძე).

ბრძანებითი კილო ორგეარია: წართქითი და უკუთქითი. წართქითია ბრძანებითი, თუ იგი სმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას მოითხოვს: ააშენე! ააშენეთ! ააშენოს! ააშენონ! მაგრამ, თუ ფორმა სმნით აღნიშნული მოქმედების აკრძალვას წარმოადგენს, იგი უკუთქითია (მას აკრძალვითსაც უწოდებენ): არ ააშენო! არ ააშენოთ! არ ააშენოს! არ ააშენონ! არ ააშენებ! არ ააშენებთ! არ ააშენებოს! არ ააშენებონ! არ ააშენებთ! არ ააშენებთ! არ ააშენებთ! არ ააშენებთ!

როგორც ვხედავთ, უკუთქითი ბრძანებითის გადმოსაცემად გამოყენებულია ნაწილაკები არ და რუ. ისინი გარკვეული კანონზომიერებით იხმარებიან; კერძოდ: არ ნაწილაკი სმნას კავშირებითი კილოს ფორმით ითხოვს: არ ააშენო! არ დაწერო! არ ააშენოს! არ დახატოს!.. ხოლო რუ ნაწილაკს თხრობითი კილოს ფორმები სჭირდება: რუ ააშენებ! რუ დახატავ! რუ ააშენებ! რუ დახატავს!..

წართქითი ბრძანებითის ფორმები სოგჯერ შეიძლება შემოკლებული სახით შეგვხვდეს, მაგალითად: წა! (+წადი!), მო! (+მოდი!), გაშეცა! (+გამეცადე!), მოიტა! (+მოიტანიე!) და სხვა. გავიხსენოთ მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“: „მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გულის არ-შეშრობილ“, ან: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“...

წართქითი ბრძანებითი კილოს ფორმა დროის თვალსაზრისით მხოლოდ მომავალი შეიძლება იყოს, „წართქითი ბრძანებითის ასპარეზია მომავალი“ (ა.შანიძე), მაგრამ რუ ნაწილაკიან აკრძალვითს (რუ წერ! რუ ააშენებ!..) ახლანდელი დროის მნიშვნელობა აქვს. წარსული დროის მნიშვნელობა ბრძანებით კილოს არც შეიძლება აქონდეს, რადგან „მოქმედება, რომელიც წარსულს ეკუთვნის, ისეთია, რომ მოუბარს არ შეუძლია გამოიყენოს ვისმე დასაქმებისათვის“ (ა. შანი-

ტე). მაშინაც კი, რადესაც ბრძანებითი კილო წარსული დროის გადამოცემი სმნის ფორმითაა გამოხატული, მას კონტექსტურად მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს (მდრ.: „რა მშვენიერი სურათი დახატე! არ ვიცოდი, თუ ასეთი ხატვა შეგეძლო“, სადაც „დახატე“ წარსულ დროს გადამოცემს, და: „დახატე სურათი!“ სადაც იმავე სმნით ბრძანებითი კილი და მომავალი დროა გადმოცემული).

ბრძანებითი კილოს წარმოების საკითხს უფრო დაწვრილებით სერიებისა და მწკრივების შესწავლის შემდეგ მიუხერხებულად (იხ. გვ. 56).

შენიშვნა: გარდა სამი ძირითადი კილოსი (თხრობითის, კავშირებითისა და ბრძანებითისა), გამოყოფენ პირობითსა და შედეგობით კილოებსაც. ეს „კილოები“ უერთმანეთოდ არ გვხვდება, არამედ მუდამ ერთად... ერთი - დამოკიდებულში, მეორე - მთავარში. ამათ გადმოსაცემად, მამასადასე, ორი სმნაა საჭირო, რომელთაგან ერთი აღნიშნავს მოქმედებას, როგორც პირობას, მეორე კი - ამ პირობიდან გამომდინარე შედეგს სხვა მოქმედების სახით“ (ა. შანიძე). მაგალითად: „შინ რამ დროსე მისულიყავი, აუცილებლად ნახავდი მას.“ „მისიყოყავი“ სმნით პირობითია გადმოცემული, „ნახავდი“ სმნით კი - შედეგობითი.

ამრიგად, პირობითია სმნის ფორმა, რომელიც რომელსაზე მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. ის გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში. შედეგობითია სმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული“ (ა. შანიძე).

საკითხი და მსკრივები

ქართული სმნა გამოირჩეულია ფორმათა სიუხეითა და მრავალფეროვნებით. სმნის ფორმებს ყოფენ ჯგუფებად, რომლებშიც სმნები გარკვეული ნიშნის მიხედვით არიან გაერთიანებულნი. ერთ-ერთი ამგვარი ჯგუფის ფორმებია, მაგალითად:

ვ-სახლდები	ვ-სახლდები-თ
სახლდები	სახლდები-თ
სახლდებ-ა	სახლდები-ან

ასეთივე ჯგუფია აგრეთვე:

ვ-სახლდებოდი	ვ-სახლდებოდი-თ
სახლდებოდი	სახლდებოდი-თ
სახლდებოდ-ა	სახლდებოდ-ნენ

ან კიდევ:

და-ვ-სახლდები	და-ვ-სახლდები-თ
და- სახლდები	და- სახლდები-თ
და- სახლდებ-ა	და- სახლდები-ან და ა.შ.

თუ დაეუკვირდებით ამ ჯგუფებს, შეენიშნათ, რომ თითოეულ მათგანში შემაჯავალი ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავდებიან. დროისა და კილოს ფორმები მათ ერთნაირი აქვთ.

ზმნის ფორმათა ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ფორმები, მწკრივი ეწოდება. მაშასადამე, ვ-სახლდები, სახლდები, სახლდებ-ა, ვ-სახლდები-თ, სახლდები-თ, სახლდები-ან ერთი მწკრივის ფორმებია; ვ-სახლდებოდი, სახლდებოდი, სახლდებოდ-ა, ვ-სახლდებოდი-თ, სახლდებოდი-თ, სახლდებოდ-ნენ ფორმები სხვა მწკრივისაა; და-ვ-სახლდები, და-სახლდები, და-სახლდებ-ა, და-ვ-სახლდები-თ, და-სახლდები-თ, და-სახლდები-ან - კიდევ სხვა მწკრივისა და ა.შ.

შენიშვნა: „მწკრივი“ ა.შანიძის მიერ დამკვიდრებული ტერმინია. იგი წარმოქმნილია „მწკარ“ სიტყვისაგან, რომელიც იგივეა, რაც „ბწკარი“, „პწკარი“ (ა. შანიძე).

„მწკრივის“ მნიშვნელობით ზოგჯერ „ნაკვთს“ ხმარობენ (ა. ჩიქობავა), მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოებში „მწკრივია“ დამკვიდრებული.

რამდენი ერთეული შეიძლება შედიოდეს თითოეულ მწკრივში? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი აგებულებისაა ზმნა: ერთპირიანია იგი თუ ორ- ან სამპირიანი. თუ ზმნა ერთპირიანია, მას მწკრივში მხოლოდ ექვსი ფორმა შეიძლება ჰქონდეს: სამი მხოლობითში და სამიც - მრავლობითში (ეს მაგალითები ჩვენ ზემოთ ვნახეთ). მაგრამ,

თუ ზმნა ორ- ან სამპირიანია, ფორმათა რაოდენობა გაცილებით მეტია, სულ ცოტა - ოფორმეტი. „მოც ზმნას უხერხდება მეტი წვეგრების ქონება (19-დან 22-მდე). 18 წვერი - ეს მინიმუმია, რომელიც შეიძლება ორიპირიან ზმნას „ქონდეს“ (ა. შანიძე).

ვნახოთ, რამდენ ფორმას გვაძლევს ერთ მწკრივში ორიპირიანი ზმნა „ვაქებ“ (წარმოვადგენთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ყველა შესაძლო კომბინაციას:

მე(S ₁)	ვაქებ	} მას, მათ(O ₃)	მე(S ₁)	{	გ-აქებ	შენ(O ₂)
შენ(S ₂)	აქებ		მე(S ₁)	{	გ-აქებ-თ	თქვენ(O ₂)
ის(S ₃)	აქებ-ს		ჩვენ(S ₁)	{	გ-აქებ-თ	შენ, თქვენ(O ₂)
ჩვენ(S ₁)	გ-აქებ-თ		შენ(S ₂)	{	მ-აქებ	მე(O ₁)
თქვენ(S ₂)	აქებ-თ		შენ(S ₂)	{	გვ-აქებ	ჩვენ(O ₁)
ისინი(S ₃)	აქებ-ენ		თქვენ(S ₂)	{	მ-აქებ-თ	მე(O ₁)
					გვ-აქებ-თ	ჩვენ(O ₁)

} ის(S ₃)	{	მ-აქებ-ს	მე(O ₁)	} ისინი(S ₃)	{	მ-აქებ-ენ	მე(O ₁)
	{	გ-აქებ-ს	შენ(O ₂)		{	გ-აქებ-ენ	შენ(O ₂)
	{	[აქებ-ს]	მას(O ₃)		{	[აქებ-ენ]	მას(O ₃)
	{	გვ-აქებ-ს	ჩვენ(O ₁)		{	გვ-აქებ-ენ	ჩვენ(O ₁)
	{	[გ-აქებ-თ]	თქვენ(O ₂)		{	[გ-აქებ-ენ]	თქვენ(O ₂)
{	[აქებ-ს]	მათ(O ₃)	{	[აქებ-ენ]	მათ(O ₃)		

ყურადღებით გადავხედოთ ზმნის ფორმებს: დავინახეთ, რომ ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმე მეორდება (ასეთებია: გ-აქებ-თ, აქებ-ს, აქებ-ენ, გ-აქებ-ენ. გამეორებული ფორმები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული). თუ ამ გამეორებულ ფორმებს გამოვრიცხავთ, განსხვავებული ფორმა მხოლოდ 18 აღმოჩნდება.

„რაც შეეხება სამპირიან ზმნას, მას წვერთა რაოდენობა იმდენივე აქვს, რამდენიც ორიპირიანს, რადგანაც სამპირიან ზმნაში ერთი ობიექტი უცვლადებელია და ამის გამო წვერთა რაოდენობა არ იზრდება... მწკრივის წვერთა რაოდენობას ორ და სამპირიან ზმნაში არკვევს პირთა შესაძლებელი კომბინაციები და ფორმის გაუმეორებლობა“ (ა. შანიძე).

იმგვარი ორპირიანი ზმნებიც გვაქვს, რომლებიც მწკრივში მხოლოდ ექვს ფორმას გვიჩვენებენ; მაგალითად:

ე-იცი,
იცი,
იცი-ს,
ე-იცი-თ,
იცი-თ,
იცი-ან;

ან კიდევ:

მ-ტკიე-ა,
გ-ტკიე-ა,
ს-ტკიე-ა,
გვ-ტკიე-ა
გ-ტკიე-ა-თ,
ს-ტკიე-ა-თ.

ამის მიზეზია ის, რომ პირველ ზმნას (ე-იცი) მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნების მიხედვით შეუძლია ცვლა, მეორეს (გ-ტკიე-ა) კი - მხოლოდ ობიექტურისა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნას 11 მწკრივი აქვს (მოგაგონებთ: თითოეულ მათგანში შედის ექვს-ექვსი ან თერამეტ-თერამეტი ფორმა). ეს მწკრივი, ფორმითა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა გათვალისწინებით, სამ ჯგუფად იყოფა, რომელთაც სერიებს ვეძახით. პირველ სერიაში გაერთიანებულია 6 მწკრივი, მეორეში - ორი, მესამეში კი - სამი (სერიებად დაყოფის საფუძველზე შემდგომ ვისაუბრებთ).

გავეცნოთ სერიებსა და მწკრივებს. მწკრივების ამოსაცნობად კითხვებს იყენებენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ კითხვა ყოველთვის ვერ გვეხმარება მწკრივის სწორად ამოცნობაში, ან შეიძლება ზმნის ფორმამ კითხვა ვერც იგუოს, მას, როგორც მწკრივის ამოცნობის საშუალებას, მაინც მივმართავთ.

1 სერიაში შეღის შემდეგი მწკრივები:

1. აწმყო. მისი კითხვებია (პირთა გათვალისწინებით):

რას ვშვრები? რას შვრები? რას შვრება?

რას ვშვრებით? რას შვრებით? რას შვრებიან?

(შეხლგომ სიძარტოვისათვის კითხვასაც და ზმნებსაც პირველი სუბიექტური პირის ფორმით წარმოვადგენთ): ვწერ, ვაშენებ, ვთბებ, ვკერავ, ვცხოვრობ, ვეუბნები...

აწყო დროის მიხედვით ძირითადად ახლანდელია, სოფჯერ მას შეიძლება მოშავლის მნიშვნელობაც კჰინდეს, ან საეროოდ დაცლილი იყოს დროის გაცებისაგან (იხ. გვ. 38). კილს მიხედვით იგი თხრობითია, შაცრამ ნუ ნაწილაკის გამოყენების შემსხვევაში უკუთქმითი ბრძანებითი ხდება: ნუ წერ! ნუ წერთ! ნუ წერს! ნუ წერენ! ნუ ვწერო! ასპექტის მიხედვით აწყო უსრულია, თუ ზმნა უასპექტო არ არის.

2. უწვეტილი (მას ნამყო უსრულსაც უწოდებენ ხოლმე):

რას ვშვრებოდი?

ვწერ-დი, ვაშენებ-დი, ვთბებ-დი, ვკერეფ-დი, ვცხოვრობ-დი, ვეუბნებ-დი...

რაოროც ხელავთ, უწვეტილი მიიღება აწყოს ფუქეზე -დი ან -დი ბოლოსართების დართვით, რომელთაც სავრცობს უწოდებენ. სავრცობს მისადევს -ი, რომელიც მხოლოდ პირველი და მეორე პირის ფორმაში გვაქვს. მესამეში კი - აღარ: ვწერ-დი, წერ-დი, შაცრამ: წერ-დი; ვწერ-დი-თ, წერ-დი-თ, შაცრამ: წერ-დი-ნენ; ვ-თბებ-დი, თბებ-დი, შაცრამ: თბებ-დი; ვ-თბებ-დი-თ, თბებ-დი-თ, შაცრამ: თბებ-დი-ნენ.

ამგვარად, უწვეტილის ფორმულა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

აწყო + დ(დი) + ი (მხოლოდ I-II პირში).

დროის მიხედვით უწვეტილი ყოველთვის წარსულია, კილს მიხედვით - ყოველთვის თხრობითი. ასპექტის მიხედვით კი ის უსრულია, თუ ზმნა უასპექტო არ არის.

3. აწყოს კავშირებითი: რას ვშვრებოდე?

ვწერ-დე, ვაშენებ-დე, ვ-თბებ-დი, ვკერავ-დე, ვცხოვრობ-დე, ვეუბნებ-დი.

აწმყოს კავშირებითის მწკრივის ნიშანია -ე ბოლოსართი, რომელიც სავრცობის შემდეგ მოუდის მას. უწყვეტლის -ი ბოლოსართისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ პირველ და მეორე პირში ჩანს, მხოლოდობითშიცა და მრავლობითშიც, აწმყოს კავშირებისაის ე ზმნას მესამე პირშიც გადაჰყვება, ოღონდ - მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში: ე-წერ-დ-ე, წერ-დ-ე, წერ-დ-ეს, ე-წერ-დ-ეთ, წერ-დ-ეთ, მაგრამ: წერ-დ-ნენ. ასევე: ე-თბებ-ოდ-ე, თბებ-ოდ-ე, თბებ-ოდ-ეს, ე-თბებ-ოდ-ეთ, თბებ-ოდ-ეთ, მაგრამ: თბებ-ოდ-ნენ.

ამის გამოა, რომ მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა:

უწყვეტელი: ის წერ-დ-ა, ისინი წერ-დ-ნენ;

აწმყოს კავშირებითი: ის წერ-დ-ეს, ისინი წერ-დ-ნენ.

იმის დასადგენად, საანალიზო ზმნა უწყვეტელია თუ აწმყოს კავშირებითი, იგი, კონტექსტითურთ, მხოლოდობით რიცხვში უნდა გადმოვიყვანოთ. მაგალითად:

ა. ისინი წერდნენ, ჩვენ ვკითხულობდით (მხოლოდობითი იქნება: ის წერდა, ჩვენ ვკითხულობდით).

ბ. ისინი რომ წერდნენ, ჩვენც გავვიხარადებოდა (მხოლოდობითი იქნება: ის რომ წერდეს, ჩვენც გავვიხარადებოდა). მაშასადამე, პირველ (ა) შემთხვევაში წერდნენ უწყვეტელია, მეორე (ბ) შემთხვევაში კი - აწმყოს კავშირებითი.

როგორ იწარმოება აწმყოს კავშირებითი?

ფორმულა ამგვარად შეიძლება ჩავიწეროთ:

აწყო + დ(ოდ) + ე

რადგან აწყო + დ(ოდ) იგივე უწყვეტელია, შეიძლებაოდა სხვაგვარადაც გვეთქვა: აწმყოს კავშირებითი = უწყვეტელი + ე.

ასე ვიტყვით თუ ისე, ერთი რამ უდავოა: უწყვეტლისთვისაც და აწმყოს კავშირებითისათვისაც საყრდენია, ამოსავალია აწყო. ამიტომ პირველი სერიის პირველ სამ მწკრივს აწყოს წრედ აერთიანებენ.

აწმყოს კავშირებითი დროის მიხედვით ახლანდელია ან მომავალი, კოლოს მიხედვით - კავშირებითი, ასპექტის მიხედვით კი უსრულია, თუ ზმნა უასპექტო არ არის.

4. მყოფადი: რას ვიზამ?

ლა-წერ, ა-ვ-აშენებ, გა-ვ-ობები, შე-ვ-კრავ, ვ-ცხოვრებ, ვ-იღი-
ვი...

ამ მაგალითებზე დაკვირვება, მათი აწმყოსთან შედარება აღვი-
ლად მიგვაჩვენებს, რომ სყოფადის მიღების ხამი ძირითადი ხაშუა-
ლუბა არსებობს:

ა. აწმყოს ფორმაზე ზმნისწინის დართუბ:

აწმყო	მყოფადი
ვ-წერ	ლა-ვ-წერ, ჩა-ვ-წერ, გადა-ვ-წერ...
ვ-აშენებ	ა-ვ-აშენებ, მი-ვ-აშენებ, და-ვ-აშენებ...
ვ-ობები	გა-ვ-ობები, შე-ვ-ობები...

ბ. გამოყენებ ყალიბისა:

- ი - ებ (თუ ზმნა ერთპირიანია), ან
- უ - ებ (თუ ზმნა ორპირიანია), იშეითად უ- მაგალითად:

აწმყო	მყოფადი
ვ-ცხოვრობ	ვ-ცხოვრობ
ვ-ცურავ	ვ-ცურებ
.
ვ-პატრონობ	ვ-უ-პატრონობ
ვ-დარაჯობ	ვ-უ-დარაჯობ
ვ-კბენ	ვ-უ-კბენ

გ. ზმნის ფუბის შეცვლა:

აწმყო	მყოფადი
ვ-ეუბნები	ვ-იღივი
ვ-არ	ვ-იქნები
ვ-ამბობ	ვ-იღივი
მო-მ-აქვს	მო-ვ-იტან და ა.შ.

სყოფადი დროის მიხედვით უპირატესად მომავალია, მაგრამ მას
ახლანდელი დროის გადმოცემაც შეუძლია და უდროოც შეიძლება
იყოს; კილოს მიხედვით იგი ძირითადად თხრობითია, ნუ ნაწილაკის
გამოყენების შემთხვევაში - უკუთქმით ბრძანებით: ნუ დაწერ! ნუ
დაწერს! ნუ დაწერო! ნუ დაწერენ! ნუ დავწერო! ასპექტის მიხედვით
სრული უნდა იყოს (როდესაც აწმყოსგან მყოფადი ზმნისწინის დართ-
ვითაა მიღებული), თუ ზმნა უასპექტო არ არის.

5. მყოფადის ხოლმეობითი (მას პირველ ხოლმეობითსაც უწოდე-

ბეს და ხოლმეობით-შედგობითსაც):

რას ვისამდი?

ღა-გწერ-ღ-ი, ა-ვ-აშენებ-ღ-ი, გა-გ-ობებ-ოღ-ი, შე-ე-კრავ-ღ-ი, ვ-ი-ცხოვრებ-ღ-ი, ვ-ეტი-ოღ-ი...

როგორც ვხედავთ, ხოლმეობითი მიიღება მყოფადისაგან მასზე დან ოდ სავრცობის დართვით, არა აქვს მნიშვნელობა, რა გისოთა მიღებული თავად მყოფადი :

ა) სმნისწინის დართვით:

ვ-წერ - ღა-გწერ, ღა-გწერ-ღ-ი.

ვ-თებ-ი - გა-გ-თებები, გა-გ-თებებ-ოღ-ი

ბ) ი/უ - ებ ყალიბით:

ვ-ცხოვრ-ობ - ვ-ი-ცხოვრ-ებ, ვ-ი-ცხოვრ-ებ-ღ-ი

ვ-პატრონ-ობ - ვ-უ-პატრონ-ებ, ვ-უ-პატრონ-ებ-ღ-ი...

თუ გ) ფუძის შეცვლით: ვ-ეუბნები - ვ-ებჯი, ვ-ებჯ-ოღ-ი
მასისადაძე, ხოლმეობითის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

მყოფადი + ღ (ოდ) + ი (I და II პირში).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მყოფადის ხოლმეობითი იხევე იწარმოება მყოფადისაგან, როგორც უწინვეტილი - აწყოისაგან.

ღროს თვალსაზრისით, მყოფადის ხოლმეობითი ხშირად წარსულია, რომელიც განმეორებად, მრავალგისი, ე.წ. „ხოლმე“ ნაწილაკის შემტველ მოქმედებას გამოხატავს. გაეისხეროთ დარეჯანის მიერ შინამოსამსახურეთა „დაწოკების“ ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანიდან“: „რაკი... კრეინა თვალს გააჭეჭტდა, შავარდენიეთ გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შებსაფენსა, სედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა... შიშველ ფეხს შეიშოსავდა ჩუსტითა და - კერი ბიჭო - დავშებოდა ჩალურისაკენ...“ ამ შემთხვევაში კილო თხრობითია; მაგრამ მყოფადის ხოლმეობითს ე.წ. პირობითი და შედეგობითი კილოს მნიშვნელობის (იხ. გვ. 44, შერიშვნა) გადმოცემაც შეუძლია: თუ დავინახავდი, აუცილებლად ვეტყოდი. მყოფადის ხოლმეობითით გადმოცემული ამ სმნებიდან პირველი (დავინახავდი) გადმოგვემს მოქმედებას, როგორც პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად, მეორე კი (ვეტყოდი) - ამ პირობიდან გამომდინარე შედეგს (შეიძლებოდა ამ წინადადებას ასეთი სახეც კიონოდა: რომ დამენახა, აუცილებლად ვეტყოდი. პირობა ამ შემთხ-

გვეაში სხვა მწკრივით (II თერაპიებით) არის გადმოცემული, 'შედეგობა კი - კვლავ მყოფადის ხოლმეობითით).

ასპექტის თვალსაზრისით მყოფადის ხოლმეობითი სრულია, თუ 'შენა უასპექტო არ არის.

6. მყოფადის კავშირებითი: რას ვისამდე?

და-ვწერ-დ-ე, ა-ვ-ამქენებ-დ-ე, გა-ვ-თბებ-ო-დ-ე, შე-ვ-კრავ-დ-ე, ვ-ი-ცხოვრებ-დ-ე, ვ-ეტი-ო-დ-ე.

მყოფადის კავშირებითის მწკრივის ნიშანია -ე (აწმყო კავშირებითის მსგავსად). ეს -ე მას ყველა შემთხვევაში აქვს, გარდა მესამე პირის მრავლობითი რიცხვისა: და-ვწერ-დ-ე, და-წერ-დ-ე, და-წერ-დ-ეს, და-ვწერ-დ-ეთ, და-წერ-დ-ეთ, მაგრამ: და-წერ-დ-ნენ: ან კი-დე: გა-ვ-თბებ-ო-დ-ე, გა-თბებ-ო-დ-ე, გა-თბებ-ო-დ-ეს, გა-ვ-თბებ-ო-დ-ეთ, გა-თბებ-ო-დ-ეთ, მაგრამ: გა-თბებ-ო-დ-ნენ. ამის გამო მყოფადის ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის ფორმებიც მესამე პირის მრავლობით რიცხვში ფორმობრივ ემთხვევა ერთმანეთს; 'მდრ.: რომ ეთხოვათ, დაწერდნენ (მხოლოდით რიცხვში იქნება: რომ ეთხოვათ, დაწერდა), და: ნეტავ დაწერდნენ (მხოლოდით: ნეტავ დაწერა).

მათ განსახელებლად. როგორც ვხედავთ, იმავე ხერხს ვიყენებთ, რასაც უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის გასარჩევად ვიყენებდით (იხ. გვ. 49).

მყოფადის კავშირებითის ფორმულას ასეთი სახე აქვს:

მყოფადი + დ(ოდ) + ე. შეიძლება სხვაგვარადაც გვეთქვა: მყოფადის კავშირებითი = მყოფადის ხოლმეობითი + ე.

მყოფადის კავშირებითი დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით - კავშირებითი, ასპექტის მიხედვით - სრული, თუ 'შენა უასპექტო არ არის.

პირველი სერიის პირველი სამი მწკრივისათვის ამოსავალი იყო აწმყო და ამ ნიშნით ისინი აწმყოს წრედ გავეერთიანეთ. მომდევნო სამი მწკრივისათვის მყოფადია ამოსავალი და ამიტომ მათს ერთობლიობას მყოფადის წრეს ვუწოდებთ.

მაშასადამე, I სერიაში გვაქვს 6 მწკრივი, რომლებიც ორ წრედ იყოფა: აწმყოს წრედ (აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი) და მყოფადის წრედ (მყოფადი, მყოფადის ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითი).

II სერიაში ორი მწკრივია: წვეტილი და II კავშირებითი.

1. **წვეტილი:** რა ექენი? (რა ქენი? რა ქნა?...) და-ე-წერ-ე, ა-ე-აშენ-ე, გა-ე-თბ-ი, შე-ე-კარ(ი), ე-იცხოვრ-ე, ე-უთხარ(ი)...

წვეტილის მწკრივის ნიშნად გვაქვს ბოლოსართები -ე და -ი.

-ე: და-ე-წერ-ე, ა-ე-აშენ-ე, ე-იცხოვრ-ე...

-ი: გა-ე-თბ-ი, გა-ე-შრ-ი, და-ე-დნ-ი...

ეს ბოლოსართები მხოლოდ პირველი და მეორე პირის ფორმებშია წარმოდგენილი (მხოლოდითშიცა და მრავლობითშიც). მესამე პირში -ე და -ი ეკვეცება ზმნას: ე-იცხოვრ-ე, ე-იცხოვრ-ეთ, იცხოვრ-ე, იცხოვრ-ეთ, მაგრამ: იცხოვრ-ა, იცხოვრ-ეს; ასევე: გა-ვთბ-ი, გა-ვთბ-ით, გა-თბ-ი, გა-თბ-ით, მაგრამ: გა-თბ-ა, გა-თბ-ნენ.

წვეტილი შეიძლება უნიშნოც იყოს. ამ ტიპის წვეტილი თანამედროვე ქართულში, ჩვეულებრივ, ი-ს დაირთავს ხოლმე, მაგრამ მას მწკრივის ნიშნად არ თვლიან, რამდენადაც ზმნის ფორმას მის გარეშეც აქვს წვეტილის მნიშვნელობა: შე-ე-კარ(ი), და-ე-კარ(ი), ე-უთხარ(ი), მო-ე-კალ(ი) და ა.შ.

მაშასადამე, წვეტილი სამგვარი გვქონია: -ე ბოლოსართიანი, -ი ბოლოსართიანი და უნიშნო (ანუ ისეთი, რომელშიც -ი შეიძლება იყოს და შეიძლება არა).

წვეტილი დროის მიხედვით ძირითადად წარსულია, ამ შემთხვევაში მას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს („ტყემ მოისხა ფოთოლი...“), მაგრამ წვეტილის მეორე პირის ფორმას, თხრობითის გარდა, შეიძლება ბრძანებითი კილოს მნიშვნელობაც ჰქონდეს. წართქმითი ბრძანებითისა. ამ შემთხვევაში დრო მომავალი იქნება. შდრ.: შენ ნამდვილად ვაჟაკურად იცხოვრე, ბევრი იშრომე... და: ვაჟაკურად იცხოვრე! ბევრი იშრომე!

პირველ წინადადებაში იცხოვრე, იშრომე წარსული დროის თხრობითი კილოს ფორმებია, მეორე წინადადებაში კი წვეტილის მწკრივის იმავე ზმნებით ბრძანებითი კილო და მომავალი დროა გადმოცემული. ასპექტის თვალსაზრისით, წვეტილის ფორმები ყველა შესაძლებლობას ავლენენ: შეუძლიათ გამოხატონ უსრული ასპექტიცა (ე-წერ-ე, ე-ხატ-ე, ე-აშენ-ე...) და სრულიც (და-ე-წერ-ე, ჩა-ე-ხატ-ე,

ა-ჯ-აშენ-ე...), შეიძლება წყვეტილის ფორმის ზმნა უასპექტოც იყოს: ვ-ი-ა-ვი, ვ-ე-გ-დე, ვ-ი-მ-უ-შ-ა-ვ-ე...

II კავშირებითი: რა ვ-ქნა? (რა ქნა? რა ქნას?..)

მივაქციოთ ყურადღება, რომ რა ქნა? კითხვა წყვეტილის ამოსაცნობადაც გამოიყენება და II კავშირებითისაც, მაგრამ შეცდომას ადვილად ავიცილებთ თავეიდან, თუ დავიძახებთ, რომ წყვეტილთან რა ქნა? მესამე პირის ამოცნობის საშუალებაა (მან რა ქნა?), ხოლო II კავშირებითთან იგი მეორე პირის ფორმაზე მიგვითითებს (შენ რა (უნდა) ქნა?).

II კავშირებითის მწკრივის ფორმებია: და-ვ-წერ-ო, ა-ვ-აშენ-ო, ვ-ც-თბ-ე, შე-ვ-კრ-ა, ვ-ი-ცხოვრ-ო, ვ-უ-თხრ-ა... ალბათ შენიშნეთ, რომ II კავშირებითს მწკრივის ნიშნად აქვს ბოლოსართები: -ო, -ე ან -ბ.

-ო: და-ვ-წერ-ო, ა-ვ-აშენ-ო, ვ-ი-ცხოვრ-ო...

-ე: ვა-ვ-თბ-ე, ვა-ვ-შრ-ე, და-ვ-დრ-ე...

-ბ: შე-ვ-კრ-ბ, ვ-უ-თხრ-ბ, მო-ვ-კლ-ბ და ა.შ. მივაქციოთ ყურადღება, რომ -ბ ბოლოსართის დარჩევის შედეგად ზმნის ფუძე იკუმშება: შე-ვ-კრ-ბა → შე-ვ-კრ-ბ, ვ-უ-თხრ-ბა → ვ-უ-თხრ-ბ, მო-ვ-კლ-ბა → მო-ვ-კლ-ბ...

II კავშირებითის მწკრივის ნიშნებიდან -ო და -ბ ზმნის სამივე პირის ფორმაშია წარმოდგენილი, მხოლოდითშიცა და მრავლობითშიც (და-ვ-წერ-ო, და-წერ-ო, და-წერ-ო-ს, და-ვ-წერ-ო-თ, და-წერ-ო-თ, და-წერ-ო-ნ; შე-ვ-კრ-ბ, შე-კრ-ბ, შე-კრ-ბ-ს, შე-ვ-კრ-ბ-თ, შე-კრ-ბ-თ, შე-კრ-ბ-ნ), -ე მწკრივის ნიშანი კი მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში ეკარგება ზმნას (ვა-ვ-თბ-ე, ვა-თბ-ე, ვა-თბ-ე-ს, ვა-ვ-თბ-ე-თ, ვა-თბ-ე-თ, მაგრამ: ვა-თბ-ენ). ამის გამო ზმნათა წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. შდრ.: ოთახში შევიდ-ნენ და გათბ-ნენ და: ოთახში შევიდ-ნენ, რომ გათბ-ნენ. გარსევისათვის იგივე ხერხი უნდა გამოვიყენოთ, რასაც უწყვეტილისა და აწმყოს კავშირებითის, ან ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის განსახელებლად ვოყენებდით (ანუ ზმნათა გადაყენა მხოლოდით რიცხვში). შდრ.: ოთახში შევიდა და გათბ-ბ და: ოთახში შევიდა, რომ გათბ-ეს. ე.ი. პირველ შემთხვევაში წყვეტილია, მეორე შემთხვევაში კი - II კავშირებითი.

შენიშვნა: შენაცვლება შეიძლება ამგვარადაც მომხდარიყო: ოთახში შევიდა, რომ გამთბარყო. ამ შემთხვევაში II კავშირებითის ნაცვლად II თურმეობითი გვაქვს, მაგრამ ეს ფორმაც კავშირებითი კილოს (III კავშირებითის) მნიშვნელობითაა ნახმარი.

ერთი საინტერესო კანონზომიერება იქცევს ყურადღებას: -თ ბოლოსართი II კავშირებითში ძირითადად იმ სმნებს აქვთ, რომელთა წვეტილიც -ე სუფიქსითაა ნაწარმოები: და-ე-წერ-ე - და-ე-წერ-ო; ავაშენ-ე - ავაშენ-ო... იმ სმნებს, რომელთაც წვეტილის მწკრივის ნიშნად -ი აქვთ, II კავშირებითს -ე ბოლოსართით აწარმოებენ: გა-ე-თბ-ი - გა-ე-თბ-ე, გა-ე-შრ-ი - გა-ე-შრ-ე... ხოლო უნიშნო წვეტილის შემთხვევაში II კავშირებითი -ბ ბოლოსართითაა ნაწარმოები: შე-ე-კარ(ი) - შე-ე-კარ-ბ, ე-უთხარ(ი) - ე-უთხარ-ბ...

II კავშირებითი დროის თვალსაზრისით მომავალია, კილოს თვალსაზრისით კი - კავშირებითი. ამ მწკრივის ფორმით შეიძლება გადმოიკვს წართქმითი ბრძანებითი მესამე პირისა მხოლოდობითშიცა და მრავლობითშიც (დაწეროს! დაწერონ! უთხრას! უთხრან!), ან პირველი პირისა მრავლობით რიცხვში (დაეწეროს! ეუთხრათ!). უკუთქმითი ბრძანებითის გადმოსაცემად II კავშირებითი ბრ ნაწილაკს იყენებს (არ დაწერო! არ დაწეროთ! არ უთხრა! არ უთხრათ! არ დაწეროს! არ დაწერონ! არ უთხრას! არ უთხრან! არ დაეწეროთ! არ ეუთხრათ!). ასპექტის თვალსაზრისით, II კავშირებითიც ეველა შესაძლებლობას აელენს: შეუძლია გამოხატოს უსრული ასპექტიც (ვწერო, ეხატო, ვაშენო...), სრულიც (დაეწერო, ჩავხატო, ავაშენო...), შეიძლება II კავშირებითის მწკრივის ზმნა უასპექტოც იყოს (ვიყო, ევედო, ვიმუშაო...).

თქვენ აღბათ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად ძირითადად II სერიის მწკრივები - წვეტილი და II კავშირებითია გამოყენებული (ძველ ქართულში ბრძანებითი ცალკე მწკრივი იყო), თუმცა ბრძანებითს (ოღონდ უკუთქმითს) ნუ ნაწილაკიანი აწმქოსა და მყოფადის ფორმები გადმოგვცემენ: ნუ წერ! ნუ დაწერ!...

მაშ, მოკლედ გავცეთ პასუხი კითხვას: როგორ იწარმოება ბრძანებითი?

ბრძანებოთის ნარმოვბა

მეორე პირის წართქმითი ბრძანებითის საწარმოებლად თანამედროვე ქართული ენა იყენებს წყვეტილის მწკრივს, როგორც მხოლოდით. ისე მრავლობით რიცხეში: დაწერე! დაწერეთ! შეკარი! შეკართ!

მეორე პირის არ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებოთისათვის II კავშირებითია გამოყენებული: არ დაწერო! არ დაწეროთ! არ შეკრა! არ შეკრათ! მესამე პირის ბრძანებოთისათვის, წართქმითისთვისაც და უკუთქმითისთვისაც (არ ნაწილაკიანისათვის) II კავშირებითის მწკრივს ვიყენებთ: დაწეროს! არ დაწეროს! დაწერონ! არ დაწერონ! შეკრას! არ შეკრას! შეკრან! არ შეკრან!

II კავშირებითითაა ნაწარმოები პირველი პირის ბრძანებოთიც: დაეწეროთ! არ დაეწეროთ!

რაც შეეხება ნუ ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებოთს, ყველა შემთხვევისათვის აწმყოს ან მყოფადის მწკრივია გამოყენებული: ნუ წერ! ნუ დაწერ! ნუ წერს! ნუ დაწერს! ნუ წერთ! ნუ დაწერთ! ნუ წერენ! ნუ დაწერენ! ნუ ვწერთ! ნუ დაეწეროთ!

როგორც ვხედავთ, ახალ ქართულში ბრძანებოთს საკუთარი ფორმა არ გააჩნია. იგი ან წყვეტილს იყენებს, ან - II კავშირებითს, ან კიდევ - აწმყოსა და მყოფადს. ერთადერთი ზმნა, რომელსაც ბრძანებოთში საკუთარი ფორმა აქვს, არის ზმნა მოდი! იგი შეიძლება სხვადასხვა ზმნისწინდართული იყოს: წადი! მიდი! გადადი! გადმოდი!

თემა. თემის ნიშნები. მართლწარის საკითხები თემის ნიშნებთან დაკავშირებით

ჩვენ შევისწავლეთ I და II სერიის მწკრივები. ვიდრე III სერიის მწკრივებს შევხებოდეთ, გავეცნოთ თემას, თემის ნიშნებს, ფუძესა და ძირს. ამისათვის ვაუღლოთ რამდენიმე ზმნა I-სა და II სერიაში. სიმარტივისათვის მათ მხოლოდ მესამე პირის ფორმით წარმოვადგენთ:

I სერია

აწმყო	წერ-ს	აშენებ-ს	ათბობ-ს	კრავ-ს	დგამ-ს	შლი-ს	გრეხ-ს
უწავებო- ლი	წერ-დ-ა	აშენებ- დ-ა	ათბობ-დ-ა	კრავ-დ-ა	დგამ-დ-ა	შლი-დ-ა	გრეხ-დ-ა
აწმყოს კავშირე- ბითი	წერ-დ-ე-ს	აშენებ-დ- ე-ს	ათბობ-დ- ე-ს	კრავ-დ- ე-ს	დგამ-დ- ე-ს	შლი-დ- ე-ს	გრეხ-დ- ე-ს
მყოფადი	და-წერ-ს	ა-აშენებს	გა-ათბობს	შე-კრავს	და-დგამს	გა-შლის	და-გრეხს
ხოლმყო- ბითი	და-წერ- დ-ა	ა-აშენებ- დ-ა	გა-ათბობ- დ-ა	შე-კრავ- დ-ა	და-დგამ- დ-ა	გა-შლი- დ-ა	და-გრეხ- დ-ა
მყოფადის კავშირე- ბითი	და-წერ-დ- ე-ს	ა-აშენებ- დ-ე-ს	გა-ათბობ- დ-ე-ს	შე-კრავ- დ-ე-ს	და-დგამ- დ-ე-ს	გა-შლი- დ-ე-ს	და-გრეხ- დ-ე-ს

II სერია

წვეტილი (და)წერ-ა (ა)აშენ-ა (გა)ათბ-ო (შე)კრ-ა (და)დგ-ა (გა)შლ-ა (და)გრეხ-ა
II კავში-

რებითი (და)წერ-ო-ს (ა)აშენ-ო-ს (გა)ათბ-ო-ს (შე)კრ-ა-ს (და)დგ-ე-ს (გა)შლ-ო-ს (და)გრეხ-ო-ს

ახლა დაეაკვირდეთ თითოეული ზმნის I სერიის მწკრივთა ფორმებს და გამოვეყთ ის ნაწილი ზმნისა, რომელიც ექვსივე მწკრივშია გამეორებული. სურათი ასეთია: წერ, აშენებ, ათბობ, კრავ, დგამ, შლი, გრეხ.

იგივე გავიმეოროთ II სერიის მწკრივების მიმართ. სურათი ასეთი იქნება: წერ, აშენ, ათბ, კრ, დგ, შალ, გრეხ.

ზმნის ის ნაწილი, რომელიც საერთოა I სერიის ყველა მწკრივისათვის, ან II სერიის ყველა მწკრივისათვის, არის თემა. თემა - ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში, პირველში ან მეორეში* (ა. შანიძე).

მაშასადამე, ნაუღლებ ზმნათა I სერიის თემაა: წერ, აშენებ, ათბობ, კრავ, დგამ, შლი, გრეხ, ხოლო II სერიის თემაა: წერ, აშენ, ათბ, კრ, დგ, შალ, გრეხ.

შეიძლება ზმნას I-სა და II სერიაში ერთი და იგივე თემა პქონ-

დეს. ამ შესთხვევაში ზმნა ერთთემიანი იქნება. ასეთია, მაგალითად, წერ, აგრეთვე ქსოვ, ბოვ... მათი რიცხვი მცირეა. ზმნათა უმრავლესობას I-სა და II სერიაში განსხვავებული თემები აქვს: აშენებ - აშენ; ახობ - ათბ; კრავ - კრ; დგამ - დგ; შლი - შალ (კრავ და შლი ფუძეები შეიქმნეულია: კარ-ავ → კრ-ავ, შალ-ი → შლ-ი. II სერიაში ფუძისეული ა ხმოვანი აღდგება). ამგვარი ზმნები ორთემიანია.

იმ ელემენტს, რომელიც I სერიის თემას განასხვავებს II სერიის თემისაგან, რომლითაც I სერიის თემა მეტია II სერიის თემაზე, თემის ნიშანი ეწოდება. თემის ნიშნებია: -ებ, -ობ, -ავ, -ამ, -ი... სხვა ზმნებთან სხვა თემის ნიშნებიც იქნეს თავს, მაგალითად, -ემ (მი-ე-ც-ემ - მი-ე-ე-ც), -ოფ (ე-ფ-ოფ - გა-ე-ე-ფ, -ფე-ოფ) მიღებულია „ე-ფავ-ოფ“ ფორმისაგან, რომელშიც ფუძისეული ა ხმოვანი შეიქმნეულია, ე კი - დაკარგული ო ხმოვნის წინ)...

თემისნიშნის თემა რთულია, უთემისნიშნო კი - მარტივი.

თემის ნიშნის მქონე ყველა ზმნა ორთემიანია, რადგან I სერიაში ზმნას აქვს თემის ნიშანი, II სერიაში კი იგი ყოველთვის ჩამოიცილებს ხოლმე მას და, ბუნებრივია, თემაც განსხვავებული ხდება. ორთემიანია აგრეთვე გრებს ტიპის ზმნებიც, რომელთაც თემის ნიშნები არა აქვთ, მაგრამ მათი I სერიის თემა მანაც განსხვავებულია II სერიის თემისაგან: I სერიის ფორმებში ე ხმოვანია, მეორისაში კი - ი: ვგრებს - ვგრიხე, ვდრავ - ვდრიკე, ვკრავ - ვკრიფე, ვულვტ - ვვლოტე, ვხრავ - ვხრიკე, ვშენდ - ვშინდე... დაემახსოვროთ: ამ ზმნებს თემის ნიშნები არა აქვთ, ამიტომ ვგრიხავ, ვდრიკავ, ვკრიფავ, ვვლოტავ, ვხრიკე, ვშინდავ და სხვა, რომელთაც, საშუაზროდ, ხმარობენ ხოლმე, არ უნდა ვიხმაროთ. სწორია: ვგრებს, ვდრავ, ვკრავ, ვვლვტ, ვხრავ, ვშენდ და ა.შ.

თემის ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებით მართლწერისა და მართლმეტყველების რამდენიმე სხვა საკითხსაც უნდა შევეხოთ:

1. ერთთემიან ზმნას თემის ნიშანი არ სჭირდება. ამიტომ მცდარია: ვწერავ, ვწერამ... სწორია მხოლოდ ვწერ.

2. ხშირად უპართებულოდ უნაცვლებენ ერთმანეთს ავ და ამ თემის ნიშნებს: ვბარამ (უნდა იყოს: ვბარავ), ვკერამ (სწორია: ვკერავ), ვბერამ (საჭიროა: ვბერავ), ვხატამ (მართებულია: ვხატავ) და ა.შ. ამ

ფორმებში -**ა**გ თემის ნიშნის ნაცვლად -**ამ** არის გამოკერებული, რაც, რა თქმა უნდა, მცდარია. ხდება პირიქითაც: -**ამ** თემის ნიშანი უპარ-
თებულად -**აგ** ნიშნითაა შეცვლილი: ვაბაე (უნდა იყოს: ვაბამ), ვაგაე
(სწორია: ვაგამ), დავასხაე (საჭიროა: დავასხამ). დავარტყავ (მართუ-
ბულია: დავარტყამ) და ა.შ.

სწორი ფორმის დასადგენად უძნა საწყისის სახით უნდა ავიღოთ
და დაუკვირდეთ, რომელი თანხმოვანია მასში, **გ** თუ **მ**. მაგალითად,
ვაბამ თუ ვაბაგ? საწყისი ფორმაა ბაგა, ე.ი. სწორია ვაბაგ. ვა-
ბაგ თუ ვაბამ? საწყისია დაბმა, ე.ი. უნდა ვთქვათ და ვწეროთ ვაბამ.

3. სოფოერო უძნახთან -**ებ** თემის ნიშნის ნაცვლად შეცვლილთ **ობ**-
სხარობენ: ასწრობს, აწობს, აპირობს, ჭიკტიკობს, ფრთხილიობს, სრია-
ლიობს და ა.შ. სწორია: ასწრებს, აწებს, აპირებს, ჭიკტიკებს, ფრთხი-
ლებს, სრიალებს...

ასევე -**ებ** არის საჭირო უძნებთან: ებმება, ეუბნება (შეცლილია:
ებმევა, ეუბნევა...).

4. სოგაქერ -**ობ** თემის ნიშანს უმართებულად ოფ-ით ცვლიან
ხოლმე. საჭიროა ვიხმართ სწორი ფორმები: ახმობს, აწყობს, ამ-
ხობს... და არა: ახმოფს, აწყოფს, ამხოფს...

ზმნის უწყა. ძირი

ჩვენ გავეცანით თემას და თემის ნიშნებს. ახლა ვუპასუხოთ კითხ-
ვებს: რა არის ზმნის მწკრივის ფუძე? რა არის ძირი? მწკრივის ფუ-
ძე ზმნის ის ნაწილია, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური
მნიშვნელობა და რომელიც გვჩვენებს პირისა და რიცხვის ნიშნების
ჩამოცილების შემდეგ. მაგალითად, ვწერთ ზმნის ფუძეა წერ, ამუ-
ნებდნენ ზმნისა - ამუნებდ, გადაასახლეს ზმნის ფუძე არის გადა-
სახლ, მხატავდეს ზმნისა - ხატავდ და ა.შ. როგორც ვხედავთ, ზმნის
ფუძეში შედის ზმნისწინიც, საურცობიც, მწკრივის ნიშანიც და სხვაც,
ანუ ყველა მაწარმოებელი, გარდა პირისა და რიცხვის ნიშნებისა.

ძირი ზმნის დაუმღელი ნაწილია, ანუ ის, რაც დარჩება ყოველგ-
ვარი მაწარმოებლის მოშორების შემდეგ. მაგალითად, გადმო-მ-ც-ემ-

დ-ეს ზმნაში გადმო- 'ხმნის'წინია, დ - მწკრივის ხაერცობი, ე - მყოფადის კავშირებითის მწკრივის ნიშანი, ემ - თემის ნიშანი (მდრ.: გადმო-მ-ც-ა), მ - პირველი ირიბობიექტური პირის ნიშანი, -ს - მე-სამე სუბიექტური პირის ნიშანი. დარჩა ც იგი აღარ დაიშლება, ე-ი. ც არის გადმო-მ-ც-ემ-დ-ეს ზმნის ძირი.

ზოგჯერ ზმნის ფუძე და ძირი ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე. მაგალითად, დულ-ს ზმნის ფუძეცა და ძირიც არის დულ.

შეიძლება ფუძე და თემაც დაემთხვეს ერთმანეთს. მაგალითად, აშენებ არის 'ხმნის ფუძეცა და თემაც.

ახლა დავეუბრუნდეთ კვლავ სერიებსა და მწკრივებს.

III სერია

III სერიაში სამი მწკრივია: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი.

I თურმეობითი: რა მიქნია? (რა გიქნია? რა უქნია?..)

და-მ-იწერი-ა, ა-მ-იწერები-ა, გა-ვ-მობარ-ვ-არ, შე-მ-იკრავ-ს, მ-იც-ხიერი-ა, მ-ითქვამ-ს...

უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ ზმნას I სერიაში ავ არ ამ თემის ნიშანი აქვს, ის უნდა გადააქვეყს I თურმეობითში. ამიტომ სწორი ფორმებია: შემიკრ-ავ-ს, დამობარ-ავ-ს, შემიკერ-ავ-ს, დამიხატ-ავ-ს, დამიფარ-ავ-ს... და არა: შემიკერია, დამობარია, შემიკერია, დამიხატია, დამიფარია... ასევე, სწორია: მითქვამ-ს, შემისუ-ამ-ს, დამირტყა-ამ-ს, დამობ-ამ-ს... და არა: მითქვია, შემისუია, დამირტყია, დამობია...

აქ ერთმა უხერხულობამ შეიძლება იჩინოს თავი: ჩამოთვლილ ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ცალკე აღებულს, კონტექსტის გარეშე, მყოფადის მწკრივის მნიშვნელობაც შეიძლება აქონდეს:

რას იხამს? - შემიკერავს ის(S₃) მე(O₁) მას(O₃) - მყოფადი

რა მიქნია? - შემიკერავს მე(S₁) ის(O₃) - I თურმეობითი

რას იხამს? - დამობარავს ის(S₃) მე(O₁) მას(O₃) - მყოფადი

რა მიქნია? - დამობარავს მე(S₁) ის(O₃) - I თურმეობითი

რას იხამს? - დამობამს ის(S₃) მე(O₁) მას(O₃) - მყოფადი

რა მიქნია? - დაზიბაშს მე(S₁) ის(O₃) - I თურმეობითი და ა.შ.

თქვენ აღბათ უკვე მიხვდით, რა ადვილია იმის გარკვევა, საანალიზო ფორმა მყოფადის მწკრივისაა თუ I თურმეობითისა: მყოფადის მწკრივში ზმნა სამპირიანია, I თურმეობითში - ორპირიანი; მყოფადში სუბიექტად მესამე პირიაა, რომელსაც ზმნაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი აქვს (-ს ბოლოსართი), I თურმეობითში კი რეალურად სუბიექტი პირველი პირია, რომელიც ზმნაში პირველი ობიექტური პირის ნიშნითაა გამოხატული (მ- თავსართი), ანუ I თურმეობითში ინვერსიაა მომხდარი (იხ. გვ. 27-29); მყოფადის მწკრივს მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს, I თურმეობითი კი უმთავრესად წარსულ დროს გადმოსცემს... ერთი სიტყვით, ყოველივე ამის მხედველობაში მიღებითა და, რაც მთავარია, კონტექსტის გათვალისწინებით არაერთარი უხერხულობა და გაურკვეველობა არ უნდა შეიქმნას.

I თურმეობითი შეიძლება წყვეტილის მწკრივს შეენაცვლოს, როცა არ ნაწილაკიანი უბრალო უარყოფის გადმოსცემაა საჭირო: დაწერა - არ დაუწერია; ააშენა - არ აუშენებია; დახატა - არ დაუხატავს... (არ დაწერა, არ ააშენა, არ დახატა... ფორმებს უფრო კატეგორიული ხასიათი აქვს).

I თურმეობითი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად წარსული დროის გადმოსცემი მწკრივია: შენ მე აღარ გამომლაპარაკებხარ. ამ შემთხვევაში მას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს.

I თურმეობითი სოგჯერ უნახავ მოქმედებას გამოხატავს, ანუ ისეთ მოქმედებას, რომელიც „თურმეს“ გაგებას შეიცავს („თურმე“ ნაწილაკი ხშირად ახლავს კიდევაც I თურმეობითის მწკრივს): პეპიას ფერი შესცვლია თურმე (ილია). დრო ამ შემთხვევაშიც წარსულია, კილო - თხრობითი.

I თურმეობითის კონტექსტურად სხვა დროის გადმოსცემაც შეუძლია. მაგალითად, „ეს რამხელა გაზრდილხარ!“ ე.ი. გაზრდილი ხარ, ან: „ხის რტოებს ვერცხლად დაპკვრობ ჭირხლი“ (ა.კალანდაძე): დაპკვრია=დაკრული აქვს, ე.ი. დრო ახლანდელია, უფრო სწორად, ე.წ. „შედგობითი აწმყო“ (ა.ჩიქობავა), კილო - თხრობითი.

ახლა სხვა მაგალითებიც ვნახოთ: ნურც გაზრდილა! ნურც გამხდარა!.. ე.ი. არ გაიზარდოს! არ გახდეს! ამ შემთხვევაში I თურმეობითი II კავშირებითის მწკრივის მნიშვნელობითაა ნახსარი და მომა-

კალ დროს გულისხმობს.

ასპექტის თვალსაზრისით, I თურმეობითი უსრულიც შეიძლება იყოს (მიწერია, მიწენებია...) და სრულიც (დამიწერია, ამიწენებია). ამ მწკრივში უასპექტო ზმნაც შეგვიხვდება (გდებულა, ყოფილა...).

II თურმეობითი: რა მექნა? (რა გექნა? რა ექნა?..)

და-მ-ეწერა, ა-მ-ეწენებინა, გა-ე-მობარიყავი, შე-მ-ეკრა, მ-ეცხოვრა, მ-ეთქვა...

დროის მიხედვით II თურმეობითი წარსულაა: ჩვენი კატაფშატა ვიდავას მოუტრა. მისი ...ტოტები აქეთ-იქით მიმოუფანტა, ძირი და მსხვილი ტოტები წაეღო* (რ. ინანიშვილი); ხშირად იგი ისეთ მოქმედებას გულისხმობს, რომელიც უსწრებდა სხვა მოქმედებას (ანუ უწინარესია): შინ რომ დაგებრუნდი, საბას გაკვეთილები უკვე მოეშაღებინა; II თურმეობითის შეიძლება „თურმეს“ გაგებაც აქონდეს, უნახაობას გამოხატავეს: ესირი მსუღლიყო და ყველაფერი წაერთმია... ყველა ამ მაგალითში კილო თხრობითია; მაგრამ II თურმეობითი ხშირად გამოიყენება კავშირებითი კილოს მნიშვნელობით: თავისი საქმე დროზე რომ გაეკეთებინა, ამ დღეში არ ჩავიარდებოდა, როგორც სემოთაც აღვნიშნეთ, ა.შანიძე ამას პირობით კილოს უწოდებს (იხ.გვ.44). მხოლოდ კავშირებითი კილოს მნიშვნელობითაა გამოიყენებული II თურმეობითის მწკრივის ოცივე ზმნა ასეთ კონტრექსტში: მისნად დაოსახა, რომ გაეკეთებინა... კავშირებითი (თუ პირობითი) კილოს გადმოცემისას II თურმეობითს აღარ აქვს უნახაობის გაგება.

II თურმეობითის მწკრივით შეიძლება გადმოიცეს არა მხოლოდ უწინარესი მოქმედება, არამედ იმგვარი წარსული დროც, რომელიც შეძგლია. მომდევნოა წინა ზმნის მოქმედებასთან მიმართებით: ფიზიხის მოგრაოება დაიწყო, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა. კილო ამ შემთხვევაში აუცილებლად კავშირებითი იქნება.

ასპექტის თვალსაზრისით II თურმეობითის მწკრივით გადმოცემული ზმნა ან უსრულია (ეწერა, ეწენებინა...), ან სრული (დაეწერა, დაეწენებინა...). შეიძლება ზმნა უასპექტოც იყოს (გდებულყო, ყოფილო...).

III კავშირებითი: რა მექნას? (რა გექნას? რა ექნას?..) და-მ-ეწეროს, ა-მ-ეწენებინოს, გა-ე-მობარიყოს, შე-მ-ეკრას, მ-ეცხოვროს, მ-ეთქვას, მი-მ-ეცუეს...

III კავშირებითი მწკრივის ნიშნები იგივეა, რაც II კავშირებითობა:

-თ: და-მ-ეწერ-ო-ს, ა-მ-ეწერებინ-ო-ს, მ-ეცხოვრ-ო-ს...

-ე: შე-მ-ხვედროდ-ე-ს, ა-მ-შორებოდ-ე-ს, ჩა-მ-ქრობოდ-ე-ს...

-ა: შე-მ-ეკრ-ა-ს, მ-ეოქე-ა-ს, და-მ-ერგ-ა-ს....

III კავშირებითი მწკრივის ნიშნები ყველა ფორმაში (ე.ი. ხამივე პირსა და ორივე რიცხვში) შენარჩუნებულია: და-მ-ეწერ-ო-ს, და-გ-ეწერ-ო-ს, და-ეწერ-ო-ს, და-გ-ეწერ-ო-ს, და-გ-ეწერ-ო-თ, და-ეწერ-ო-თ; ა-მ-შორებოდ-ე-ს, ა-გ-შორებოდ-ე-ს, ა-შორებოდ-ე-ს... შე-მ-ეკრ-ა-ს, შე-გ-ეკრ-ა-ს, შე-ეკრ-ა-ს...

III კავშირებითი დროს მიხედვით წარსულია ან მომავალი, კოლოს მიხედვით კი - კავშირებითი. მაგალითად: ჯერ არ შემხვედრია კაცი, რომელიც თავისი ბედით კმაყოფილი ყოფილიყოს. 'ხმნა წარსული დროისა და კავშირებითი კილოსია. შდრ.: დაე, ყველა ადამიანი თავისი ბედით კმაყოფილი ყოფილიყოს! იგივე სმნა მომავალ დროს გადმოსცემს.

შენიშვნა: თუ დავეუკივრდებით იმ კითხვებს, რომლებსაც II თურმეობითისა და III კავშირებითის მწკრივთა ამოსაცნობად ვიყენებთ (II თურმეობითი: რა მექნა? რა გექნა? რა ექნა? რა გვექნა? რა გექნათ? რა ექნათ? III კავშირებითი: რა მექნას? რა გექნას? რა ექნას? რა გვექნას? რა გექნათ? რა ექნათ?), შევნიშნავთ, რომ მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში ორივე მწკრივს ერთი და იგივე კითხვები დაესმის: რა გექნათ? - მეორე პირისათვის და რა ექნათ? - მესამე პირისათვის. ამის გამო მოსალოდნელია, რომ ამ ორი მწკრივის ფორმები ფორმობრივ ერთმანეთს დაემთხვეს. ეს მართლაც ასე ხდება იმ სმნებში, რომელთა III კავშირებითის მწკრივის ნიშნად -ა ბოლოსართი გვაქვს. შდრ.:

II თურმეობითი

შე-მ-ეკრ-ა შე-გ-ეკრ-ა

შე-გ-ეკრ-ა შე-გ-ეკრ-ათ

შე-ეკრ-ა შე-ეკრ-ათ

III კავშირებითი

შე-მ-ეკრ-ა-ს შე-გ-ეკრ-ა-ს

შე-გ-ეკრ-ა-ს შე-გ-ეკრ-ათ

შე-ეკრ-ა-ს შე-ეკრ-ათ

ფორმათა დამთხვევის მიზეზი ისაა, რომ III კავშირებითის მწკრივის სმნებს მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ფორმებში მრავლობითობის თ ბოლოსართის დართვის გამო დაკარგული აქვთ მე-

სამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს: უნდა ყოფილიყო: შე-გ-ეკრ-ა-ს-თ, შე-ეკრ-ა-ს-თ. რაც შეეხება -ა ბოლოსაროს, რომელიც II თურმეობით-შიც გვაქვს და III კავშირებითშიც. იგი სხვადასხვა ფუნქციის მქონეა: II თურმეობითში იგი მესამე რეალურ ობიექტს (ანუ გრამატიკულ სუბიექტს მესამე პირისას) აღნიშნავს (გაეხსენით, რომ აქ ინვერსია ხდება). III კავშირებითში კი იგი მწკრივის ნიშანია.

ფორმათა გარჩევის მიზნით ზმნას მხოლოდითი რიცხვის ფორმა უნდა შეეყვანა ცვლით (როგორც ანალოგიურ სიტუაციებში ვიქცევით ხოლმე): მათ სთხოვეს, რომ შეეკრათ საყელი (მას სთხოვეს, რომ შეეკრათ საყელი). შეეკრათ ზმნა II თურმეობითია. მდრ.: არ მახსოვს, რომ მათ შეეკრათ საყელი (არ მახსოვს, რომ მას შეეკრათ საყელი), ე.ი. იგივე შეეკრათ ფორმა III კავშირებითის მწკრივისაა.

III კავშირებითმა შეიძლება გადმოსცეს უსრული ასპექტიცა (ეწეროს, ეშენებინოს...) და სრულიც (დაეწეროს, აეშენებინოს). III კავშირებითის მწკრივით გადმოცემული ზმნა შეიძლება უასპექტოც იყოს (ცდებუდიყოს, ყოფიდიყოს...)

ზმნათა ზოგიერთი თავისებურების შესახებ III სერიაში

III სერიაში ზმნები რამდენიმე თავისებურებას გვინვენებენ. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

1. III სერიის ზმნებისათვის დამახასიათებელია ინვერსია ანუ პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა: სუბიექტური პირის ნიშნით გამოხატულია ობიექტური პირი, ირიბობიექტური პირის ნიშანი კი ზმნაში სუბიექტურ პირს აღნიშნავს. მაგალითად: გააშენებ შე(S₁) მას(O₂); ა-გააშენე შე(S₁) ის(O₂),

მაგრამ:	ა-მ-იშენები-ა	} შე(S ₁) ის(O ₂)
	ა-მ-ეშენებინ-ა	
	ა-მ-ეშენებინ-ო-ს	

ინვერსია III სერიაში ყველა ზმნას არ მოუდის: იგი მხოლოდ გარდამავალი მოქმედებით გვარის ან გარდაუვალი, მაგრამ ეწ. საშუაალ-მოქმედებითი გვარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი

(გ-ცხოვრობ მე (S₁), გ-იცხოვრე მე, მაგრამ: მ-იცხოვრია, მ-ეცხოვრა, მ-ეცხოვროს მე (S₁)... (გვარსე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ).

შენიშვნა: არის ერთი წყება გარდაუვალი ზმნებისა, რომელიც, სოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი...), ინვერსიულად უნდა იქნეს შინეული. ეს ზმნებია: მიყვარს, მომწონს, მშობა, მწყურია, მაქვს, მყავს, მომაქვს, მომყავს, მინდა და ზოგი სხვა, რომელთა სუბიექტად რეალურად მე ივარაუდებ, ზმნაში ობიექტის მ-ნიშნით წარმოდგენილი, ობიექტად კი - ის, რომელსაც ზმნაში სუბიექტის -ს ან -ა ნიშანი აქვს. ამ ზმნებს ინვერსიულობა ყველა შესაძლო ფორმაში ახასიათებთ (და არა მხოლოდ III სერიაში): მე მიყვარს, მიყვარდა, მიყვარდეს, მიყვარება, მიყვარებოდა, მიყვარებოდეს, მყვარებია, მყვარებოდა, მყვარებოდეს... ამიტომ ზემოაღნიშნულ ზმნებს ზოგჯერ თავისთავად ინვერსიულ ზმნებსაც უწოდებენ. ეს თვალსაზრისი არაა გაზიარებული ა. შანიძის, ლ. კვაჭაძის (და ბევრი სხვა მეცნიერის) მიერ, ამიტომ იგი არც სასკოლო სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი.

2. III სერიის მწკრივთა ფორმები ხშირად რთულია: მათ საწარმოებლად მეშველი ზმნის დამატებაა საჭირო:

I თურმეობითი - გავსრდილ-ვარ, გასრდილ-ხარ, გავსრდილ-ვართ, გასრდილ-ხართ...

II თურმეობითი - გავსრდილ-იყავი, გასრდილ-იყავი, გასრდილ-იყო, გავსრდილ-იყავით...

III კავშირებითი - გავსრდილ-იყო, გასრდილ-იყო, გასრდილ-იყოს, გავსრდილ-იყოთ...

3. სოგიერთი ზმნა II თურმეობითსა და III კავშირებითში -ლდ საერცობს საჭიროებს: მო-ვ-ფერებ-ოდ-ი, მო-პ-ფერებ-ოდ-ი, მო-პ-ფერებ-ოდ-ა, მო-ვ-ფერებ-ოდ-ი-თ, მო-პ-ფერებ-ოდ-ი-თ, მო-პ-ფერებ-ოდ-ნენ. მო-ვ-ფერებ-ოდ-ე, მო-პ-ფერებ-ოდ-ე, მო-პ-ფერებ-ოდ-ეს, მო-ვ-ფერებ-ოდ-ე-თ, მო-პ-ფერებ-ოდ-ე-თ, მო-პ-ფერებ-ოდ-ნენ (მცდარი ფორმებია: მოვფერებიყავი, მოპფერებიყავი, მოპფერებიყო... მოვფერებიყო, მოპფერებიყო, მოპფერებიყოს...).

4. III სერიაში სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება: ირიბი ობიექტი, რომელიც I და II სერიის ფორმებთან მიცემით ბრუნვაში დგას, III სერიაში ნათესაობით ბრუნვაში გადადის, იმატებს -თვის თანდევ-

ბუღალს და ამით პირმომართობას კარგავს (პირმომართო ობიექტებია მხოლოდ პირდაპირი და ირიბი). მაგალითად:

I სერია: ვ-წერ მე(S₁) მას(წერილს O₃) მას(მეგობარს O₃)

II სერია: მი-ვ-წერე მე(S₁) ის(წერილი O₃) მას(მეგობარს O₃)

III სერია: მი-მ-იწერი-ა მე(S₁) ის(წერილი O₃) [მისთვის (მეგობარი-ისთვის)]

ე.ი. III სერიაში უმნა ერთპირიანია ან ორპირიანი: ერთპირიანი ერთპირიანად რჩება, ორპირიანი - ორპირიანად, სამპირიანიც ორპირიანად იქცევა. მაშასადამე, III სერიაში სამპირიანი უმნა არ შეიძლება გვექონდეს.

III სერიაში უმნები სხვა თავისებურებებსაც გვინიშნებენ. ზოგიერთის შესახებ მოგვიანებით კიდევ გვექნება საუბარი (იხ. გვ. 67, 77, 94).

სერიებად დაყოფის საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ თერთმეტივე მწკრივი, რომლებიც სამ სერიადაა დაჯგუფებული: I სერიაში ექვსი მწკრივია, II-ში - ორი, III-ში კი - სამი.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა უდევს საფუძვლად ამგვარად დაჯგუფებას. ასეთ განაწილებას მწკრივებისას?

მწკრივთა სერიებად დაყოფას აქვს მორფოლოგიური საფუძველიცა და სინტაქსურიც. სახელდობრ:

1. უმნაია დიდ უმრავლესობას, როგორც ვნახეთ, თემის ნიშნები აქვს. ისინი I სერიის ექვსივე მწკრივშია (მაგალითად: ვათბობ, ვათბობდი, ვათბობდე, გავათბობ, გავათბობდი, გავათბობდე), II სერიის მწკრივებში კი თემის ნიშნები აღარ გვაქვს (გავათბე, გავათბო).

2. უმნების ერთ ჯგუფს ხმოვანმონაცვლეობა ახასიათებს: I სერიის მწკრივებში ე ხმოვანი აქვს უმნას ფუძეში, II სერიისაში კი - ი ხმოვანი (I სერია: ვგრეხ, ვგრეხდი, ვგრეხდი, დავეგრეხ, დავეგრეხდი, დავეგრეხდი; II სერია: დავეგრიხე, დავეგრიხო).

ე.ი. ორთემიან უმნებს, თემის ნიშნის მქონეთაც და ხმოვანმონაცვ-

ლებსაც, I სერიაში ერთი თემა აქვთ, II-ში - მეორე, პირველისაგან განსხვავებული.

რაც შეეხება III სერიას, მას საკუთარი თემა არა აქვს: იყენებს ან I სერიისას, ან მეორისას. ამის ნათელსაყოფად შეეუდაროთ ერთმანეთს - თემის ნიშნის მქონე ორი ზმნა - აშენ-ებ-ს და აქ-ებ-ს. II სერიაში თემის ნიშანი, რა თქმა უნდა, არც ერთს არ გადააკვეთა: (ა)აშენა, (შე)აქო. III სერიაში, კერძოდ, I თურმეობითში, კი გვიქნება: (ა)უშენ-ებ-ია, მაგრამ: (შე)უქია. ე.ი. ერთმა ზმნამ (აშენებს) I სერიის თემა გამოიყენა (რადგან აუშენებია ზმნაში თემის ნიშანი გვაქვს), მეორემ კი (აქებს) - II სერიისა (რადგან I თურმეობითში - უქია - II სერიის მსგავსად, თემის ნიშანი წარმოდგენილი არ არის).

3. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, III სერიაში გარდამავალ ზმნებსა და გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილს (ე.წ. საშუალ-მოქმედებითებს) ინვერსია ახასიათებს. I და II სერიის მწკრივებისათვის კი ინვერსია დამახასიათებელი არ არის.

4. III სერიის მწკრივთა საწარმოებლად გარკვეული ზმნები სახელზმნებს იყენებენ:

აშენებულ-ა, შეწუხებულ-ა, დაწერილ-ა, გა-ს-თბობ-ია, შე-კ-ყვარებ-ია და ა.შ. (აშენებულ-ი, შეწუხებულ-ი, დაწერილ-ი, გათბობა, შეყვარება და ა.შ. სახელზმნებია. მათ შესახებ ცალკე გვეჩრება საუბარი). I და II სერიის ფორმათა საწარმოებლად სახელზმნა გამოყენებული არ არის.

ყოველივე ზემოთქმული სერიებად დაყოფის მორფოლოგიურ საფუძველს შეადგენს; სინტაქსური საფუძველი კი გულისხმობს შემდგმს:

5. გარდამავალი მოქმედებითი, აგრეთვე გარდაუვალი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი I სერიის ექვსივე მწკრივში სახელობით ბრუნვაში დგას: კაც-ი აშენებს, აშენებდა, აშენებდეს, ააშენებს, ააშენებდა, ააშენებდეს; ადამიან-ი ცხოვრობს, ცხოვრობდა, ცხოვრობდეს, იცხოვრებს, იცხოვრებდა, იცხოვრებდეს. II სერიის ორივე მწკრივში სუბიექტის ბრუნვა მოთხრობითია: კაც-მა ააშენა, ააშენოს; ადამიან-მა იცხოვრა, იცხოვროს. III სერიაში კი სუბიექტი (რეალურად სუბიექტი) მიცემით ბრუნვაში გადადის: კაც-ს აუშენებია, აუშენებინა, აუშენებინოს; ადამიან-ს უცხოვრია, ეცხოვრა, ეცხოვროს.

6. სუბიექტთან ერთად, გარდასაველ სმნებში ბრუნვა(ცვალება)და პირდაპირი ობიექტიც: I სერიის მწკრივებთან იგი მიცემით ბრუნვაშია შეწყობილი. II სერიის ფორმებთან კი - სახელობით ბრუნვაში: I სერია - აშენებს, აშენებდა, აშენებდეს, ააშენებს, ააშენებდა, ააშენებდეს სახლ-ს; II სერია - ააშენა, ააშენოს სახლ-ი. სახელობითშია პირდაპირი ობიექტი III სერიის მწკრივებთანაც (მოვაცონებთ, რომ გრამატიკულად იგი სუბიექტის ნიშნითაა წარმოდგენილი სმნაში): აუშენებია, აეშენებინა, აეშენებინოს სახლ-ი.

ნათქვამი შეიძლება ამდაგვარადაც წარმოვადგინოთ:

I სერია: S სახელობითში, პირდ. O მიცემითში, ირ. O მიცემითში;

II სერია: S მოთხრობითში, პირდ. O სახელობითში, ირ. O მიცემითში;

III სერია: S მიცემითში, პირდ. O სახელობითში.

აქვე გვიჩვენებს ადვინიშნით, რომ გარდასაველ სმნებს (გარდა საშუალ-მოქმედებითი გეარის სმნებისა) სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში აქვთ. ორპირიანობის შემთხვევაში, როდესაც სუბიექტთან ერთად სმნას ირთი ობიექტიც ეწყობა, ეს უკანასკნელიც ბრუნვაუცვლელია - ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას.

ერთპირიანი სმნა:

I სერია: სახლ-ი შენდება, შენდებოდა, შენდებოდეს, აშენდება, აშენდებოდა, აშენდებოდეს.

II სერია: სახლ-ი აშენდა, აშენდეს.

III სერია: სახლ-ი აშენებულა, აშენებულიყო, აშენებულიყოს.

ორპირიანი სმნა:

I სერია: სახლ-ი შეილ-ს უშენდება, უშენდებოდა, უშენდებოდეს, აუშენდება, აუშენდებოდა, აუშენდებოდეს.

II სერია: სახლ-ი შეილ-ს აუშენდა, აუშენდეს.

III სერია: სახლ-ი შეილ-ს აშენებია, აშენებოდა, აშენებოდეს.

ე.ი.

I სერია	}	S სახელობითში, ირ. O მიცემითში
II სერია		
III სერია		

არსებობს თუ არა რაიმე გამონაკლისი ამ თვალსაზრისით?

იყის და უწყის ზმნათა შესახებ

იყის და უწყის ზმნებს ახალ ქართულში ახლანდელი დროის მნიშვნელობა აქვთ და I სერიის აწმყოს მწკრივის ფორმებს წარმოადგენენ. ჩვენ ვიცით, რომ I სერიაში ზმნას სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა ეწყობოდეს, პირდაპირი ობიექტი კი - მიცემითში. ამ ზმნებს კი სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვით ეწყობათ. პირდაპირი ობიექტი - სახელობითით:

იყის მან(S) ის(O); უწყის მან(S) ის(O). ამგეარი სინტაქსური კონსტრუქცია (S მოთხრობითში, პირდ. O სახელობითში) ზმნას მხოლოდ II სერიაში შეიძლება კქონდეს: ააშენა მან(S) ის(O); დაახტა მან(S) ის(O)... მართლაც, იყის და უწყის წარმოშობით II სერიის ფორმებია (ძველ ქართულში II სერიაში ოთხი მწკრივი შედიოდა: წყვეტილი, II კავშირებითი, II ხოლმეობითი და II ბრძანებითი. აღნიშნული ზმნები სწორედ II ხოლმეობითის მწკრივისა იყა). სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებიც ამიტომ აქვთ განსხვავებული I სერიის ეველა დანარჩენი ზმნისაგან.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები

ჩვენ უკვე ვიცით, რომ გარდამავალია ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი ეწყობა. თუ ზმნა არ შეიცავს პირდაპირობიექტურ პირს, ის გარდაუვალია (იხ. გვ. 7).

ერთპირიანი ზმნა, რომელშიც ჩვეულებრივ მხოლოდ სუბიექტური პირია ხოლმე წარმოდგენილი, ცხალია, გარდაუვალი უნდა იყოს.

ორპირიან ზმნას ორგეარი შესაძლებლობა აქვს: სუბიექტთან ერთად თუ მას პირდაპირი ობიექტი აქვს შეწყობილი, მაშინ ზმნა გარდამავალი იქნება, ხოლო თუ სუბიექტთან ერთად ზმნაში ირიბი ობიექტია წარმოდგენილი - გარდაუვალი.

სამპირიან ზმნაში, გარდა სუბიექტისა, ორივე ობიექტი გვაქვს, პირდაპირიცა და ირიბიც (გამონაკლისებზე შემოთ გექონდა საუბარი. იხ. გვ. 6). ამიტომ სამპირიანი ზმნა გარდამავალია.

ამრიგად, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, სამპირიანი - ჩვეულებ-

რივ, გარდაამავალი, ორპირიანი კი გარდაამავალიც შეიძლება იყოს და გარდაამავალიც.

სმნის გარდაამავლობის უმთავრესი ნიშანი მასთან ბრუნვაცვალებადი ანუ პირდაპირი ობიექტის არსებობაა; მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გარდაამავალ სმნას, უგამონაკლისოდ, სუბიექტაც ბრუნვაცვალებადი აქვს: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, I სერიის ფორმებთან იგი სახელობით ბრუნვაში დგას, II-სთან - მოთხრობითში, III-სთან - მიცემითში: კაც-ი აშენებს სახლ-ს; კაც-მა ააშენა სახლ-ი, კაც-ს აუშენებია სახლი.

გარდაამავალ სმნებს, ასევე უგამონაკლისოდ, წყვეტილის მწკრივში მესამე სუბიექტური პირის (S₃) მრავლობითობის ნიშნად -ეს ბოლოსართი მოუდის: მათ ააშენ-ეს, დაწერ-ეს, მოიტარ-ეს, დახატ-ეს, დაგრიხ-ეს, უთხრ-ეს, იყიდ-ეს, აავს-ეს..

შენიშვნა: მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში -ეს მოუდის წყვეტილში იმ ერთპირიან თუ ორპირიან სმნებსაც, რომელთაც პირდაპირი ობიექტი აღიარ მოეპოვებათ, მაგრამ სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ეწყობათ: ბავშვ-მა იტირა - ბავშვებ-მა იტირ-ეს; ბავშვ-მა იცვლ-ა - ბავშვებ-მა იცვლ-ეს; გქიმ-მა უწამლა მას - ექიმებ-მა უწამლ-ეს მას; მეზობელ-მა უპატრონა მას - მეზობლებ-მა უპატრონ-ეს მას (ა.შინიძე, ლ.კვაჭაძე).

გარდაამავლობასთან დაკავშირებული მართლწარისა და მართლმაცხველების საკითხები

1. გარდაამავალი სმნების II სერიის ფორმებში სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს: კაც-ი დაჯდა (და არა: კაც-მა დაჯდა). შვილ-ი შეეხვეწა (და არა: შვილ-მა შეეხვეწა). დედა მოუყვა (და არა: დედა-მ მოუყვა) და ა.შ. (გამონაკლისის შეადგენს ზემოთ, შენიშვნაში, აღნიშნული სმნები, რომელთაც პირდაპირი ობიექტი აღიარ მოეპოვებათ).

2. როგორც გარდაამავალი სმნების წყვეტილის მწკრივში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავად -ენ ბოლოსართს ხმარობენ: მათ ააშენ-ენ, დაწერ-ენ, დახატ-ენ, იყიდ-ენ... რაც მოუღე

ბელია სალიტერატურო ენის ნორმის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, გარდამავალ სმნებს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში -ეს ბოლოსართი უნდა პქონდეთ: მათ ააშენ-ეს, დაწერ-ეს, დახატ-ეს, იყიდ-ეს...

3. გარდაუვალი სმნების წყვეტილის ფორმაში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია -ნენ ბოლოსართი და არა -ენ. ამიტომ სწორია: გათბ-ნენ, შეიყარ-ნენ, მიეყრდ-ნენ, დათურ-ნენ და ა.შ. და არა: გათბ-ენ, შეიყარ-ენ, მიეყრდ-ენ, დათურ-ენ და ა.შ.

გვარი. მოქმედებითი, პნაბითი და სახალი გვარის ზმნაბი

გვარის არსში გასარკვევად ზმნის საპირისპირო ფორმებს მიგმართოთ:

ადულებს	ის(S, პაპა)	მას(O ₃ , წყალს)
დუდლება	ის(S, წყალი)	
დულს	ის(S, წყალი)	

საანალიზო ზმნები ერთი პირისაგან (დულ) მომდინარეობენ, მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაა:

პირველი ზმნა, ადულებს, ორპირიანია და გარდამავალი (ადულებს წყალ-ს, აადულა წყალ-ი). იგი გვიჩვენებს, რომ სუბიექტი („პაპა“) მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე („წყალს“), ანუ მოქმედება გამომდინარეობს სუბიექტური პირისაგან და პირდაპირი ობიექტისკენა მიმართული. ასეთი ზმნა მოქმედებითი გვარისაა (ანუ აქტიური).

მეორე ზმნა, დუდლება, ერთპირიანი და გარდაუვალია. იგი გვიჩვენებს, რომ სუბიექტი („წყალი“) აქტიურად კი არ მოქმედებს, არამედ განიცდის მოქმედებას, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, ვისგან ან რისგან გამომდინარეობს ეს მოქმედება. ამგვარი ზმნა ვნებითი გვარისაა (ანუ პასიური).

მესამე ზმნა, დულს, ასევე ერთპირიანია და გარდაუვალი. იგი გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი („წყალი“) მოქმედებს, მაგრამ ისე, რომ არა აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი და თანაც არც „განიცდის“ ამ მოქმედებას, როგორც ვნებითი გვარის შემთხვევაში გვაქვს

ხოლომე, ასეთი **ზმნა საშუალო გვარისაა** (მეცლიალურია).

ახლა სხვა მაგალითებიც განვიხილოთ:

უდუდებს ის(S₁, პაპა) მას(O₃, შვილიშვილს) მას(O₃, წყაღს)

უდუდდება ის(S₁, წყაღი) მას(O₃, შვილიშვილს)

უდუდს ის(S₁, წყაღი) მას(O₃, შვილიშვილს)

ამ შემთხვევაში იმავე დღე ძირიდან მომდინარე სამეულის პირველი **ზმნა**, **უდუდებს**, სამპირიანია და გარდამავალი. ამ **ზმნაშიც** სუბიექტიდან („პაპა“) გამომდინარე მოქმედება პირდაპირ ობიექტზეა („წყაღს“) „დამართებული“ და, მაშასადამე, **ზმნა მოქმედებითი გვარისაა**.

მეორე **ზმნა**, **უდუდება**, ორიპირიანია, მაგრამ გარდაუვალი. ამ შემთხვევაში სუბიექტი („წყაღი“) განიცდის **ზმნით** გამოხატულ მოქმედებას, მაგრამ არ ჩანს, ვისგან ან რისგან. ე.ი. **ზმნა ვნებითი გვარისაა**.

მესამე **ზმნით**, **უდუდს**, რომელიც ასევე ორიპირიანია და გარდაუვალი, ისეთი მოქმედებაა გადმოცემული, რომელიც არც სხვას (პირდაპირ ობიექტს) მიემართება (პირდაპირი ობიექტი ხომ საერთოდ არ გააჩნია გარდაუვალ **ზმნას**) და არც განიცდება სუბიექტის მიერ. მაშასადამე, **ზმნა საშუალო გვარისაა** ყოფილა.

ამგვარად, **გვარი** არის **ზმნის ფორმა**, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა (ე.ი. სუბიექტსა - ლ. გ.) და **ზმნით** აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა (ე.ი. პირდაპირ ობიექტზეა - ლ. გ.) პირდაპირ დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან (ე.ი. სუბიექტისაგან - ლ.გ.), მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი **ზემოქმედებით** (ა. შანიძე).

გვარის სხვა, უფრო მარტივი, განსაზღვრავს არსებობს: **გვარი** **ქვეია** **ზმნის ფორმას**, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, ან თვითონ განიცდის მოქმედებას, ან კიდევ მოქმედებს, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო პირდაპირი ობიექტის სახით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

გვარი, როგორც ვნახეთ, **სამია** ქართულში: **მოქმედებითი, ვნებითი** და **საშუალო**.

მოქმედებითი გვარისაა ზმნა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე: პაპა(ს₃) დგამს ნაძვის ხეს(ო₃), დედა (ს₃) აწვევს შეილს(ო₃), სინათლე(ს₃) აჩენს ხარვეზებს(ო₃), მზე(ს₃) ამწოფებს ყურძენს(ო₃), პედაგოგი(ს₃) აბულებს სისარმაცეს (ო₃) მოსწავლეს(ო₃), გაჭირვება(ს₃) უძბიძებს კაცს(ო₃) არსებობას (ო₃) და ა.შ.

ენებითი გვარისაა ზმნა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი თვითონ განიცდის ზმნით გამოხატულ მოქმედებას (განიცდის ენებას), მაგრამ ისე, რომ ზმნის ფორმიდან არ ჩანს, ვისგან ან რისგან: იღვ-მება ნაძვის ხე(ს₃), წვება შეილი(ს₃), ჩნდება ხარვეზები(ს₃), მწიფდება ყურძენი(ს₃), სტულდება სისარმაცე(ს₃) მოსწავლეს(ო₃), უძბიძდება არსებობა(ს₃) კაცს(ო₃)...

საშუალო გვარისაა ზმნა, თუ ის გვიჩვენებს, რომ სუბიექტი „მოქმედებს“, ასე ვთქვათ, თავისთვის, სხვა პირზე მოქმედების გადაუტანლად; მას არა აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი; ამასთანავე, იგი არც განიცდის ამ „მოქმედებას“: დგამს ნაძვის ხე (ს₃), წვეს შეილი(ს₃), ჩანს ხარვეზები(ს₃), მწიფს ყურძენი(ს₃), სტულს სისარმაცე(ს₃) მოსწავლეს(ო₃), უძბიძს არსებობა(ს₃) კაცს (ო₃)...

ზოგი ნიშნის მიხედვით საშუალო გვარის ზმნა მოქმედებითის მსგავსია, ზოგი ნიშნის მიხედვით კი - ენებითისა. ფორმა უქტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია - ენებითისა. მაგალითად, საშუალო გვარის ზმნას, მოქმედებითი გვარის ზმნათა მსგავსად, აწყოს მწკრივში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდით რიცხვში -ს ბოლოსართი აქვს (დგამ-ს - დგა-ს, აწვენ-ს - წვე-ს, აბულე-ს - სტულ-ს..), ენებითი ამ ფორმაში ჩვეულებრივ -ბ სუფიქსიანია (დგებ-ბ, წვებ-ბ, სტულდებ-ბ...); მაგრამ, ენებითის მსგავსად, საშუალო გვარის ზმნაც გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი, არც მას აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი (მოქმედებითისა კი გარდამავალია). ამის გამო უწოდეს მას საშუალო (ა.შანიძე).

ისეთი ზმნები, რომელთაც ერთი ძირიდან სამივე გვარის ფორმათა წარმოება შეეძლოთ, არც ისე ბევრია. შემოთ ჩამოთვლილ ზმნებს შეიძლება დაეუმატოთ რამდენიმე სხვაც: აგორებს - გორდება - გორავს, აცხარებს - ცხარდება - ცხარობს, აფასებს - ფასდება - ფა-

სობს, ატრიალებს - ტრიალდება - ტრიალებს და სოფი სხვა. უმრავლეს შემთხვევაში კი ერთი ძირისაგან გვარის მიხედვით დაპირისპირებულ მხილად ორი ფორმის წარმოება ხერხდება: ა) ან მოქმედებითისა და ვნებითისა: აშენებს - შენდება, აკეთებს - კეთდება, სრდის - იხრდება, ახმობს - ხმება, აღნობს - დნება... უშენებს - უშენდება, უკეთებს - უკეთდება, უსრდის - ესრდება, უხმობს - უხმება, უდნობს - უდნება...

ან კიდევ ბ) მოქმედებითისა და საშუალისა: აცხოვრებს - ცხოვრობს, ახარებს - ხარობს, ასადილებს - სადილობს, ასაუწმებს - საუწმობს, ავახშმებს - ვახშმობს, უკვენებს - უკვენის...

„მოქმედებითი გვარი შემოკლებით აქტივად ითქმის, ვნებითი - პასივად, საშუალი - მედიუმად“ (ა.შანიძე).

ამრიგად, მოქმედებითი გვარის სმნა აუცილებლად გარდამავალია, ოპიროანი ან საპიროანი, ვნებითი და საშუალი - ყოველთვის გარდაუვალი, ეროპიროანი ან ოპიროანი. გარდამავლობის გათვალისწინებით ადვილია მოქმედებითი გვარის სმნის ამოცნობა: გარდამავალი სმნა ხომ მოქმედებითი გვარისა უნდა იყოს (თუ, რასაკვირველია, საერთოდ აქვს გვარის გაგება), მაგრამ გარდაუვალი სმნა ვნებითიც შეიძლება იყოს და საშუალიც. მაშასადამე, გარჩევისათვის დამატებითი ფაქტების გათვალისწინებაა საჭირო. ამისათვის უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ვნებითი გვარის ფორმებს.

ვნებითი გვარის სახეები

ვნებითი გვარი ორი სახისა არსებობს: **დინამიკური** და **სტატიკური** (დინამიკური მოძრაობასთან, მოქმედებასთან დაკავშირებულს აღნიშნავს, სტატიკური კი - წონასწორობაში მყოფს, უძრავს).

დინამიკურობა ვნებითი, რომელიც სმნით აღნიშნულ მოქმედებას პროცესის სახით, მის მსვლელობაში გადმოსცემს, ხოლო **სტატიკურობა** ვნებითის ფორმა, რომელიც სმნის „მოქმედებას“ უძრავ მდგომარეობაში, ერთ ვითარებაში წარმოადგენს, მოქმედების შედეგს გვიჩვენებს. ამ განმარტების ნათელსაყოფად შევეუდართოთ ერთმანეთს სმნები:

იხატება	-	ხატია (ეხატეივარ, ხატიხარ)
იწერება	-	წერია (ეწერივარ, წერიხარ)
ეფინება	-	აფენია (ეაფენივარ, აფენიხარ)
ეკერება	-	აკერია (ეაკერივარ, აკერიხარ)...

პირველ სვეტში დინამიკური ვნებითის ფორმებია წარმოდგენილი, მეორეში - სტატიკურისა.

მეოთხედიანთა ყურადღება იმას, რომ სტატიკური ვნებითის აწმყოს მწკრივის მესამე პირის ფორმა -ი-სე ბოლოვდება. ჩამოთვლილ სტატიკურ ვნებითებს შეიძლება დაუმატოთ: აბია, აგდია, ანთია, აწყ-ვია, ასხია, აყრია... თუმცა არსებობს გამორჩეულიებიც (როცა სტატიკურ ვნებითს -ი-ს დაბოლოება არა აქვს): პბურავს, აკრავს („მთას ნის-ლი ბკრავს“), ახურავს // ხურავს („კაცი ვარ და ქუდი მხურავს“), უჭირავს...

ისიც საყურადღებოა, რომ პირველი და მეორე პირის ფორმებში სტატიკური ვნებითები მესველ სმნას (ვარ, ხარ) ირთავენ: ეხატი-ვარ, ხატი-ხარ...

სტატიკური ზმნები არ დაირთავენ სმნისწინს. მათ არა აქვთ არც უწვევტილისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები, წვევტილის ფორმებში კი ე-პრეფიქსი გვაქვს: ხატია - ე-ხატა, წერია - ე-წერა, აფენია - ე-ფენა, აფარია - ე-ფარა, აკრია - ე-კრა, აბია - ე-ბა, აგდია - ე-გდო, ანთია - ე-ნთო, ასხია - ე-სხა... პბურავს - ე-ბურავს, ხურავს - ე-ხურავს, უჭირავს - ე-ჭირავს...

სტატიკური ზმნების რაოდენობა ქართულში დიდი არაა, მათ ბევრად სჭარბობს დინამიკური ვნებითის ფორმები.

დინამიკური ვნებითი, ფორმათა წარმოების გათვალისწინებით, სამი სახისა არსებობს: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო.

პრეფიქსიანია ვნებითი, რომელიც ნიშნებს ზმნის თავში დაირთავს (სმნისწინისა და პირის ნიშნის არსებობის შემთხვევაში ვნებითის ნიშანი მოსდევს მათ). ეს ნიშნებია ი- და ე-. ამის მიხედვით გვაქვს ინიანი ვნებითი და ენიანი ვნებითი.

ინიანი ვნებითებია: ი-წერება, ი-ხატება, ი-ზრდება, ი-გრიხება, ი-ღევა, ი-ნახება, ი-ნგრევა, ი-შლება და ა.შ. როგორც ვხედავთ, ინიანი ვნებითი გარდაუვალია, ერთპირიანი; ი-პრეფიქსი სმნას I და II სერიის რვავე მწკრივში ექნება (III სერიის ფორმებში ვნებითის ი

პრეფიქსი აღარ ჩანს). ონიანი ვნებითი სუბიექტს სამივე სერიაში სახელ-
ლობით ბრუნვაში შეიწყობს: ი-წერება-ა წერილ-ი, და-ი-წერ-ა წე-
რილ-ი, და-წერილ-ა წერილ-ი; ი-სრდება-ა ბავშვ-ი, გა-ი-სარჯ-ა ბავშვ-ი,
გა-სრდილ-ა ბავშვ-ი, ი-გრიხება-ა თოკ-ი, და-ი-გრიხ-ა თოკ-ი, და-გრეხ-
ილ-ა თოკ-ი და ა.შ.

ენიანი ვნებითობია: ე-წერება, ე-ხატება, ე-სრდება, ე-გრიხება,
ე-ღვეა, ე-ნახება, ე-ნგრევა, ე-შლუება და ა.შ. ენიანი ვნებითიც გარ-
დაუვალაია, მაგრამ, ჩვეულებრივ, ორპირიანი (იშვიათად იგი ერთპირ-
იანიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ე-ე-მსაყები), ე პრეფიქსი მა-
საც მხოლოდ I და II სერიის ფორმებში აქვს. ენიანი ვნებითი გვარის
'სმნის სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, ირიბი
ობიექტი - მიცემითში: ე-წერება წერილ-ი(S) მეგობარ-ს(O), ე-ხატება
სურათ-ი (S) გოგონა-ს(O), ე-სრდება ბავშვ-ი(S) დედა-ს(O) და ა.შ.

სუფიქსიანია ვნებითი, რომელსაც ნიშანი 'სმნური ძირის ბოლოს
აქვს დართული. ეს ნიშანია ბოლოსართი -დ.

სუფიქსიანი ანუ დონიანი ვნებითობია: შავ-დება//უ-შავ-დება,
მწვან-დება//უ-მწვან-დება, მწარ-დება//უ-მწარ-დება, ძველ-დება //
უ-ძველ-დება, შენ-დება//უ-შენ-დება, კეთ-დება//უ-კეთ-დება და ა.შ.

შენიშნულია ამგვარი კანონისომიერება: პრეფიქსიანი ვნებითი უფ-
რო მეტად პირველად სმნებს ახასიათებს: ჭამს - იჭმევა, შლის -
ი-შლება, სრდის - ი-სრდება... შედარებით ნაკლებია ნასახელარი
'სმნები: ბარი - ი-ბარება, ხერხ-ი - ი-ხერხება, ნომერ-ი - ი-ნომრ-
ება... სუფიქსიანი ვნებითობი კი უფრო მეტად ნასახელარი სმნების-
თვისაა დაშახასიათებელი: თეთრ-ი - თეთრ-დება, წითელ-ი - წითლ-
დება, მხეც-ი - მხეც-დება, მტკიცე - მტკიც-დება და ა.შ. პირვე-
ლად სმნებში სუფიქსიანი ვნებითი კანტიკუნტად მოიპოვება (ა.შანი-
ძე): შენ-დება, ტყ-დება, სკ-დება...

დონიანი ვნებითიც, რასაკვირველია, ვარდაუვალაია, ერთპირიანი ან
ორპირიანი, ვნებითობის დ მაწარმოებელი I და II სერიის ყველა
მწკრივის ფორმაშია წარმოდგენილი (განსხვავებით დ სავრცობისაგან,
რომელიც მხოლოდ რამდენიმე მწკრივში აქვს სმნას. იხ. გვ. 48). სუ-
ფიქსიანი ვნებითიც სუბიექტს სახელობით ბრუნვაში ითხოვს (ორპირ-
იანობის შემთხვევაში ირიბი ობიექტი მიცემით ბრუნვაში იქნება):
ძველ-დება ტანსაცმელ-ი(S) - უძველ-დება ტანსაცმელ-ი (S) კაც-ს (O),

შენ-დება სახლ-ი (S) - უ-შენ-დება სახლ-ი (S) კაც-ს (O)...

კიდევ ერთხელ გავიშვიროთ და საგანგებოდ დავიმახსოვროთ: ვნებითის ნიშნები - ო-ც, ე-ც და დ-ც - ზმნის მხოლოდ I და II სერიის მწკრივებშია წარმოდგენილი (ყველა მწკრივში), ხილო III სურათში არც ერთი ამ ნიშნთაგანი არ ჩანს: ო-წერება - დაწერილა, დაწერილიყო, დაწერილიყოს; ე-წერება - გაწერდა, გაწერლოდა, გაწერდოდეს; ა-შენ-და - აშენებულა, აშენებულიყო, აშენებულიყოს; უძველ-დება - დასძველებია, დასძველებოდა, დასძველებოდეს და ა.შ. (დასძველებოდა, დასძველებოდეს ფორმებში ოდ სავრცობია).

თუ ზმნა III სერიის ფორმითაა მოცემული და გვინდა გავარკვიოთ, რომელი ვნებითია, იგი უნდა გადავიყვანოთ I ან II სერიის ნებისმიერ მწკრივში (სიმარტივისათვის აწმყოში ან მყოფადში გადავიყვანო ჯობს). მაგალითად, ბიჭი გაზრდილა, გაზრდილიყო, გაზრდილიყოს III სერიის ფორმებია. მათი აწმყო (რას შერება?) იქნება ო-ზრდება ბიჭი. ე.ი. ინიანი ვნებითი ყოფილა.

შეშლია, შეშლოდა, შეშლოდეს სმნების აწმყოა ე-შლება, მაშასადამე, ვნებითი ენიანია.

აშენებულა, აშენებულიყო, აშენებულიყოს სმნათა ფორმები აწმყოში შენ-დება სმნას გვაძლევს. ე.ი. ვნებითი დონიანია.

ვნებითი შეიძლება უნიშლოც იყოს, მაგრამ უნიშლო ვნებითს აწმყოს მწკრივის პირველი და მეორე პირის ფორმებში -ებ-ი დაბოლოება აქვს, რომელიც მესამე პირში -ებ-ათი შეიცვლება: ე-ობ-ებ-ი, თბ-ებ-ი, თბ-ებ-ა; ე-შრ-ებ-ი, შრ-ებ-ი, შრ-ებ-ა; ე-დნ-ებ-ი, დნ-ებ-ი, დნ-ებ-ა; ე-ხმ-ებ-ი, ხმ-ებ-ი, ხმ-ებ-ა. შევედაროთ მათ ნიშნიანი ვნებითები:

ინიანი: ე-ო-ხატ-ებ-ი, ო-ხატ-ებ-ი, ო-ხატ-ებ-ა...

ენიანი: ე-ე-ხატ-ებ-ი, ე-ხატ-ებ-ი, ე-ხატ-ებ-ა...

დონიანი: ე-წითლ-დ-ებ-ი, წითლ-დ-ებ-ი, წითლ-დ-ებ-ა...

მაშასადამე, აწმყოს მწკრივში პირთა მიხედვით -ები, -ები, -ება დაბოლოება ზოგადად დინამიკური ვნებითისათვის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

უნიშლო ვნებითიც, ცხადია, გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი (ეობები მე(S) - ვუობები მე(S) მას(O); ვშრები მე(S) - ვუშრები მე(S) მას(O); ედნები მე(S) - ვუედნები მე(S) მას(O); ეხმები მე(S) - ვუხმები მე(S) მას(O)...). უნიშლო ვნებითსაც სუბიექტი ყოველთვის სახელო-

ბით ბრუნვაში აქვს, ორპირიანი სმნის ირიბი ობიექტი, რა თქმა უნ-
და, მიცემით ბრუნვაში იღვება.

მოკლედ შევჯამოთ შექმნილი ვნებითი გვარის შესახებ: ვნე-
ბითი ორი სახისა გვაქვს: დინამიკური და სტატიკური.

დინამიკური ვნებითი შეიძლება იყოს: ინიანი, ენიანი (მათ პრეფიქ-
სულს ვეძახით), დონიანი (ანუ სუფიქსური) და უნიშნო.

ვნებითი გვარის სმნას ვნებითობის ნიშანი (ი, ე, დ) მხოლოდ პირ-
ველი და მეორე სერიის ფორმებში აქვს.

ვნებითი გვარის სმნა გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი.
სუბიექტი მას ყოველთვის სახელობით ბრუნვაში აქვს, ობიექტი კი (ის
აუცილებლად ირიბია) - მიცემითში.

მართლწერისა და მართლმთხვევების საკითხები ვნებითი გვარის შორებათა დაკავშირებით

1. ინიანი ვნებითის მეორე და მესამე პირის ფორმაზე მი-
სმნისწინის დართვისას ორი ი მოიყრის თავს ერთად: მი-ი-პარები, მი-
ი-პარება: მი-ი-კლაკნები, მი-ი-კლაკნება; მი-ი-მალე, მი-ი-მალა...

2. თუ ენიანი ვნებითის მეორე და მესამე პირის ფორმას შე-
სმნისწინი დაერთო, სმნაში ორი ე არის საჭირო: შე-ე-ფეთე, შე-ე-
ფეთა; შე-ე-გებე, შე-ე-გება; შე-ე-პარე, შე-ე-პარა და ა.შ.

3. როდესაც ბ-სმნისწინი ან ბ-ზე დაბოლოებული რომელიმე
სმნისწინი (და-, ჩა-, გა-, გადა-) დაერთვის ბ-თი დაწყებული ფუძის
ან ბ პრეფიქსის მქონე ვნებითი გვარის სმნის მეორე და მესამე პი-
რის ფორმას, სმნაში ორი ბ იყრის თავს: ბ-ბ-ლები, ბ-ბ-ლება: და-
ბ-დნები, და-ბ-დნება; ჩა-ბ-კვდები, ჩა-ბ-კვდება; გა-ბ-ფთრდები, გა-ბ-ფთრ-
დება; გადა-ბ-წყდები, გადა-ბ-წყდება და ა.შ.

4. თუ დონიანი ვნებითი ისეთი სახელისგანაა ნაწარმოები, რომ-
ლის ფუძის ბოლოკოდიური ბგერაა დ. სამივე პირის ფორმაში ორი დ
იქნება საჭირო: ვმძიდ-დ-ები, მშეიდ-დ-ები, მშვიდ-დ-ება: გავდიდ-
დ-ი, გავდიდ-დ-ი, გავდიდ-დ-ა; აფერად-დ-ები, აფერად-დ-ები, აფერად-
დება...

5. ვნებითი გვარის სმნა, როდესაც ის ორპირიანია, II თურმეო-

ბიოსია და III კავშირების საწარმოებლად -ოდ საერცობს იყენებს (იხ. გვ. 65). მო-ე-ხმარებ-ოდ-ი, მოხმარებ-ოდ-ი, მოხმარებ-ოდ-ა; მო-ე-ხმარებ-ოდ-ე, მოხმარებ-ოდ-ე, მოხმარებ-ოდ-ე-ს; მი-ე-საღმებ-ოდ-ი, მისაღმებ-ოდ-ი, მისაღმებ-ოდ-ა; მი-ე-საღმებ-ოდ-ე, მისაღმებ-ოდ-ე, მისაღმებ-ოდ-ე-ს...

ამიტომ მეშველ ზმნიანი ფორმები, როგორცაა: მოეხმარებიყავი, მოხმარებიყავი, მოხმარებიყო; მოეხმარებოყო, მოხმარებოყო, მოხმარებოიყო; მოეხმარებოიყო; მოესაღმებოყო, მოსაღმებოყო, მოსაღმებოიყო; მოესაღმებოიყო, მოსაღმებოიყო, მოსაღმებოიყო და ა.შ. არასწორია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის შევალსარისით.

საშუალი გვარის ზმნათა ზოგიერთი თავისებურების შესახებ

ახლა, როდესაც ვიცით, რომ გარდამავალი ზმნა მოქმედებით გვარისაა, გარდაუვალი - ენებითი ან საშუალი გვარისა და ენებითი გვარის ზმნის ამოცნობა კი თითქმის ყველა შემთხვევაში შეგვიძლია (მოგაგონებთ, რომ სტატიკურ ენებითს აწმყოს მწკრივის შესაძვე პირში ძირითადად -იბ დაბოლოების მიხედვით დავადგენთ, დინამიკურ ენებითებს - ინიანსაც, ენიანსაც, დონიანსაც და უნიშნოსაც - ები, - ები, - ება დაბოლოებით, პრეფიქსულსა და სუფიქსურ ენებითებს ხომ კიდევ ნიშნებიც აქვთ ენებითი გვარისა...). საშუალი გვარის ზმნის ამოცნობა არ ურდა გაგვიჭირდეს: ის გარდაუვალი ზმნა, რომელსაც ენებითობის არც ერთი დამახასიათებელი ნიშანი არ აღმოაჩნდება, შეიძლება ავტომატურად საშუალი გვარისად ჩაგვეთვალო, მაგრამ მაინც საჭიროა უფრო დაწერილებით შევებოთ საშუალი გვარის ზმნებს.

საშუალი გვარის ზმნები, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი. მათი უმრავლესობა ზმნისწინს საერთოდ ვერ იგუებს: ხურს, ქუხს, დუღს, ელავს... ზოგიერთ მათგანს შეიძლება დაერთოს ზმნისწინი: გორავს - მი-გორავს, მო-გორავს, და-გორავს; ქრის - მი-ქრის, მო-ქრის, და-ქრის; სრიალებს - მი-სრიალებს, მო-სრიალებს, და-სრიალებს... მაგრამ ზმნისწინის

ღართვით ახლანდელი დროის ფორმა მომავალი დროისა არ ხდება, ანუ აწმყოს მწკრივი მყოფადის მწკრივად ვერ იქცევა, იგი კვლავ ახლანდელი დროის, აწმყოს მწკრივის ფორმაა: რას შერება? მიგორავს, დაქრის, მოსრიალებს... აქედან გამომდინარე, საშუალი გვარის ზმნები უასპექტოა (შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ მოქმედებითი გვარისა და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებში აწმყოს მწკრივის ფორმებზე ზმნისწინის დაროვა მყოფადის მწკრივს გვაძლევს: წერს - და-წერს, ჩა-წერს, გადა-წერს... ი-წერება - და-ი-წერება, ჩა-ი-წერება, გადა-ი-წერება... ე-ხატება - და-ე-ხატება, ჩა-ე-ხატება, გადა-ე-ხატება... შენ-დ-ება - ა-შენ-დ-ება, და-შენ-დ-ება, გა-შენ-დ-ება, გადა-შენ-დ-ება... უზმნისწინო ფორმები აწმყოს მწკრივისაა, ზმნისწინანები - მყოფადის მწკრივისა. მათ, ცხადია, ასპექტის წარმოებაც შეეძლიათ: უზმნისწინო უსრულია, ზმნისწინიანი - სრული).

საშუალი გვარის ზმნები მეტისმეტად ჭრელ სურათს გვაძლევენ ფორმათა წარმოების მხრივ (ა. შანიძე). თუ მცირერიცხოვან გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, მათ, საკუთრად, მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ: წუხს, წუხდა, წუხდეს; დუღს, დუღდა, დუღდეს... ზოგს შეიძლება მხოლოდ აწმყოს მწკრივი ჰქონდეს: ზის, წევს, დგას... დანარჩენი მწკრივები (მყოფადიდან მოყოლებული) შევსებული აქვთ იმავე ძირის სხვაგვარად წარმოებული ფორმების საშუალებით. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ივსებენ ისინი დანაკლის მწკრივებს, საშუალი გვარის ზმნები ორ ჯგუფს ქმნიან: ერთნი მიჰყვებიან აქტიურ, მოქმედებითი გვარის ზმნებს და საშუალ-მოქმედებითად (ანუ მედიოაქტივად) იწოდებიან, მეორენი კი ვნებითის ფორმა-წარმოებას იზიარებენ და მათ საშუალ-ვნებითებს (ანუ მედიოპასივებს) უწოდებენ.

საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებია: ცხოვრობს, მეფობს, ჩქარობს, წვიმს, ქუხს, ელაგს, წუხს, ბოლავს, დუღს და ა.შ. ეს ზმნები ნაკლებ მწკრივებს იმავე ძირის მოქმედებითი გვარის ზმნებით ივსებენ, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: მონაცვლე ფორმას აღარ აქვს პირდაპირი ობიექტი (ე.ი. გარდა იმისა, რომ გარდაუვლადაა ქცეული, ერთი პირით ნაკლებია სათანადო მოქმედებითზე). მიუხედავად ამისა, ისინი მოქმედებითი გვარის ზმნის ყველა დანარჩენ თვისებას ინარჩუნებენ:

ა) სუბიექტი ბრუნვა-ცვალებადაც აქვთ: ცხოვრობს კაც-ი, იცხოვრა კაც-მა, უცხოვრია კაც-ს; დღეს წყალ-ი, იღულა წყალ-მა, უღულია წყალ-ს...

ბ) მესამე სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ: გ-მეფობ, გ-იმეფე, მაგრამ: მ-იმეფია, მ-ემეფა, მ-ემეფოს; გ-ხუმრობ, გ-იხუმრე, მაგრამ: მ-იხუმრია, მ-ეხუმრა, მ-ეხუმრას...

გ) წყვეტილის მწკრივში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში -ეს დაბოლოება მოუდით: იცხოვრ-ებს, იღულ-ებს, იმეფ-ებს, იხუმრ-ებს, უპატრონ-ებს, უგალობ-ებს...

დ) როგორც ცნობილია, III სერიაში სამპირიან გარდამავალ ზმნას ირიბი ობიექტი აღარ აქვს (ამიტომ მას ერთი პირი აკლდება და ორპირიანი ხდება): ის პირი, რომელიც მიცემით ბრუნვაში იდგა და I და II სერიის ფორმებთან ბრუნვა-ცვლელი იყო (უშენებს ის მას მას, აუშენა მან მას ის), III სერიის მწკრივებთან ნათესაობით ბრუნვაში გადადის და -თვის თანდებულს შეიწყობს: აუშენებია მას ის მისთვის, აეშენებინა მას ის მისთვის, აეშენებინოს მას ის მისთვის... (იხ. გვ. 66). იგივე ემართება ორპირიანი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნის ირიბ ობიექტსაც: პატრონობს ის მას, უპატრონა მან მას, მაგრამ: უპატრონებია მას მისთვის, ეპატრონა მას მისთვის, ეპატრონოს მას მისთვის; უგალობს ის მას, უგალობა მან მას, მაგრამ: უგალობ(ებ)ია მას მისთვის, ეგალობა მას მისთვის, ეგალობოს მას მისთვის.

საშუალ-ვნებითი გვარის ზმნებია: დგას, წევს, 'ისი, ჩანი, ახლავს და ა.შ.

ამ ზმნებს თანამედროვე ქართულში აწმქოს მწკრივის პირველ და მეორე პირში მეშველი ზმნა სჭირდებათ: დგას - ვ-დგა-ვარ, დგა-ხარ; წევს - ვ-წე(ვ)-ვარ, წეე-ხარ; 'ისი - ვ-ი-ვარ, 'ი-ხარ; ჩანს - ვ-ჩან-ვარ, ჩან-ხარ; ახლავს - ვ-ახლა(ვ)-ვარ, ახლაე-ხარ და ა.შ. (შეგნიშნავთ, რომ მეშველ-ზმნიანი შეიძლება იყოს სოციერთი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნაც: დულ-ს - ვ-დულ-ვარ,.. წუხს - ვ-წუხ-ვარ... ქუხს - ვ-ქუხ-ვარ...)

საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები ნაკლები მწკრივების შესავსებად თავისივე ან მონაცვლე ძირის ვნებითის ფორმით სარტებლობენ. ვნებითი ძირითადად პრეფიქსიანია: ერთპირიანი საშუალ-იანი იყენებს, ორპირიანი კი - ენიანს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

ერთპირიანები: დგას - ი-დგა, არის - ი-ყო, სის - ი-ჯდა, წებს - ი-წვა...

ორპირიანები: უსის - ე-ჯდა, უდგას - ე-დგა, უწებს - ეწვა...

გამონაკლისები, რა თქმა უნდა, აქაც გვაქვს. მაგალითად, ღორს ზმნა ერთპირიანია, მაგრამ ენიანი ვრებიოთი ენაცვლება მას: ე-ღირება.

საშუალ-ვრებიოთი გვარის ზმნები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე - საშუალ-მოქმედებითი გვარისა.

საგანგებო ყურადღება მივაქციოთ საშუალი გვარის ზმნათა ერთთავისებურებას: მათი უმრავლესობა თემისნიშანზმონაცვლება. საშუალი გვარის ზმნას შეიძლება არც ჰქონდეს თემის ნიშანი, ან ჰქონდეს (უფრო ხშირად ესაა -ბვ და -ობ), მაგრამ მყოფადის მწკრივში მას უპირატესად -ებ ექნება. მაგალითად:

უთემისნიშნო: დულ-ს - ი-დულ-ებ-ს
წვიმ-ს - ი-წვიმ-ებ-ს
წუხ-ს - ი-წუხ-ებ-ს

ტირის- (ძველ ქართულში იყო ტირ-ს) - ი-ტირ-ებ-ს და ა.შ.

-ბვ თემისნიშნიანი: ბოლ-ბვ-ს - ი-ბოლ-ებ-ს
ბრუნ-ბვ-ს - ი-ბრუნ-ებ-ს
გორ-ბვ-ს - ი-გორ-ებ-ს
ცეკვ-ბვ-ს - ი-ცეკვ-ებ-ს და ა.შ.

-ობ თემისნიშნიანი: მეფ-ობ-ს - ი-მეფ-ებ-ს
ცხოვრ-ობ-ს - ი-ცხოვრ-ებ-ს
ჩქარ-ობ-ს - ი-ჩქარ-ებ-ს
არსებ-ობ-ს - ი-არსებ-ებ-ს
პატრონ-ობ-ს - უ-პატრონ-ებ-ს
ს-დარაჯ-ობ-ს - უ-დარაჯ-ებ-ს და ა.შ.

იშვიათად -ობ თემის ნიშანი მყოფადშიც შეიძლება გადაჰყვეს ზმნას, მაგალითად: მტრ-ობ-ს - უ-მტრ-ობ-ს. ამ შემთხვევაში აწმყო მყოფადისაგან მხოლოდ უ თავსართით განსხვავდება. ასეთივე მდგომარეობა შეიძლება სხვა ზმნაშიც დავადასტუროთ: შველი-ს - უ-შველის...

-ობ თემისნიშნიანმა ზმნამ მყოფადში გადაყვანისას შეიძლება ი თემის ნიშანიც მოითხოვოს: ვ-სწავლ-ობ - ვ-ისწავლ-ი...

თუ საშუალები გვარის ზმნას -ებ თემის ნიშანი აქვს, იგი მას მყოფადის წრეშიც შეინარჩუნებს: აწმყო მყოფადისაგან ფორმალურად მხოლოდ ი თავსართით განსხვავდება:

ბიბინ-ებ-ს - ი-ბიბინ-ებ-ს

კაკან-ებ-ს - ი-კაკან-ებ-ს

კაშკაშ-ებ-ს - ი-კაშკაშ-ებ-ს

ფრიალ-ებ-ს - ი-ფრიალ-ებ-ს და ა.შ.

ამრიგად, საშუალები გვარის ზმნები გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი. მათი უმრავლესობა ზმნისწინს ვერ იგუებს. თუ ზმნისწინი დაირთო, აწმყოს მწკრივისაგან მყოფადი არ ეწარმოება: ზმნისწინდართული ფორმა მაინც აწმყოა (რბის - მი-რბის, მო-რბის...), ამიტომ საშუალები გვარის ზმნა უასპექტოა.

საშუალები გვარის ზმნათა უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მათ საკუთარი ფუძით უღლება არ შეუძლიათ - მწკრივნაკლნი არიან: აქვთ ან მხოლოდ აწმყო, ან - აწმყოს მწკრივები. ნაკლული მწკრივების შესავსებად ისინი იყენებენ იმავე (ან მონაცვლე) ძირის სხვა გვარის ზმნებს, მოქმედებითს ან ენებითს. ამის მიხედვით გამოიყოფა საშუალები გვარის ზმნათა ორი ჯგუფი: საშუალებ-მოქმედებითი (მედიაოპტივი), რომელიც დანაკლის მწკრივებს მოქმედებითი გვარის ფორმით ივსებს (ოღონდ მას აღარ მოეპოვება პირდაპირი ობიექტი), და საშუალებ-ენებითი (მედიაოპასივი), რომელიც ნაკლული მწკრივების შესავსებად ენებითის ფორმებს იყენებს. მონაცვლე ზმნათა თემის ნიშანი უპირატესად არის -ებ.

გვარიდან გვარში გაღაყვანა

ზმნა შეიძლება ერთი გვარიდან მეორეში გადავიყვანოთ: მოქმედებითი გადავაქციოთ ენებითად ან საშუალებად, ან პირიქით - ენებითი ან საშუალები ვაქციოთ მოქმედებითად. ერთი გვარიდან მეორეში გადავიყვანას მობრუნებას ანუ კონვერსიას უწოდებენ. თუ გამოსავლად მოქმედებით გვარს ავიღებთ, ენებითი (ან საშუალები) მისი მობრუნებული ანუ კონვერსიული სახე იქნება, ხოლო თუ ამოსავალ ფორმად ენებითს (ან საშუალებს) ჩავთვლით, მაშინ, ცხადია, მოქმედებითი აღ-

მონღლება ვნებითის (ან საშუალის) მობრუნებული სახე.

გვარიდან გვარში გადაყვანას თავისი წესები აქვს. როდესაც მოქმედებითი გვარის ზმნა ვნებითში (ან საშუალში) გადაგვყავს, ერთი პირი აუცილებლად აკლდება მას: სამპირიანი ზმნა ორიპირიანი ხდება, ორიპირიანი კი - ერთპირიანი.

თუ მოქმედებითი გვარის ზმნა ორიპირიანი იქნება, ასეთ სურათს მივიღებთ:

მოქმედებითი: აწვენს ის (დედა = S) მას (შვილ-ს = O)

ვნებითი: წვება ის (შვილ-ი = S)

საშუალი: წევს ის (შვილ-ი = S).

ორპირიანმა მოქმედებითმა ერთპირიანი ვნებითი და საშუალი მოგვცა. დაიკარგა მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი (დედა), ვნებითსა და საშუალში სუბიექტად იქცა ის პირი, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნისათვის პირდაპირი ობიექტი იყო (შვილი). ბრუნვის შეკვლა იმან განაპირობა, რომ შვილ-ს, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტი, I სერიაში მიცემით ბრუნვაში უნდა მდგარიყო, სუბიექტი კი ვნებითსაც და საშუალსაც სახელობით ბრუნვაში სპირდება (შვილ-ი).

ახლა სხვა მაგალითი განვიხილოთ:

მოქმედებითი: აძულებს ის (მასწავლებელ-ი=S) მას (ბიჭ-ს=ირ.O)

მას (სიზარმაცე-ს = პ.O)

ვნებითი: სძულდება ის (სიზარმაცე = S) მას (ბიჭ-ს = ირ.O)

საშუალი: სძულს ის (სიზარმაცე = S) მას (ბიჭ-ს = ირ.O).

მოქმედებითი გვარის ზმნა სამპირიანია. ვნებითსა და საშუალს ორი პირი ეწყობა, ე.ი. დაიკარგა ერთი პირი - მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი (მასწავლებელი), სუბიექტის ადგილი ვნებითსა და საშუალში დაიჭირა ახალმა სუბიექტმა, იმან, რაც მოქმედებითი გვარის ზმნისათვის პირდაპირი ობიექტი იყო (სიზარმაცე). ირიბი ობიექტი (ბიჭ-ს) ირიბადვე დარჩა. საერთოდ, გვარიდან გვარში გადაყვანის დროს ირიბს არაფერი მოხდის, იგი თავის ადგილას რჩება. მაშასადამე, გვარიდან გვარში გადაყვანის საკითხი არსებითად ორი პირის საკითხია: სუბიექტურისა და პირდაპირობიექტურისა (ა. შანიძე).

შეიძლება პირიქითაც მოხდეს: ვნებითი ან საშუალი გვარის ზმნა ვაქციოთ მოქმედებითად. ამ შემთხვევაში პროცესი შებრუნდება:

ერთპირიანმა ვნებითმა ან საშუალებამ ორპირიანი მოქმედებითი უნდა მოგვეცეს, ორპირიანმა კი - სამპირიანი. ვნებითი ან საშუალებითი გვარის ზმნის სუბიექტი მოქმედებითი გვარის ზმნისათვის პირდაპირი ობიექტი უნდა გახდეს, სუბიექტის ფუნქციით კი ახალი პირი შემოვა ზმნის ფორმაში. მაგალითად:

ვნებითი: დუღდება ის (წყალ-ი = S)

საშუალებითი: დულს ის (წყალ-ი = S)

მოქმედებითი: ადუღებს ის (კაც-ი = S) მას (წყალ-ს = პ.ო).

ვნებითსა და საშუალებით სუბიექტი იყო ის (წყალ-ი), მოქმედებითი გვარის ზმნაში კი წყალი პირდაპირ ობიექტად იქცა და, რადგანაც ზმნა I სერიისაა, პირდაპირი ობიექტი მას მიცემით ბრუნვაში უნდა შესწავლობდა. ასეც მოხდა. ახალი სუბიექტური პირი (კაც-ი) სახელობით ბრუნვაში სჭირდება ზმნას.

ახლა ორპირიანი ზმნა ვნახოთ:

ვნებითი: უდუღდება ის (წყალ-ი = S) მას (ღიასახლის-ს = ირ.ო)

საშუალებითი: უდულს ის (წყალ-ი = S) მას (ღიასახლის-ს = ირ.ო)

მოქმედებითი: უადუღებს ის (კაც-ი = S) მას (ღიასახლის-ს = ირ.ო) მას (წყალ-ს = პ.ო).

რა ვითარებაა ამ შემთხვევაში?

ორპირიანი ვნებითისა და საშუალებითი გვარის ზმნათა სუბიექტი (წყალ-ი) მოქმედებითი გვარის ზმნისათვის პირდაპირი ობიექტია (წყალ-ს). ზმნის ფორმაში შემოვიდა ახალი სუბიექტური პირი (კაცი). ირიბ ობიექტს (ღიასახლის-ს), როგორც მოხალისე იყო, კონვერსიის საკითხი არ შეხება.

ქაქა. ქაქა გარდაბნულ ზმნაში

ქართულ ზმნას, რომელსაც ჩვეულებრივ რამდენიმე პირი ეწეობა ხოლმე, იმის უნარიც აქვს, რომ ამ შეწყობილ პირებს შორის კუთვნილებითი (ან დანიშნულებითი) ურთიერთობა გამოხატოს. ნათქვამის ნათელსაკოფად მაგალითებს მივმართოთ და ჯერ გარდაბნული ზმნები განვიხილოთ:

შეიკერა მან (გოგონა-მ = S) ის (კაბა = პ.ო)

შუკერა მან (გოგონამ = S) მას (მგობარს = ირ.ო) ის (კაბა = პ.ო)

შეიქმერა მან (გოგონა-მ = S) ის (კაბა = პ. O).

სამივე უმნა ერთი ძირისაგან (ეგრე) მომდინარეობს, სამივე ფორმაში სუბიექტმა (გოგონამ) გარკვეული მოქმედება შეასრულა (შეიქმერა კაბა), მაგრამ ამ სამ ფორმას შორის ახლოობრივად დიდი სხვაობაა: პირველი (შეიქმერა) გვინებებს იმას, რომ პირდაპირი ობიექტი (კაბა) სუბიექტს (გოგონას) ეკუთვნის, მისთვისაა განკუთვნილი; მეორე ფორმით (შეიქმერა) ისაა ნათქვამი, რომ პირდაპირი ობიექტი (კაბა) ამაყურად სხვისი, ირიბი ობიექტის (მეგობრის) კუთვნილებაა; მესამე უმნა (შეიქმერა) სრულიად ნეიტრალურია კუთვნილების გამოხატვის თვალსაზრისით: არ ჩანს, ვისთვისაა განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი (კაბა).

ახლა სხვა მაგალითებიც ვნახოთ:

იმსაღებს ის (დედა = S) მას (საუშმეს = პ. O)

უმსაღებს ის (დედა = S) მას (შვილს = ირ. O)

მას (საუშმეს = პ. O)

ამსაღებს ის (დედა = S) მას (საუშმეს = პ. O).

აქაც ისევე ვითარება გვაქვს: პირველი უმნა (იმსაღებს) გამოხატავს იმას, რომ სუბიექტი (დედა) თავისთვის მოქმედებს - პირდაპირი ობიექტი (საუშმე) მას ეკუთვნის; მეორე ფორმა (უმსაღებს) გვეუბნება, რომ სუბიექტი კი მოქმედებს, მაგრამ მისი მოქმედების ობიექტი, პირდაპირი ობიექტი (საუშმე), სხვისთვის, ირიბი ობიექტისათვის (შვილისთვის), არის განკუთვნილი; მესამე ფორმაში (ამსაღებს) საერთოდ არ ჩანს, ვისა, ვისთვისაა განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი (საუშმე). იგი თითქოს არავის კუთვნილება არ არის.

უმნის თითოეულ ამ ფორმას, კუთვნილება-დანამსწულების მიხედვით განსხვავებულს, ქვედა ეწოდება. როგორც დავინახეთ, ქვედა სხვადასხვა სახისა არსებობს: უმნათა პირველ ფორმებს, შეიქმერა, იმსაღებს, რომლებიც გვინებებენ, რომ პირდაპირი ობიექტი (კაბა, საუშმე) სუბიექტს ეკუთვნის, ანუ უმნებით ნაწინებია კუთვნილებით-დანამსწულებითი ურთიერთობა სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის, სათავისოს (ანუ სასუბიექტოს) უწოდებენ.

უმნები შეიქმერა, უმსაღებს, რომლებიც გამოხატავენ, რომ პირდაპირი, ობიექტი (კაბა, საუშმე) განკუთვნილია ირიბი ობიექტისათვის (მეგობრისთვის, შვილისთვის), ანუ უმნები გვინებებენ კუთვნილე-

ბით-დანისწრულებით ურთიერთობას პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს შორის, მოკლედ, ობიექტებს შორის, სასხვისო (ანუ საობიექტო) ქცევის ფორმებია.

სმნები შეკვრა, ამზადებს, რომლებიც სრულიად ნეიტრალურია კუთვნილებით-დანისწრულებით ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელთა პირდაპირი ობიექტი (კაბა, საუქსმე) თითქოს არავის კუთვნილება არ არის, საარვისო (ანუ ნეიტრალური) ქცევის ფორმებს წარმოადგენენ.

მაშასადამე, ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანისწრულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის.

შენიშვნა: საარვისო ქცევის ფორმები არ გამოხატავენ არავითარ კუთვნილებით-დანისწრულებით ურთიერთობას არც სუბიექტსა და ობიექტს. არც ობიექტებს შორის, მაგრამ, ვინაიდან ამ ფორმებს „მოპირდაპირედ კუთვნილების გამოხატველი ფორმები უდგას“ (ა. შანიძე), მათ მაინც თვლიან ქცევის ფორმად.

გარდამავალ ზმნას, როგორც ენახეთ, სამგვარი ქცევა აქონია: სათავისო, სასხვისო და საარვისო.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქცევის არსი შეიძლება ამაგვარადაც განგვესაზღვრა: გარდამავალ ზმნაში ქცევა გვიჩვენებს, თუ ვისია, ვისთვისაა განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი.

თუ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს, ქცევა სათავისო (სასუბიექტო): იშენებს, ილაგებს, ინათებს, იკეთებს, ითეთრებს, იღებავს, იხატავს, იწეწავს, იზრდის და ა.შ.

თუ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს, ქცევა სასხვისო (საობიექტო): უშენებს, ულაგებს, უნათებს, უკეთებს, უთეთრებს, უღებავს, უხატავს, უწეწავს, უზრდის და ა.შ.

სუ ზმნის ფორმაში არ ჩანს, ვისია პირდაპირი ობიექტი, ქცევა საარვისო (ნეიტრალური) იქნება: აშენებს, ალაგებს, ანათებს, აკეთებს, ათეთრებს, აღებავს, ხატავს, წეწავს, ზრდის და ა.შ.

თითოეულ ქცევას თავისი ნიშანი აქვს.

სათავისო ქცევის ნიშანია თავსართი ი. ეს ქცევა მხოლოდ გარდამავალ ზმნას აქვს და იგი ყოველთვის ორპირიანია. სათავისო ქცევის ნიშანი ი ზმნის სამივე პირის ფორმაშია წარმოდგენილი, მხოლოდით რიცხვშიც და მრავლობითშიც:

ე-ოლაგებ	ე-ოლაგებ-თ
ო-ლაგებ	ო-ლაგებ-თ
ო-ლაგებ-ს	ო-ლაგებ-ენ

სასხვისო ქცევის ნიშანია უ თავსართი. გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა სამპირიანია. უ პრეფიქსი ზმნას აქვს სუბიექტური წყობის (იხ. გვ. 25-27) სამსავე პირში, მხოლოდითშიც და მრავლობითშიც:

ე-ულაგებ	ე-ულაგებ-თ
უ-ლაგებ	უ-ლაგებ-თ
უ-ლაგებ-ს	უ-ლაგებ-ენ

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ზმნა ობიექტური წყობითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი (ანუ უცვლელი იყოს სუბიექტური პირი და იცვლებოდეს ობიექტური). ამ შემთხვევაში სასხვისო ქცევის ნიშნად პირველ და მეორე პირში ი თავსართი აღმოჩნდება, შესამეში კი ისევე აღდგება უ:

მ-ოლაგებ-ს	გვ-ოლაგებ-ს
გ-ოლაგებ-ს	გ-ოლაგებ-თ
უ-ლაგებ-ს	უ-ლაგებ-ს

ამრიგად, სასხვისო ქცევას ორი ნიშანი ჰქონია: უ და ი თავსართები. „ამათგან ი სასხვისო ქცევის ნიშანია მაშინ, როცა ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია, უ კი მაშინ, როდესაც ირიბ ობიექტად შესამე პირია“ (ა.შანიძე, ლ.კვაჭაძე).

აქ თიოქის რაღაც უხერხულობამ იჩინა თავი: ი თავსართი სათავისო ქცევის ნიშანიც აღმოჩნდა და სასხვისოსიც. მაგრამ პრობლემას აღვილად მოივლება, თუ შემდეგ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას:

ა) სათავისო ქცევის ფორმა გარდამავალია და ორპირიანი, გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა კი - სამპირიანი (ი-შენებს

ის მას; მ-ი-შენებს ის მე მას).

ბ) სათავისო ქცევის ი ზმნას სამივე პირის ფორმაში უჩანს (ე-ი-შენებ, ი-შენებ, ი-შენებს...), სასხვისო ქცევის ი კი - მხოლოდ ობიექტური წყობის პირველსა და მეორე პირში, მესამეში იგი უთი იცვლება (მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს, უ-შენებს). ამიტომ საანალიზო ფორმა მესამე პირში უნდა გადავიყვანოთ: თუ დარჩა ი, ზმნა სათავისო ქცევისა ყოფილა, თუ უთი შეიცვალა - სასხვისო ქცევისა. მაგალითად, გავაანალიზოთ ზმნები: **ითობ** და **მითობ**. **ითობ** ზმნაში (ე-ითობ, ი-ითობ, ი-თობს) ი სათავისო ქცევის ნიშანია, რადგან იგი მესამე პირში **ითობს** ფორმას გვაძლევს; მაგრამ **მითობ** ზმნის (მ-ითობ შენ მე მას, **უ-თობ** შენ მას მას) ი სასხვისო ქცევაზე მიუთითებს, რადგან მისი მესამე პირის ფორმაა **უთობ**.

თქვენ ალბათ მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ სასხვისო ქცევის ი ყოველთვის ობიექტურ წყობაში ჩანს: იგი მოსდევს პირველი და მეორე ობიექტურ პირთა ნიშნებს - მ-ს, გ-ს, გვ-ს. მაგალითად: **მ-ი-კეთებს, გ-ი-კეთებს; გვ-ი-კეთებს, გ-ი-კეთებს; მ-ი-ლაგებს, გ-ი-ლაგებს; გვ-ი-ლაგებს, გ-ი-ლაგებს** და ა.შ. ამიტომ ქცევაში გარკვევა შეიძლება ოდნავ გართულდეს მაშინ, თუ სათავისო ქცევისაც აღმოაჩნდება ობიექტური წყობის ფორმები.

შევეუდაროთ ერომანეთს **მომიგდო** ზმნა ორ განსხვავებულ კონტექსტში: ნადირობისას დათემა ქვეშ **მომიგდო** და:

მეზობელმა გასასრდელად თავისი ბავშვი **მომიგდო**.

პირველ შემთხვევაში **მომიგდო** ორპირიანია: მომიგდო მან (დათემა) მე [ქვეშ], მეორეში კი - სამპირიანი: მომიგდო მან (მეზობელმა) მე ის (ბავშვი). პირველი რომ სათავისოა და მეორე - სასხვისო, ამას პირთა რაოდენობის გათვალისწინებაც ადვილად მიგვახვედრებს, მაგრამ შემოაღნიშნული წესი ამ შემთხვევაშიც ყველაფერს მოჰყენს ნათელს: სათავისო ქცევის ი სამივე პირში რჩება. მხოლოდითშიც და მრავლობითშიც (მო-მ-ი-გდო, მო-გ-ი-გდო, მო-ი-გდო; მო-გ-ე-ი-გდო, მო-გ-ი-გდოთ, მო-ი-გდო), სამპირიანი ზმნის მნიშვნელობით ნახპარ ფორმაში კი ი უთი შეიცვლება (მო-მ-ი-გდო მან მე ის, მო-გ-ი-გდო მან შენ ის, მო-უ-გდო მან მას ის. მესამე პირის ფორმა **მი-** ზმნისწინითაც შეიძლება ვიხმაროთ: მი-უ-გ-დო. მო-გ-ე-გდო მან ჩვენ ის, მო-გ-ი-გდოთ მან თქვენ ის, მო/მი-უ-გდო მან მათ ის). მაშასადამე, **მო-**

მოგლო მან მე ის სასხვისო ქცევა ყოფილა.

შეიძლებოდა მაგალითი აგეფხისტკაიოსინიდანაც* მოგვეყვანა: როდესაც ნესტანი დარწმუნდა, რომ ტარიელი არ აპირებდა ხვარაშქმას ძისათვის მის დათმობას („ვისმცა მივეც თავი შენი“, ე.ი. შენს თავს ვის მივეცე, ვის დავეუბნობო, - უთხრა ტარიელმა სატრფოს), ნესტანი „პირგამეხებული ვეყხვიდან“ კელავ სათნო, მოსიყვარულე მოჯნურად იქცა:

„მოღმობიერდა, მოშიტება, გამწერადი, გამქისებული...“

ახლოს დამისვა, მადირსა აქამდის არ-ღირსებულნი“, - იგონებს ტარიელი (544).

შოვაქციით ყერადლება ზმნას და-მო-სვა მან (ნესტანმა) მე (ტარიელი), რომელშიც ქცევის ნიშანი ი მოსდევს პირველი თბიქტური პირის მ ნიშანს. შესაბამე პირის ფორმაში ი არ შეიცვლება: და-ო-სე-ა მან ის, ე.ი. ზმნა სათავისო ქცევის მნიშვნელობითაა ნახმარი და ო-ც სათავისო ქცევის ნიშანია; მაგრამ, რომ ყოფილიყო დამისვა მან მე ის, ვთქვათ, მან (ნესტანმა) მე (ტარიელს) ის (ახმათი), ზმნა სასხვისო ქცევის მნიშვნელობით იქნებოდა ნახმარი და ო-ც სასხვისო ქცევის ნიშანი აღმოჩნდებოდა, რადგან ამ ზმნის შესაბამე პირის ფორმა უ-ს იძლევა: და-უ-სე-ა მან მას ის.

რაც შეეხება საარვისო ქცევას, ამ ფორმებში ქცევის ნიშნად ზოგჯერ ბ თავსართი გვაქვს: ბ-შენებს, ბ-ლაგებს, ბ-ნათებს, ბ-კეთებს, ბ-თუორებს, ბ-შაგებს და ა.შ., მაგრამ საარვისო ქცევა შეიძლება უნიშნოც იყოს: ხატავს, წეწავს, ზრდის, კლავს და ა.შ. გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის ფორმა ჩვეულებრივ ორპირიანია.

შენიშნა: არის შექმთხვევები, როდესაც სათავისო ქცევის ფორმას საარვისოს მნიშვნელობა აქვს. ასეთებია: ა-ო-ლო, და-ო-წყო, გა-ო-გო, მო-ო-წონა, და-ო-წუნა და სხვა. ამ ზმნებს აქვთ სასხვისო ქცევის ფორმები: ა-უ-ლო, და-უ-წყო, შე-უ-ნახა, გა-უ-გო, მო-უ-წონა, და-უ-წუნა და ა.შ., მაგრამ აკლიათ საარვისო. შესაბამისად, ქცევაც, ნაცვლად სამისა, ორი აქვთ: საარვისო - აილო, დაიწყო, შეინახა... და სასხვისო - აულო, დაუწყო, შეუნახა...

ქცევისთან დაკავშირებით ჩვენ გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნები განვიხილეთ. ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ქცევის თვალსაზრისით გარდაუქვალ ზმნებში.

ქვეყნის გარდაუვალი ზმნებში

გარდაუვალი ზმნა რადგან ვნებითიც შეიძლება იყოს და საშუალოც, საბანალოდ ორივე გვარის ფორმები ავიღოთ და ვცადოთ, მოუვებნოთ მათ ქვეყის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები:

ღონიანი ვნებითები:

თეთრდება ის (კედელი = S) - უთეთრდება ის (კედელი = S) მას (კაცს = ირ.ო)

შენდება ის (სახლი = S) - უშენდება ის (სახლი = S) მას (შვილს = ირ.ო)

მზადდება ის (საუზმე = S) - უმზადდება ის (საუზმე = S) მას (გოგონას = ირ.ო)

უნიშნო ვნებითები:

შრება ის (სარეცხი = S) - უშრება ის (სარეცხი = S) მას (ღია-სახლისს = ირ.ო)

ხმება ის (ფესვი = S) - უხმება ის (ფესვი = S) მას (ხეის = ირ.ო)

დნება ის (ნაჯინი = S) - უდნება ის (ნაჯინი = S) მას (ბავშუს = ირ.ო)

საშუალო:

წუხს ის (გული = S) - უწუხს ის (გული = S) მას (ქალს = ირ.ო)

დუღს ის (წყალი = S) - უდუღს ის (წყალი = S) მას (მზარეულს = ირ.ო)

სის ის (ბავშვი = S) - უსის ის (ბავშვი = S) მას (დედას = ირ.ო) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, გარდაუვალი ზმნებს მხოლოდ ორი ქვეყა აქვთ: საარვისო (თეთრდება, შენდება, მზადდება, შრება, ხმება, დნება, წუხს, დუღს. სის...) და სასხვისო (უთეთრდება, უშენდება, უმზადდება, უშრება, უხმება, უდნება, უწუხს, უდუღს, უსის...).

საარვისო ქვეყის ფორმები ერთპირიანია, სასხვისოსი - ორპირიანი. საარვისო ქვეყას ნიშანი არა აქვს, სასხვისოში კვლავ უნიშანია, რომელიც ობიექტური წყობის ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმებში ი-ს მოგვცემს: მ-თეთრდება, გ-თეთრდება; მ-შენდება, გ-შენდება; მ-მზადდება, გ-მზადდება; მ-შრება, გ-შრება; მ-დნება, გ-დნება; მ-წუხს, გ-წუხს; მ-დუღს, გ-დუღს და ა.შ. ამგვარ პირის ფორმებში ი, ცხადია, მრავლობით რიცხვშიც ექნებათ ზმნებს: გვ-თეთრდება, გ-თეთრდებათ; გვ-შენდება, გ-შენდება.

ბათ: გე-ო-შრება, გ-ო-შრებათ; გე-ო-დნება, გ-ო-დნებათ; გე-ო-წუხს, გ-ო-წუხსთ; გე-ო-დეულს, გ-ო-დეულსთ და ა.შ.

სათავისო ქცევის ფორმები გარდაუვალ უმნებს არ შეიძლება აქონდეს.

დაეცვირდეთ, რა ურთიერთობაა გამოხატული ამ უმნებში კუთვნილება-დანინშულების თვალსაზრისით, ვის თუ რის კუთვნილებაზეა საუბარი ვის ან რის მიმართ?

გარდაუვალი უმნის სასხვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი (კედელი, სახლი, საუსმე, სარეცხი, ფესვი, ნაყინი, გული, წყალი, ბაგში), რომელიც საარვისო ქცევის ფორმებში არავისი კუთვნილება არ იქა. ამჯერად ირიბი ობიექტისაა (კედელი - კაცისა, სახლი - შვილისა, საუსმე - ბაგშიისა, გული - ქალისა, წყალი - შიარეულისა, ბაგში - დედისა...).

მაშასადამე, თუ გარდამავალ უმნაში პირდაპირი ობიექტის კუთვნილება-დანინშულებაზე ვსაუბრობდით (პირდაპირი ობიექტი ეკუთვნოდა სუბიექტს (სათავისო ქცევა). ირიბ ობიექტს (სასხვისო ქცევა) ან არავის (საარვისო ქცევა). გარდაუვალ უმნაში სუბიექტის კუთვნილება-დანინშულებაზეა საუბარი: სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს (სასხვისო ქცევა) ან არავის (საარვისო ქცევა).

ქცევის ის ზოგადი განსაზღვრა, რომელიც გარდამავალ უმნებთან დაკავშირებით წარმოვადგინეთ, გარდაუვალ უმნებზეც ვრცელდება. გავიხსენოთ ეს განსაზღვრა და ზოგი რამ დავაზუსტოთ: ქცევა არის უმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს კუთვნილებით-დანინშულებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის (გარდამავალ უმნაში პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს, ქცევა სათავისოა; გარდაუვალში სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს, ქცევა სასხვისოა), ან - ობიექტებს შორის (გარდამავალ უმნაში პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს, ქცევა სასხვისოა; გარდაუვალი უმნა ამ ურთიერთობას ვერ გვიჩვენებს, რადგან პირდაპირი ობიექტი მას საერთოდ არ გააჩნია).

ქვეყნის პარაზიტული და სტატიკური უნებუნებანი

გარდაუვალ უმნათგან საინალიზოდ ჩვენ დინამიკური დონიანი, უნიშნო ვნებითები და საშუალო გვარის უმნები წარმოვადგინეთ (იხ.

გვ. 91). ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ქცევის თვალსაზრისით პრეფიქსულ - ინიან და ენიან - და სტატიკურ ენებოთებში. კვლავ მაგალითებს მივმართოთ:

ი-ნახება ის (წიგნი = S) - ე-ნახება ის (წიგნი = S) მას (კაცს = ირ.ო)

ი-ხატება ის (სურათი = S) - ე-ხატება ის (სურათი = S)

მას (ბავშვს = ირ.ო)

ი-წერება ის (წერილი = S) - ე-წერება ის (წერილი = S)

მას (დედას = ირ.ო)...

ინიანი ენებოთები ერთპირიანია და იგი არაფერს გვეუბნება კუთვნილება-დანისწულების თვალსაზრისით, მაგრამ ენიანი ენებოთის ფორმებში ერთგვარად სასხვისო ქცევის მნიშვნელობა ჩანს, რამდენადაც, სხვა გარდაუვალი ზმნების სასხვისო ქცევის ფორმათა მსგავსად, მათში სუბიექტის ირიბი ობიექტისადმი კუთვნილება-დანისწულება იგულისხმება: წიგნი (S) თითქოს კაცს (ირ.ო) ეკუთვნის, სურათი (S) - ბავშვს (ირ. ო), წერილი (S) - დედას (ირ.ო) და ა.შ. მაგრამ ესაა ქცევის ნაწილობრივი, შინაარსობრივი გადმოცემა, ფორმით, ნიშნის საშუალებით (სასხვისო ქცევას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნიშნები ი და უ) იგი გამოხატული არაა: ი და ე აქ ენებოთი გვარის ნიშნებია და არა ქცევისა. ამიტომ ამბობენ, რომ პრეფიქსულ (ინიან და ენიან) ენებოთებში გრამატიკულად (ნიშნების საშუალებით) გამოხატული ქცევა არა გვაქვს; მაგრამ ეს ფორმები საზოგადოდ, შინაარსის გათვალისწინებით, არ არიან მოკლებულნი ქცევის გაგებას. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ფორმათა დაპირისპირება აშკარად გვაქვს. ამის გათვალისწინებით კი შეიძლება ითქვას, რომ ინიანი საარვისოდ მიდის, ენიანი კი - სასხვისოდ (ა. შანიძე).

რა ვითარებაა სტატიკურ ენებოთებში? კვლავ მაგალითებს მივმართოთ:

გდია ის (ბურთი = S) - უ-გდია ის (ბურთი = S) მას (ბიჭს = ირ. ო)

მ-ი-გდია ის მე

გ-ი-გდია ის შენ

ყრია ის (ფოთლები = S) - უ-ყრია ის (ფოთლები = S) მას (ხეს = ირ.ო)

მ-ი-ყრია ის მე

გ-ი-ყრია ის შენ...

მაშასადამე, სტატიკურ ენებოთსაც, სხვა გარდაუვალ ზმნათა

მსგავსად, პქონია ორი ქცევა: საარვისო (გდია, ყრია...) და სასხეი-
 სო (უ-გდია, უ-ყრია...). საარვისო ქცევა ამჯერადაც ერთპირიანია და
 უნიშნო, სასხეისო ქცევას, ორპირიანს, იგივე - უ და ი - აქვს.
 მხოლოდ დაეიძახსიერათ: **სტატიკურ ზმნებს ქცევა მხოლოდ აწმყო-**
ში აქვთ, რადგან I სერიის სხვა მწკრივები მათ საერთოდ არ გააჩ-
 ნიათ. II სერიაში ორივე ქცევა, საარვისოცა და სასხეისოც, ერთსა
 და იმავე ფორმას გვაძლევს: გდია - ეგდო, უგდია - ეგდო; ყრია -
 ეყარა, უ-ყრია - ეყარა... და, რადგან ფორმათა დაპირისპირება აღარ
 ხერხდება, ქცევაც აღარ გვაქვს.

საერთოდ კი, იმ ზმნებს, რომლებიც ქცევის მიხედვით დაპირის-
 პირებულ ფორმებს გვაძლევენ, გარდამაგაღსაც და გარდაუვალსაც,
 ქცევის ნიშნები (და ქცევის გაგებაც) მხოლოდ I და II სერიის
 ფორმებში აქვთ (სათაეისო: ი-შიადებს, ი-შიადებდა, ი-შიადებდეს, მო-
 ი-შიადებს, მო-ი-შიადებდა, მო-ი-შიადებდეს; მო-ი-შიადა, მო-ი-შია-
 დოს; სასხეისო: უ-შიადებს, უ-შიადებდა, უ-შიადებდეს, მო-უ-შიადებს,
 მო-უ-შიადებდა, მო-უ-შიადებდეს; მო-უ-შიადა, მო-უ-შიადოს. გარდაუ-
 ვალი სასხეისო: უ-შიადდება, უ-შიადებოდა, უ-შიადებოდეს, მო-უ-
 შიადდება, მო-უ-შიადებოდა, მო-უ-შიადებოდეს; მო-უ-შიადა, მო-
 უ-შიადეს).

რაც შეეხება III სერიას, I თურმეობითში გარკვეულ ზმნებს აქვთ
 სასხეისო ქცევის ნიშნები უ და ი (და-მ-ი-შიადებია, და-გ-ი-შიადებია,
 და-უ-შიადებია... ა-მ-ი-შენებია, ა-გ-ი-შენებია, ა-უ-შენებია...), მაგრამ,
 საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო მათ ქცევის გაგება არა
 აქვთ.

ცოტა უფრო დაწვრილებით შევიჩერდეთ უძველეს ზმნებსზე.

უძველესი ზმნები

ქცევაზე იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც ზმნის ფუ-
 ძეს ძალა შესწევს ორი ფორმა მაინც გვიჩვენოს, რომლებიც ერთურ-
 თის დაპირისპირებით კუთვნილება-უკუთვნილობის გაგებას მოგვცემს.
 ამიტომ ისეთი ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები აკლიათ,
 უძველესი არიან“ (ა. შანიძე).

უკვეო ზმნებია: იცის, უწყის, უჭირავს, აქვს, ახსიავს, უყვარს, კგონია, პყავს და ბვერი სხვა. ამ ზმნათაგან ზოგს სათავისო ქცევის ნიშანი აქვს (ი-ცის), ზოგს - სასხვისოსი (უ-ჭირავს, მ-ი-ჭირავს, გ-ი-ჭირავს: უ-ყვარს, მ-ი-ყვარს, გ-ი-ყვარს...), ზოგს - საარვისოსი (ა-ქვს, ა-ხსიავს...) და შეიძლება ვინმემ ისინი ამა თუ იმ ქცევის ფორმებად მიიჩნიოს.

რატომ თვლიან ამ ზმნებს უკვეოდ? იმიტომ, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია იქონიოს თუნდაც ერთი ფორმა, რომელიც მას დაუპირისპირდებოდა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით. მაგალითად, ი-ცის ფორმას თუ აღმოაჩნდებოდა ა-ცის ან ცის, რომელსაც საარვისოსო გაგება ექნებოდა, ან უ-ცის, სასხვისო ქცევის მნიშვნელობისა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ქცევაზე საუბარი და, რადგანაც ი-ცის ფორმა დღეს ერთია, მასთან შინაარსითა და ფორმით დაპირისპირებული ცალის გარეშე, იგი „უფუნქციო, ფორმალური სათავისოა“, „მოჩვენებითი სათავისო“ (ა.შანიძე), ისევე, როგორც მოჩვენებითი სასხვისოა უყვარს, რადგანაც მას არა აქვს არც ყვარს და არც აყვარს ფორმები, რომელნიც საარვისოსო ქცევის გაგებისანი იქნებოდნენ.

ახლა მოკლედ შევაჯამოთ ზემოთქმული ქცევისთან დაკავშირებით:

ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის, ან ობიექტებს შორის.

ქცევა შეიძლება აქონდეს გარდამავალ ზმნასაც და გარდაუვალსაც. გარდამავალ ზმნაში ქცევა გვიჩვენებს, თუ ვისია, ვისთვისაა განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი, და ამის გათვალისწინებით უპირატესად სამი ქცევა არსებობს: სათავისო (თუ პირდაპირი ობიექტი სუბიექტის კუთვნილებაა: იშენებს კაცი სახლს), სასხვისო (თუ პირდაპირი ობიექტი ირობს ეკუთვნის: უშენებს კაცი შეიღოს სახლს) და საარვისოსო (თუ ამგვარი ურთიერთობა პირდაპირ და ირობ ობიექტს შორის არ არსებობს, პირდაპირი ობიექტი არავის კუთვნილება არ არის: აშენებს კაცი სახლს).

სათავისო ქცევის ნიშანია ი თავსართი. ზმნა გარდამავალია, ორპირიანი და ი სამივე პირის ფორმაში ჩანს მხოლოდობით რიცხვშიცა

და შრავლობითიც (ე-ო-შენებ, თ-შენებ, თ-შენებ-ს, ე-ო-შენებთ, თ-შენებ-თ, თ-შენებ-ენ).

სახსვისო ქვეყის ნიშნებია უ და თ. თ მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ ერთი თბიექტად პირველი ან მეორე პირია შეწყობილი (ე-უ-შენებ, უ-შენებ, უ-შენებ-ს, ე-უ-შენებ-თ, უ-შენებ-თ, უ-შენებ-ენ, მაგრამ: თ-ო-შენებ-ს, გე-ო-შენებ-ს, ე-ო-შენებ-ს, ე-ო-შენებ-თ). გარდაამოვალა სმნის სახსვისო ქვეყის ფორმა სამპირიანია.

საარვისო ქვეყის ფორმაში სოგჯერ ბ პრეფიქსი გვაქვს (ბ-შენებ-ს, ბ-გულებ-ს...), სოგჯერ თვი უნიშნია (წერ-ს, ხატავ-ს...). საარვისო ქვეყის ფორმა გარდაამოვალა სმნისა წყველებრივ თანპირიანია.

გარდაუქვალ სმნაში ქვეყი სუბიექტის კუთვნილებაზე მოუთითებს და თრეკარი შესაძლებლობა არსებობს: სუბიექტი ან ერთი თბიექტისთვისაა განკუთვნილი და ქვევა სახსვისია (უ-შენებ-ა სახლი, აქვს, უდულ-ს ნაი ბავშვს...), ან სუბიექტი არავის კუთვნილება არ არის და ქვეყაც საარვისია (შენებ-ა სახლი, დუდლებ-ა ნაი). მაშახადამე, გარდაუქვალ სმნას მხოლოდ თნი ქვევა შეიძლება პქინდეს: სახსვისო და საარვისო.

გარდაუქვალ სმნის სახსვისო ქვეყას თვივე ნიშნები აქვს, უ და თ. რაც გარდაამოვალ სმნაში პქინდა, მაგრამ, თუ გარდაამოვალა სმნის სახსვისო ქვეყის ფორმა სამპირიანი თვი, გარდაუქვალ სმნის სახსვისო ქვევა ყოველთვის თანპირიანია.

საარვისო ქვეყის ფორმა გარდაუქვალ სმნას ყოველთვის უნიშნია აქვს, თვი ერთპირიანია.

გარდაუქვალ სმნათაგან განსხვავებულ ვითარებას პრეფიქსული - თნიანი და ენიანი - ვნებთები გვსუქნებენ. მათ გრამატიკული, ნიშნით გამსახტული ქვევა არა აქვთ. მაგრამ სმნარსობრივად თნიანი და ენიანი ფორმა, მაგალითად, თ-წერება - ე-წერება, ისევე უპირისპირდება ერთმანეთს კუთვნილებით-დანისწულლებითი ურთიერთობის თვალსახსრით, რთორც შენდება და უ-შენდება, ან კვთდება და უ-კვთდება: არე თნიანი ვნებთი საარვისო ქვეყის სმნარსს გადმოს-ქვს, ენიანი კი - სახსვისო ქვეყისას (მაგრამ თ და ე ვნებთი გვარის ნიშნებია და არა ქვეყისა).

სმნა უძველესი შეიძლება თვის. ამგვარ სმნას შეიძლება პქინდეს ამა თვი თმ ქვეყის ნიშანი (თ-ცის სმნის თ სათავისისა, ა-უ-შენებთ

‘სმნის უ - სასხვისოსი, ბ-ქეს ზმნის ბ - საარეისოსი და ა.შ.), მაგრამ. თუ მას საპირისპირო ქცევის ფორმა არა აქვს, იგი ქცევის გაგებას მოკლებულია, უქცეოა.

ქსავანსთან დაკავშირებული მართლწერილა და მართლმეცხველუბის საკითხები

1. იმ ზმნებს, რომელთაც საარეისო ქცევის ფორმებში ბ პრეფიქსი აქვთ, ბ-ზმნისწინის ან ბ-ზე დამთავრებული ზმნისწინების (და-, ჩა-, გა-, გადა-, წა-) დართვისას მეორე და მესამე სუბიექტური პირის ფორმებში (ობიექტად მესამე პირი უნდა იყოს) ორი ბ გქნებათ: ბ-ანთებ, ბ-ანთებს; და-ბმტკიცებ, და-ბმტკიცებს; ჩა-ბგდე, ჩა-ბგდო; გა-ბნათებდი, გა-ბნათებდა; გადა-ბტარებ, გადა-ბტარებს; წა-ბელე, წა-ბელეო და ა.შ.

2. ორი ბ მოიყრის თავს საარეისო ქცევის ფორმაში მაშინაც, თუ სახელი, რომლისგანაც ბ ქცევისწინიანი ზმნის ფორმაა ნაწარმოები, ბ-ზე იწყება: ბი - ბათმაგებს (შდრ.: ი-ათმაგებს, უ-ათმაგებს), ბი - ბასკეცებს (შდრ.: ი-ასკეცებს, უ-ასკეცებს). ამ ფორმებში პირველი ბ ქცევის ნიშანია, მეორე - სახელის ფუძისეული.

3. საარეისო ქცევის ფორმაში შეიძლება სამი ბ-ც იყოს საჭირო, თუ ბ-თი დაწყებული სახელისაგან ნაწარმოები ზმნის ფორმას, რომელსაც ქცევის ნიშნად ბ აქვს, დაერთო ბ-ზე დამთავრებული ზმნისწინი: გა-ბ-ბთმაგებს, გა-ბ-ბთმაგებს; და-ბ-ბეადმყოფებ, და-ბ-ბეადმყოფებს; და-ბ-ბრსეთ, და-ბ-ბრსეს და ა.შ. პირველი ბ ზმნისწინისაა, მეორე - საარეისო ქცევისა, მესამე კი - ფუძისეული.

4. სათავისო ქცევის ფორმაში ორი ი არის საჭირო, როცა მეორე ან მესამე სუბიექტური პირის ფორმას მი- ზმნისწინი დაერთვის (ობიექტად მესამე პირი უნდა იყოს): მი-ი-დე, მი-ი-დო; მი-ი-თვალე, მი-ი-თვალა; მი-ი-ხურაე, მი-ი-ხურაეს და ა.შ.

5. ორი ი არის საჭირო მაშინაც, თუ სათავისო ან სასხვისო ქცევის ი ნიშანი ი-ზე დაწყებული ფუძის მქონე ზმნას ერთვის: ე-ი-ო-ლებ, ი-ო-ლებ, ი-ო-ლებს... მ-ი-ო-ლებს, გ-ი-ო-ლებს... გა-ე-ი-ო-ლებ, გა-ქ-ი-ო-ლებს; ე-ი-იმედებ, ი-იმედებ, ი-იმედებს... და-მ-ი-იმედებია,

და-ვ-ი-მე-დებია და ა.შ.

6. სასხვისო ქცევის ფორმას ორი უ ექნება, თუ ზმნის ფორმა უთი დაწკებული სახელისგანაა ნაწარმოები (ობიექტად მესამე პირია): და-ვ-უ-უძღურე, და-უ-უძღურე, და-უ-უძღურა... გა-ვ-უ-უხეშებ, გა-უ-უხეშებ, გა-უ-უხეშებ... და-ვ-უ-უთოვებ, და-უ-უთოვებ, და-უ-უთოვებს და ა.შ.

II თავსართის შესახებ ზმნაში

ი თავსართი ვნებითი გვარის ნიშანიც შეიძლება იყოს, სათავისო ქცევისაც და სასხვისო ქცევისაც. როდის რომელი ფუნქცია აქვს მას?

1. ი თავსართი ვნებითი გვარის ნიშანია იმ შემთხვევაში, თუ ზმნა გარდაუვალია. ერთპირიანი და მას სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში აქვს. ვნებითი გვარის ნიშანი ი ზმნის სამივე პირსა და ორივე რიცხვშია წარმოდგენილი:

ვ-ი-მალები	ვ-ი-მალები-თ
ი-მალები	ი-მალები-თ
ი-მალებ-ა	ი-მალები-ან

2. ი თავსართი სათავისო ქცევის ნიშანია მაშინ, თუ ზმნა გარდაუვალია, ორპირიანი. სუბიექტი მას ბრუნვაცვალებადი აქვს: I სერიის ფორმებთან სახელობითშია, II სერიის ფორმებთან - მოთხრობითში (III სერიის ფორმებთან, როგორც ცნობილია, არც გვარის ნიშნები ჩანს და არც ქცევის გაგება აქვთ ზმნებს). სათავისო ქცევის ნიშანი ი სამივე პირში გვაქვს, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობის დროს:

მო-ვ-ი-სვი	მო-მ- ი-სე-ა
მო- ი-სვი	მო-გ- ი-სე-ა
მო- ი-სე-ა	მო- ი-სე-ა
მო-ვ-ი-სვი-თ	მო-გვ-ი-სე-ა
მო- ი-სვი-თ	მო-გ- ი-სე-ა-თ
მო- ი-სე-ეს	მო- ი-სე-ა

3. ი თავსართი წარმოშობით სათავისო ქცევის ნიშანია ერთპი-

რიან გარდაუვალ ზმნებშიც, ე.წ. საშუალ-მოქმედებითში, მაგრამ, ინიანი ენებითისაგან განსხვავებით, რომელსაც სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში აქვს, საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს, რომლებშიც სათავისო ქცევის ი თავსართი უფუნქციოა. ბრუნვა-ცვალებადი სუბიექტი ეწყობათ: I სერიის ფორმებთან - სახელობითი ბრუნვის ფორმით (ი-მეფებს, ი-მეფებდა, ი-მეფებდეს კაც-ი), II სერიის ფორმებთან - მოხრობითით (ი-მეფა, ი-მეფოს კაც-მა). ასე რომ, გარკვევა იმისა, ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში ი ენებითის ნიშანია თუ წარმოშობით სათავისო ქცევისა და უფუნქციო, აღარ უჩდა გაგვიჭირდეს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გვ. 110).

4. ი თავსართი სასხვისო ქცევის ნიშანია მაშინ, თუ: ა) ზმნა გარდამავალია, სამპირიანი და ი მხოლოდ პირველი ან მეორე ობიექტური პირის ფორმაშია წარმოდგენილი მხოლოდით რიცხვშიც და მრავლობითშიც:

მ-ი-ლაგებ-ს გვ-ი-ლაგებ-ს

გ-ი-ლაგებ-ს გ-ი-ლაგებ-თ

ან მაშინ, თუ ბ) ზმნა გარკვეულია, ორპირიანი და კვლავ მხოლოდ ობიექტური წყობის პირველი ან მეორე პირისა:

მ-ი-ხურ-ს გვ-ი-ხურ-ს

გ-ი-ხურ-ს გ-ი-ხურ-თ

ორივე შემთხვევაში, როცა ი სასხვისო ქცევას გამოხატავს, მე-სამე პირში იგი უთი შეიცვლება: უ-ლაგებ-ს, უ-ხურ-ს. ამის გათვალისწინებით სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა ერთმანეთისაგან გარჩევა არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენს.

კონტაქტი

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართულ ზმნას შეუძლია მასთან შეწყობილ პირებს შორის კუთვნილებით-დანისწულებითი ურთიერთობა გამოხატოს (ქცევა).სხვა ენები (მაგალითად, რუსული, ინგლისური...) ამას მხოლოდ აღწერილად ანუ დამატებითი სიტყვების მოშველიებით ახერხებენ. შდრ.:

ა-შხადებს	—	ГОТОВИТ
ო-შხადებს	—	ГОТОВИТ СЕБЕ (ДЛЯ СЕБЯ)
უ-შხადებს	—	ГОТОВИТ ЕМУ (ДЛЯ НЕГО)...

ქართულ სმნას იხივ შეუქმლია, რამ გვიჩვენოს: სუბიექტური პირი, რომელიც მოქმედია ან მოქმედება მიეწერება, თვითონ მოქმედებს, უშუალოდ, თუ სხვა პირის მეშვეობით.

შევედარათ ერთმანეთს ორი სმნა:

შეკერა მან (დედამ = S) ის (კაბა = პ.ო)

შეაკერინა მან (დედამ = S) მას (მკერავს = ირ.ო) ის (კაბა = პ.ო)

პირველი ფორმა (შეკერა) გვიჩვენებს, რომ სუბიექტმა (დედამ) თვითონ შესარულა მოქმედება, სხვა პირის ჩაურევლად, მეორე ფორმა (შეაკერინა) კი გვიჩვენებს, რომ სუბიექტმა (დედამ) თვითონ კი არ შესარულა ეს მოქმედება, არამედ სხვა პირის, ირიბი ობიექტის (მკერავის), მეშვეობით.

